

သုတေသနပညာ ဒက္ခမြို့လွှာ


ပြည်ထောင်စု-အကျဉ်းပို့ဆောင်ရွက် စာမျက်နှာ

N^o.8 ဧပြီလ 2010 ပြေ

ISSN 1512-3901

ქუთაისის უნივერსიტეტი

ეკონომიკური პროცესი



ქუთაისის უნივერსიტეტი

UDC 33 სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი
9 - 491

№ 8, 2010 წელი
ფინანსები

რედაქტორი: Институт Научной Информации по Общественным Наукам
(Российская Академия Наук) www.rim.inion.ru

ნ თ მ ე რ შ ი ა :

გლობალიზაცია და
ეკონომიკური კრიზისი

ფინანსები და გადახახვები

ეკონომიკური პოლიტიკა

მენეჯმენტი და ტურიზმი

ღეგაზ კაპულია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის სრული პროფესორი

გლობალიზაცია და საზონანო-ეკონომიკური პრობლემები ბაზითარებად შვეიცავში

მე-20 საუკუნის 80-ანი წლებისათვის დამახასიათებელმა მეცნიერულ-ტექნიკურმა, პოლიტიკურმა და სოციალ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა საფუძველი ჩაუყარეს ეკონომიკური განვითარების გლობალიზაციას. ეროვნულ-სახელმწიფო ეკონომიკური წარმონაქმნები ჩათრებული აღმოჩნდნენ მსოფლიო სამეურნეო პროცესში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო საქონლურ-ფულად ურთიერთობათა არეალის უსაზღვროდ გაფართოება.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო არენაზე ეროვნულ სახელმწიფოთა ადგილი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული აღმოჩნდა არა შრომით, საწარმოო, გეოგრაფიულ პოტენციალსა და რესურსებზე, არამედ ფულის ძალაზე აგებულ ფინანსურ ეკონომიკაზე.

მე-20 საუკუნის ბოლო ოც წელიწადში მსოფლიო ფინანსურმა სისტემამ უდიდესი ცვლილებები განიცადა. სწრაფი ტექნებით წარიმართა საფინანსო შუამავლობიდან ფინანსების ეკონომიკური ცხოვრების წარმმართველ ძალად გადაქცევა. საქმე მარტო ის როდია, რომ ფინანსების სფერო ეკონომიკის სხვა სფეროებთან შედარებით წინმსწრები ტექნებით ვითარდება. გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ უმსხვილესი ფინანსური ინსტიტუტები სწრაფად იპყრობენ საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეებს, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას და იქ გადამწყვეტ პოზიციებს იკავებენ.

თანამედროვე გლობალური ეკონომიკა ფაქტობრივად ფინანსური ეკონომიკაა, რაც ექიდნობა იმ ღრმა ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი აქვს მსოფლიო მეურნეობის წიაღში: ტრანსფორმაცია ეროვნულ მეურნეობებში, ადამიანთა შორის ურთიერთობებსა და მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციაში.

ფინანსურ ეკონომიკას, როგორც მოვლენას, თან ახლავს ფინანსური რევოლუცია, რომლის საფუძვლიანი შესწავლა-გამოკვლევა აუცილებელია. სინამდვილეში გადატრიალება უკვე მოხდა. ეკონომიკა სულ სხვა გახდა და მასში მთავარ როლს ასრულებს არა კაპიტალი როგორც ასეთი, არამედ ფინანსური კაპიტალი.

ფინანსების როლის კოლოსალურმა აღზევებამ თვისებრივი ცვლილებები გამოიწვია ეკონომიკურ ურთიერთობებში. წარმოშვა ეკონომიკის ვირტუალური

სტრუქტურირება: მატერიალურ ფასეულობათა შემქმნელი რეალური ეკონომიკიდან აღმოცენდა ეკონომიკა, რომელიც სულ უფრო იქვემდებარებს პირველს თავისი შემოსავლებით და ისეთ დონემდე გაძლიერდა, რომ მას საზოგადოებაში მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს ეკონომიკაზე დიდი როლი დაეკისრა, ე.ი. წარმოიშგა ეკონომიკა პირობითი, ანუ სიმბოლური, ფულის მექანიზმის დონეზე – სიმბოლური ეკონომიკა, ანუ გიგანტური სიმბოლური კაპიტალის ეკონომიკა. როგორც წესი, ეკონომიკა ეს მატერიალური დოკუმენტის წარმოებაა. ამასთან, იგი არა მარტო დოკუმენტის წარმოების საშუალებაა, არამედ საერთოდ, ადამიანის ცხოველქმედების, მისი ორგანიზაციის საშუალებაა.

ისმის კითხვა: რა ელის პოსტსოციალისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ფინანსურ სისტემებს გლობალიზაციისა და ფინანსური ეკონომიკის პირობებში?

იმის გამო, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ფინანსური ეკონომიკის სივრცის გარეშე არსებობა, აუცილებელია განისაზღვროს თითოეულის ადგილი გლობალურ ფინანსურ იურარქიაში. ამისთვის კი საჭიროა გათვალისწინებული იქნეს მსოფლიო მოწყობის თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ წინააღმდეგობათა სამი ჯგუფის ადგილი და როლი, ურომლისოდაც შეუძლებელია პოსტსოციალისტური ქვეყნების რეალურ მდგომარეობაზე საუბარი. პირველი – ეს არის წინააღმდეგობა ე.წ. „ცივილიზებულ მსოფლიოსა“ და რუსეთს შორის; წინააღმდეგობათა მეორე ჯგუფი ეხება პოსტსოციალისტური ქვეყნების ცენტრებსა და რეგიონებს შორის არსებულ პრობლემებს. და ბოლოს, მესამე ჯგუფის წინააღმდეგობები მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლებასა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობებში არსებულ პრობლემებს. საქმე ეხება სახელმწიფოს მიერ ხალხის წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობას და მოსახლეობაში მთავრობის ნდობის ფაქტორის მოუწესრიგებლობას. ეს არის: ანაბრების დაუბრუნებლობა, პრივატიზაციის პროცესი ნაკლოვანებები და საკუთრებითი უფლებების დაცვის პრობლემები.

რა იყო ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიდნენ საქართველოს ეროვნული ეკონომიკის აღმასვლას?

ეკონომიკური კავშირების მოშლა, რუსეთის ხელისუფლების იმპერიული ზრახვებისაკენ კვლავინდებური ლტოლვა, ეროვნებათაშორისი შუდლი, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის გადმონაშთების

არსებობა, 400-ათასიან ლტოლვილთა შენახვა – აი, პრობლემათა წრე, რომლებიც ართულებდა საქართველოში საბაზრო ეკონომიკის წარმატებით განხორციელებას.

ამას ისიც დაემატა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოცდილების არარსებობისა და უოველგვარი მომზადების გარეშე დაწყებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა შედეგი ვერ მოგვცა. და ეს გაგრძელდა 2004 წლამდე. მაგალითად, 1994 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) შეადგენდა 1990 წლის მოცულობის მხოლოდ 27,5%-ს, ხოლო 2004 წლისათვის – 46,6% შეადგინა. მაშინ, როდესაც მშპ-მ მიაღწია: ესტონეთსა და თურქეთსა – 80%-ს, ლატვიაში – 70%-ს, რუსეთში, ყაზახეთსა და ლიტვაში – 65%-ს, სომხეთში – 60%-ს და ა.შ.¹⁰

დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის საწყის ეტაპზე ეკონომიკური ცხოვრების მოშლამ, ჰიპერინფლაციამ, კორუფციის ფართო მასშტაბებმა, სუსტმა საგადასახადო ადმინისტრირებამ გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაუგონარ დონემდე შემცირება. ამასთან, ქვეყანას 1995 წლამდე დამტკიცებული ბიუჯეტი არ გააჩნდა.

ქვეყნის ფინანსური სისტემის ტრანსფორმაციისა და გარდაქმნის გზები და საშუალებები რამდენადმე სასიკეთოდ შეიცვალა უკენასენელ წლებში. ქვეყანაში შემუშავებულ იქნა სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში წინა პერიოდში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევის და საზოგადოების წევრთა პარმონიული განვითარების უზრუნველყოფის პროგრამა, რომელმაც ხელი შეუწყო საბაზრო ეკონომიკის ფორმირება-განვითარებას, ურომლისოდაც შეუძლებელია ეკონომიკური ზრდისა და განვითარების საბაზრო წინაპირობები: თავისუფალი ბაზარი, საკუთრება – კერძო და დაცული, ინფლაცია – დაბალი, ქვეყნებს შორის ვაჭრობა – თავისუფალი. ეს წინაპირობები აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მიღწეული ყოფილიყო ფასების ლიბერალიზაცია, სრული დასაქმება, ბიზნესისადმი ხელის შეწყობა, კერძო კომპანიების მართვაში ჩაურევლობა, სამეურნეო ცხოვრებაში საკონტრაქტო ურთიერთობათა განვითარება, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა.

იმისათვის, რომ სახელმწიფოს დაეძლია დასაქმების პრობლემები, უზრუნველეულ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, გადასახადების მეშვეობით ამოღებული სახსრებით მან უნდა დაფაროს სახელმწიფოს ფუნქციების შესასრულებელი ხარჯები.

¹⁰ r. kakulia, sabazro ekonomikaze gadasvlis Teoriisa da praqtkis problemebi, Tb., 2003, gv. 187.

2004 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებისა და გრანტების მოცულობამ მიაღწია 2283 მლნ ლარს, ანუ წინა წელთან შედარებით გაიზარდა 69,2%-ით. შემოსავლების ხვედრითი წონა მშპ-ის მიმართ 14,2 პროცენტიდან 23,3 პროცენტამდე გაიზარდა.

ანალოგიური მდგომარეობა იყო 2005-2009 წლებშიც. მარტო 2005 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების და გრანტების მოცულობამ 3256,8 მლნ ლარს მიაღწია, ანუ წინა – 2004 წელთან შედარებით გაიზარდა 53,3%-ით. 2007 წელს ანალოგიურმა მაჩვენებელმა მიაღწია 3032,5 მლნ ლარს, ხოლო 2008 წელს – 6859,3 მლნ ლარი შეადგინა. ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას მნიშვნელოვნად აფერხებდა და აფერხებს უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბებული ინფლაციის მაღალი ტემპები. არადა, მსოფლიო პრაქტიკით მიღებულია, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისათვის ინფლაციის პარამეტრი 6%-ს არ უნდა აჭარბებდეს.

სამწუხაროდ, ჩვენში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ინფლაცია 6%-ზე ნაკლები არც ერთხელ არ ყოფილა. უფრო მეტიც. ზოგჯერ, ზოგიერთ თვეში 10%-საც აღემატებოდა. ასე, მაგალითად – 2007 წლის ბოლოს ინფლაციის ტემპმა 11%, 2008 წელს კი 12% შეადგინა, ხოლო 2010 წლის მხოლოდ 9 თვეში 10% გადაამეტა.

გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედა შემდეგმა ფაქტორებმა: საქართველოში „გარდების რევოლუციით“ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ბევრი კორუმპირებული თანამდებობის პირი დააკავეს, რომლებმაც თავისუფლება დოლარების გადახდით მოიპოვეს; პრივატიზაცია დოლარებში განხორციელდა; უცხოეთში სამუშაოდ წასული მოსახლეობისაგან ქვეყნაში შემოდის 1 მილიარდ დოლარამდე, რაც იწვევს მის გაუფასურებას და ეროვნული ვალუტის გამყარებას. ამით კი ექსპორტიორები ზარალდებიან. ქვეყნის ეროვნული ბანკი იძულებულია ჰარბი უცხოური ვალუტა – დოლარი ლარის გაყიდვით ამოიღოს მიმოქცევიდან. დამატებითი ლარის ბრუნვაში გაშვება ინფლაციის ზრდის მომასწავებელია და სწორედ ეს გახლავთ ქვეყნაში ფასების ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც. ამასთან, ინფლაციის აღზევებას რამდენადმე მთავრობის მიმდინარე ხარჯვითი პოლიტიკაც უწყობს ხელს.

ფინანსურ ურთიერთობათა პრობლემებიდან უნდა შევეხოთ საერთაშორისო ვაჭრობასთან მიმართებაში სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებულ გაურკვევლობის ფაქტორის გავლენას. ადგილი პქონდა ერთ პოლუსზე ვალუტის მკაცრად ფიქსირებულ კურსს, ხოლო მეორეზე – მოქნილ ან მცურავ კურსს, თუმცა, 1978 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდა „იამაიკის სავალუტო სისტემა“, რომელმაც ოქრო გამოდევნა საერთაშორისო ანგარიშსწორებიდან და მსოფლიო ფულად ერთეულად კონვერტირებადი ეროვნული ვალუტა შემოიღო. მეორე უმნიშვნელოვანეს

მომენტს წარმოადგენდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების მიერ სავალუტო კურსის რეჟიმის შერჩევა და მცურავი სავალუტო კურსის დაკანონება.

ეკონომიკისა და განსაკუთრებით ფინანსების გლობალიზაციის ობიექტურმა გარემოებებმა განაპირობა ევროკავშირის ქვეყნების მიერ ვალუტათა კურსის მერყეობით შექმნილი პრობლემებიდან თავის დაღწევის მიზნით ერთიანი ვალუტის – ევროს შემოღება. სწორედ ევროპული გარიანტი იძლეოდა საშუალებას ლიკვიდირებული ყოფილიყო სავალუტო კურსების გაურკვევლობა მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც შეუერთდნენ ევროპის სავალუტო კავშირს. სავალუტო კურსების მერყეობა ევროპის და სხვა ქვეყნებს შორის კვლავაც შენარჩუნებული იქნა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში დავალიანებათა კრიზისის პერიოდში კაპიტალის ნაკადმა, რომლითაც ვალის ვალდებულებათა მძიმე ტენიანი დააწვა განვითარებად ქვეყნებს და ამით მსოფლიოს ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს დიდი ზიანი მიაყენა, სწორედ ფინანსური კაპიტალის ასეთმა უმართავმა ნაკადებმა ბევს ქვეყანაში გამოიწვია მსოფლიო ფინანსური კრიზისი.

განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალის ნაკადებმა, რა თქმა უნდა, დადებითი როლიც შეასრულა მათი საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დაფარვის საქმეში, მაგრამ შემდგომში სესხებით გამოწვეული დავალიანებების მართვის ინსტიტუციური სტრუქტურების მოუწესობებელი საქმიანობის შედეგად, ეს ქვეყნები ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისამდე მივიდნენ.

ამრიგად, გლობალიზაციის შეჭრამ ფინანსურ სფეროში მთელი რიგი უარყოფითი ფაქტორების აღზევება გამოიწვია.

იმისათვის, რომ განვითარებად ქვეყნებში გლობალიზაციის მეთოდები ეფექტიანად ფუნქციონირებდეს, აუცილებელია დაცული იქნეს საერთაშორისო ქვევის განმსაზღვრელი ნორმები. საქმე ეხება გლობალიზაციის მოქმედების სფეროში გარკვეული შეზღუდვების შემოღებას.

21-ე საუკუნის გარიურაჟზე მსოფლიო ფინანსურმა ბაზარმა ღრმა ტექნიკური ცვლილებები განიცადა ფინანსური ინსტრუმენტების, ელექტროინჟინერინგის, წარმოებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავებით. ფინანსურმა ინჟინერინგმა და იმ ეკონომიკურმა თეორიამ, რომელსაც იგი ეყრდნობა, ფინანსური ბაზარი მიიყვანა რისკების მართვის ახალი მეთოდების ფორმირებამდე.

ამასთან, ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შექმნილი. ეს ეხება არა მარტო ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა: კანონმდებლობა, წესები, გაკოტრების პროცედურა და სხვ., არამედ „წარმოებული ფინანსური

ინსტიტუტების (შავი ფულის გათეთრება და სხვ.) საქონელმიმოქცევასთან დაკავშირებულ სტრუქტურებსაც. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა იმ განვითარებად ქვეყნებში, რომლებსაც ჯერაც არ გააჩნიათ მსგავსი ინსტიტუტები.

იმისათვის, რომ ეკონომიკის გლობალიზაციისაგან მიგიღოთ მაღალი ეფექტიანობა, განვითარებად ქვეყნებში აუცილებელია დაცული იქნეს საერთაშორისო ქცევის განსაზღვრული ნორმები. ჯერ ერთი, მიღწეული უნდა იქნეს ინფორმაციის გახსნილობა და გამჭვირვალობა და, მეორე, ლიკვიდირებულ უნდა იქნეს უკანონო ვაჭრობა და მფარველობა ფარული კავშირების მეშვეობით, აღმოსაფხვრელია სხვა დანარჩენი ფორმის კორუფცია.

იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ ეკონომიკის და ფინანსების გლობალიზაციამ კაცობრიობასაც მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა, რომელთაგან ყველაზე მეტად ხელშესახებია ქვეყნების დიდ ნაწილში ეკონომიკური ზრდა, მაღალი შრომის ნაყოფიერება და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა. ამასთან, გლობალიზაციამ ხელი შეუწო მსოფლიოში კონფლიქტების მასშტაბების შემცირებას და საერთაშორისო კოორდინაციის გაძლიერებას. საყურადღებოა ისიც, რომ გლობალიზაციის პროცესი არ ნიშნავს თამაშს ნულოვანი შედეგით: მას შეუძლია ნებისმიერ ქვეყანას სარგებლობა მოუტანოს, თუმცა ზოგს მეტი, ზოგს – ნაკლები იმისდა მიხედვით, ისინი თუ როგორი ეფექტიანობით გამოიყენებენ გლობალიზაციის საგნობრივ რეალურ შესაძლებლობებს. ამასთან, გლობალიზაციას შინაგანად გააჩნია რისკის მრავალმხრივი შესაძლებლობა, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის არასტაბილურობასა და უთანაბრო განვითარებასთან. ყოველთვის უნდა გვასსოვდეს, რომ ფინანსურ ეკონომიკას თან სდევს კაცობრიობისათვის დამახასიათებელი ყველა სახის რისკი.

გლობალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა არ იქნება სრულყოფილი, თუ არ შევეხებით იმ მკვეთრ განსხვავებას, რომელიც არსებობს ქონიუნქტურულ მერყეობასა და ეკონომიკურ არასტაბილურობას შორის. ჩვეულებრივად, არასტაბილურობა ასოცირებულია საფინანსო-საბიუჯეტო სტაბილიზაციისა და ინფლაციის შემცირების პრობლემებთან, მაშინ, როდესაც რყევები დაკავშირებულია ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების (მშპ, სავალუტო კურსი, საპროცენტო განაკვეთი, ვაჭრობის პირობები და ა.შ.) გაუთვალისწინებელ და მოულოდნელ ცვლილებებთან. თუ ამ ცვლილებებს თან არ ახლავს განსაზღვრული მოდელი, ეკონომიკური აგენტები იძულებულები არიან განვითარების ტენდენციის პროგნოზირებასა და სამეურნეო ცხოვრებაში დაემორჩილონ გაურკვევლობის

ატმოსფეროს. ასეთ პირობებში მცირდება ინვესტიციები და საფრთხეები ვარდება გრძელვადიანი ზრდის შესაძლებლობები.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გლობალიზაცია ეკონომიკის არასტაბილურობის გაძლიერებას იმის გამო იწვევს, რომ აღგილი აქვს კაპიტალის უფრო სწრაფ მოძრაობას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მცდარი გადაწყვეტილებების ნეგატიური შედეგების გაძლიერებას.

რაც შეეხება ეკონომიკური განვითარების უთანაბრობას, იგი გამოწვეულია საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში განვითარებადი ქვეყნების სუსტი მონაწილეობით. კერძოდ, სუსტია ან სრულებითაც არ არსებობს გლობალიზაციისათვის აუცილებელი ინსტიტუტები, ეკონომიკა დახურულია და ჩაფლულია პროტექციონიზმის ჭაობში.

ამრიგად, ეკონომიკის გლობალიზაციამ და ფინანსურ ურთიერთობათა რადიკალურად შეცვლა კიდევ უფრო გაამწვავა კონკურენციულმა ბრძოლამ, დერეგულირებამ, პრივატიზაციამ და კაპიტალის დია ბაზარმა. სწორედ ამ მომენტებმა ძირი გამოუთხარეს მსოფლიოში მილიონობით და უდარიბესი ადამიანების ეკონომიკურ პერსპექტივებს.

ხათუნა შალამბერიძე – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გლობალური კრიზისი და თანამედროვე ფინანსური

ინსტიტუტების ფორმულირება

დღეისათვის მიმდინარე მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მკაფიოდ გამოაგლინა გლობალური ფინანსური ინსტიტუტების სისუსტე და მათი ფუნქციების არაეფექტურობა. ეს, პირველ რიგში, ვლინდება, მათდამი საზოგადოების ნდობის დაკარგვისა და მათ უუნარობაში - ადეკვატურად მოახდინონ რეაგირება მსოფლიოს ახალ გამოწვევებზე. პატარა ქვეყნები, რომლებიც შედარებით ნაკლებად ინტეგრირებულნი არიან მსოფლიო ეკონომიკაში, ჯერჯერობით მთელი სიმწვავით არ გრძნობენ გლობალური კრიზისის გავლენას, თუმცა ამ ბოლო დროს ბევრი განვითარებული ქვეყნა დეფოლტის ზღვარზე აღმოჩნდა. დღეს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ძირითადი აქცენტი გადატანილია კრიზისის ჩაქრობაზე ისე, რომ მისი გამოწვევი მიზეზების და ფაქტორების სიდრმისეული შესწავლა და ანალიზი ყურადღების მიღმაა დარჩენილი.

აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო საგალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს არ შესწევთ უნარი თავიდან აიცილონ არა თუ გლობალური, არამედ სხვადასხვა ქვეყანაში განვითარებული ლოკალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისებიც კი. საყურადღებოა, ის რომ დღევანდელმა მსოფლიო კრიზისმა ეჭვეჭვე დააყენა არა მხოლოდ დღემდე შემუშავებული ეკონომიკური და ფინანსური თეორიები, არამედ გამოავლინა პრაქტიკული ანტიკრიზისეული ბერკეტების უსუსურობა სიტუაციის დარეგულირებაში.

მსოფლიო ფინანსური სისტემა შევიდა დრმა დისბალანსის პერიოდში, ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო სათანადო წინააღმდეგობა გაეწია მსოფლიო ფინანსური ბაზების წამლეკავი ტალღისათვის. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში რეალურად არ არსებობს საერთაშორისო ნორმების შემუშავებელი ინსტიტუტები, რომლებსაც შეეძლებათ კრიზისის დაძლევის კუთხით ქმედითი წინადაღებების შემუშავება და შესაბამისი კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა დღეისათვის ჩამოყალიბებული მსოფლიო ფინანსური ფორმირების რადიკალური რეფორმების აუცილებლობა.

თანამედროვე მსოფლიო ფინანსური ფორმულირება მოიცავს ინსტიტუტებს, ბაზრებს და მეთოდებს, რომელთა მეშვეობით სახელმწიფოთა მთავრობები, იურდიული და ფიზიკური პირები ახორციელებენ თავიანთ ეკონომიკურ და ფინანსურ საქმიანობას. იგი არის ეკონომიკური ურთიერთობების ერთგვარი ერთობლიობა, რომლის

საფუძველზე განისაზღვრება, როგორც მსოფლიო ფინანსური სისტემის მოწყობის პრინციპები, ასევე თვით ეროვნული და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ამოცანები და ფუნქციები.

თანამედროვე მსოფლიო ფინანსური ფორმირების ინსტიტუციონალური და ოურიდიული გაფორმება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დაფუძნებით და მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებების დადგებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავალუტო-საფინანსო კონფერენციაზე.

მსოფლიოს ცნობილი ექსპერტები და სახელმწიფო მოღვაწეები აშკარად განსხვავებულ შეფასებას აძლევენ ამ ებაპზე საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობას. მათი აზრით, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თითქმის ამოწურა თავისი თავი, რაც გამოვლინდა ნდობის დაკარგვაში ამ ინსტიტუტის მიმართ.

სსფ და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებიც მოწოდებულნი უნდა იყვნენ მსოფლიო ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ფაქტიურად ბლოკავენ ნებისმიერ მცდელობას შემოღებულ იქნას გლობალური ფინანსური ნაკადების რეგულირების რაიმე ეროვნული ან საერთაშორისო მექანიზმი მადესტაბილიზებელი ეფექტის თავიდან აცილების მიზნით. ამით, როგორც ჩანს, სსფ ფაქტიურად მოქმედებს საერთაშორისო კაპიტალის ინტერესებიდან გამომდინარე. სსფ-ს პროგნოზები და რეკომენდაციები რეალობისაგან შორს დგანან. იგი აძლევს რეკომენდაციებს განვითარებად ქვეყნებს აიღონ წლიური 7-15%-იანი კრედიტები, ეს მაშინ, როცა მათი ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი არ აღემატება 2-3%-ს. ასეთ სიტუაციაში პრობლემატური ხდება არა მარტო კრედიტების გასტუმრება. განვითარებადი ქვეყნები იღებენ სულ უფრო მეტ კრედიტს, რითაც გენერირდება მოთხოვნა დოლარზე, რადგან ფონდის მიერ კრედიტები გაიცემა მხოლოდ ამ ფულადი ნიშნით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდს გააჩნია ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკებზე საკმარის ძლიერი კონტროლის საშუალება. ფონდის სახსრების გამოყენება და მისი პროგრამების პოლიტიკურ-ეკონომიკური განპირობებულობა ძირს უთხრის ფონდის სახსრების მიმღები სუსტი და განვითარებადი ქვეყნების სუვერენიტეტს და დემოკრატიულ პროცესებს, ვინაიდან სახელისუფლებო სტრუქტურაში ძალთა გადანაწილება ხდება სესხის მიმღები აღმასრულებელი ხელისუფლების და არა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარგებლოდ. მაგრამ, მიუხედავად თავისი გავლენისა განვითარებად ქვეყნებზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდს არ გააჩნია სათანადო ბერკეტები უზრუნველყოს ფონდის პროგრამის პირობების შესრულება.

მსოფლიო ბანკის ჯგუფი მოიცავს სხვადასხვა უმსხვილეს სააგენტოებს: საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია, ინვესტიციების გარანტიების სააგენტო, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საინვესტიციო დავების დარეგულირების საერთაშორისო ცენტრი, საერთაშორისო განვითარების ასოციაცია. ისევე, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკიც წარმოადგენს გაეროს დაწესებულებას, რომელსაც არ გააჩნია მათზე ზემოქმედების ბერკეტები.

მსოფლიო ბანკი მისი ფუნქციებიდან გამომდინარე ხელს უნდა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას და სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას, თუმცა, როგორც პრაქტიკა მოწმობს, მისი პროექტების 60%-ი სათანადოდ წარმატებული არ აღმოჩნდა. მსოფლიო ბანკის ამოცანაა სიღარიბესთან ბრძოლა, მაგრამ დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ უკანასკნელ წლებში დარიბმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც ყველაზე მატად სჭირდება ასეთი სახით დახმარება, მიიღეს მთლიანად გაცემული კრედიტების მხოლოდ 1%-ს.

მართალია უკანასკნელ წლებში მსოფლიოში სიღარიბის დონე გარკვეულწილად შემცირდა, მაგრამ არა მხოლოდ მსოფლიო ბანკის ძალისხმევით. სიღარიბის დონე შეამცირეს სახელმწიფოებმა, რომლებსაც პრაქტიკულად არ მიუღიათ მსოფლიო ბანკის ფინანსური დახმარება, ხოლო ქვეყნებში, რომლებმაც მიიღეს მცირეოდენი მაინც კრედიტები, ეკონომიკური მდგომარეობა მხოლოდ მეტნაკლებად განვითარდა.

ყოველწლიურად მსოფლიო ბანკი გამოყოფს კრედიტების დაახლოებით 20-25 მლრდ. დოლარის მოცულობით. ეს თანხა უტოლდება აშშ-ს, იაპონიისა და დასავლეთ ევროპის საშუალო მოცულობის კომერციული ბანკის ნორმალურ საკრედიტო პორტფელს. თუმცა ჩვეულებრივი ბანკებისაგან განსხვავებით მსოფლიო ბანკს არ გააჩნია სრულყოფილი ბერკეტები გააკონტროლოს მსესხებლის მიერ ნასესხები სახსრების მიზნობრივი ხარჯების პროცესი. კრედიტების გარკვეული ნაწილი უმისამართოდ „ნაწილდება.“

მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური ფორმაციის ერთ-ერთი შემადგენელი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაცია (მსო). მისი ფუძემდებლური პრინციპებია გაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, ანუ უცხოური წარმოების საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობისათვის ურთიერთხელშემწყობი პირობების შეთავაზება, ვაჭრობის რეგულირება მეტწილად სატარიფო მეთოდებით, უარის თქმა რაოდენობრივი და სხვა სახის შეზღუდვებზე, საგაჭრო დავების გადაწყვეტა კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით და სხვა.

დრეისათვის მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაცია წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის სისტემას, რომელიც დაფუძნებულია ერთ ვალუტაზე - აშშ დოლარზე. საქმე იმაშია, რომ აშშ დოლარს გააჩნია ორი ფუნქცია - აშშ ეროვნული ვალუტისა და მსოფლიო სარეზერვო და საგაჭრო ვალუტისა. აღნიშნული ფუნქციები უახლოეს წარსულამდე არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, თუმცა დღეისათვის ვითარება შეიცვალა. აშშ დოლარი აშკარად კარგავს მსოფლიო ფულის ფუნქციას. ამ პროცესის დასტურია ის, რომ ქვეყნებს შორის ვაჭრობის განხორციელება დაფუძნებულია ეროვნული ვალუტების გამოყენებით.

იმ საფინანსო ინსტიტუტებისათვის, რომელთა ბაზაზეა აგებული მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაცია, ეს ნიშნავს უფრო დიდ გამოწვევას, ვიდრე აშშ დოლარის კურსის ვარდნა, ვინაიდან პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება მსოფლიო ფინანსურ ნაკადებზე კონტროლის განხორციელება და იკარგება შემოსავლის უწყვეტი წყარო. ევროს სავალუტო ზონის შექმნასთან ერთად მსოფლიო კრიზისი ხელს შეუწყობს სხვა რეგიონალური სავალუტო ზონების შექმნას, რაც ნიშნავს აშშ დოლარის საფუძველზე

შექმნელი საერთაშორისო ინსტიტუტების, მათ შორის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შესუსტებას.

თანამედროვე ფინანსური ფორმაცია შეიქმნა ისეთ ვითარებაში, როდესაც მსოფლიო ეკონომიკაში დომინირებდა აშშ, ხოლო საერთაშორისო ანგარიშსწორებებში - ამერიკული დოლარი. განვითარებადი ქვეყნები განეკუთვნებოდნენ დარიბ რეგიონებს და განიხილებოდნენ, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსიის ობიექტები, მაგრამ, რეალობა სხვაა: თანდათანობით ჩამოყალიბდნენ უძლიერესი საერთაშორისო საფინანსო ბაზრები, რომლებიც ფაქტიურად გამოვიდნენ ეროვნული რეგულირების სფეროდან. საერთაშორისო არენაზე ჩნდება ფინანსურ-ეკონომიკურ ძალთა სრულიად განსხვავებული განლაგების კონტურები, რომელიც ეწინააღმდეგება აშშ-ს აბსოლუტური დომინირების პოლიტიკას. დღეისათვის არსებობს ძალთა რამოდენიმე ცენტრი. მათ შორის არსებობს საკმაოდ რთული ურთიერთობების მქონე განვითარებული ქვეყნები და ზესწრაფად განვითარებადი ქვეყნები და ნავთობის ექსპორტითორი ქვეყნები, რომლებთაც იმავდროულად დაგროვილი აქვთ დიდადი ფინანსური რეზერვები, რომლებითაც იკვებება რიგი მაღალგანვითარებული სახელმწიფოები.

ამრიგად, მსოფლიოს ეკონომიკურ-ფინანსურმა რუკამ არსებითად შეიცვალა სახე და შინაარსი, შეიცვალა ეკონომიკური პრობლემებიც, მაგრამ უცვლელნი დარჩენენ საერთაშორისო ინსტიტუტები და შესაბამისად მათ უკვე აღარ გააჩნიათ უნარი გადაწყვიტონ ახალი პრობლემები. ამიტომაც, დღეს სულ უფრო მწიფდება აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა მსოფლიო ფინანსური ფორმულირების რადიკალური ტრანსფორმაცია. საკითხი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემები დიდი ხანია გასცდა ცალკე ერთი ქვეყნის ჩარჩოს და გლობალური სახე მიიღო.

ევროსაბჭო და ევროკავშირი ერთხმად გამოდიან მსოფლიო ფინანსური ფორმულირების არსებითი კონკრეტურების იდეით. საფრანგეთის პრეზიდენტმა ნ. სარკოზიმ მოუწოდა მსოფლიოს - გადაიხედოს ის როლი და ფუნქციები, რომლებსაც ახლა ასრულებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. ასევე, სსფ-ს დღევანდელ ხელმძღვანელს შესთავაზა დაფიქრებულიყო ფონდის მომავალ როლზე, რომელიც უფრო აქტიურად იქმნებოდა ჩართული გლობალური ფინანსური კრიზისის დაძლევის პროცესებში. აგივე აზრს იზიარებს ბრიტანეთიც. მათი მოსაზრება სსფ-ს მოდერნიზების აუცილებლობის თაობაზე შემდეგია: ახალი მსოფლიო ფინანსური წესრიგი დაფუძნებული უნდა იყოს ტრანსპარენტულობაზე, (ანგარიშგების, აქტივების შეფასების მსოფლიო სტანდარტები), ერთიანობაზე, პასუხისმგებლობობაზე, გლობალურ თანამშრომლობასა და რაციონალურ მეურნეობრიობაზე.

ევროსაბჭოს ლიდერები უკმაყოფილონი არიან თავიანთი პოზიციებით საერთაშორისო სავალუტო ფონდში. მათ სურთ მოახდინონ სსფ-ში თავიანთი წარმომადგენლობის რეორგანიზაცია, რათა მიიღონ აშშ-ს ანალოგიური და ტოლფასი ხელისუფლება.

ამრიგად, ირკვევა რომ, მსოფლიო ფინანსური სისტემა დგას სერიოზული ფორმულირების ცვლილებების განხორციელების წინაშე, რომელთა აუცილებლობა აჩვენა აშშ-სა და მთელს მსოფლიოში მიმდინარე ფინანსურმა კრიზისმა. მსოფლიო ფინანსური ფორმულირება განიცდის ფუნდამენტურ ძვრებს.

საინტერესო ფაქტია, რომ როგორც საერთაშორისო საგადუტო ფონდმა, ასევე მსოფლიო ბანკმა, აშშ-ს მთავარი სააზროვნო ცენტრი, რომის კლუბი, რომელიც ცნობილია თავისი აკადემიური მოხსენებებით მსოფლიოს უმნიშვნელოვანების პრობლემებზე, ვერ შესთავაზეს მსოფლიო საზოგადოებას ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის მკაფიო და სახელმწიფოებისათვის მისაღები მოქმედების კონკრეტული პროგრამა.

გლობალური კრიზისის დასაძლევად საჭიროა რეგულირების საერთაშორისო და ეროვნული ინსტიტუტების მოწესრიგება და სისტემაში მოყვანა. აუცილებელია გამოშვებულ ფინანსურ ინსტრუმენტებსა და საინვესტიციო პროგრამების რეალურ შემოსავლიანობას შორის ჩამოყალიბებული არაეფექტური დისბალანსის დაძლევა, რისკების მართვის სისტემის სრულყოფა, კომპანიების საქმიანობაზე ინფორმაციის მაქსიმალური გამჭვირვალობა და საზედამხედველო მოთხოვნების გამკაცრება, სარეიტინგო სააგენტოების და აუდიტორული კომპანიების პასუხისმგებლობის გაძლიერება, საერთაშორისო ვაჭრობაში ბარიერების მოხსნის შედეგად სარგებლის მიღების ხელმისაწვდომობა მასში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების განხილვის გათვალისწინებით მსოფლიოს ახალი ფინანსური ფორმულირება შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ:

- ეკონომიკურად არამდგრადი ქვეყნების გაერთიანება მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში;
- საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობის გრივრული და მოწესრიგებული გადაადგილება, რომელსაც თან უნდა ახლდეს მაკროეკონომიკური წონასწორობისა და საბანკო სტრუქტურების გაძლიერებაზე მიმართული ღონისძიებები;
- ეფექტური სახელმწიფო მართვა და რეგულირება, რაც გულისხმობს კერძო სექტორის საქმიანობის სტიმულირებას, ჩამოყალიბებული მონოპოლიების რღვევას, მართვის უფრო მარტივი და განჭირვალე რეჟიმის შემოღებას და სხვა;
- მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისადმი მრავალმხრივი, მრავალპროფილიანი მიღებობა და ერთი რომელიმე ქვეყნის პეგმონიაზე უარის თქმა.

ამრიგად, გამომდინარე მიმდინარე კრიზისული სიტუაციისა და შეფასებიდან, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ფინანსური სისტემის ცვლილება, საგარაუდოდ, შეიძლება წარიმართოს ორი მიმართულებით. პირველი - შენარჩუნდეს არსებული სისტემა, ე.ი. დოლარი კვლავ დარჩეს, როგორც სარეზერვო ვალუტა და არსებულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა დროთა განმავლობაში განიცადონ რადიკალური ტრანსფორმაცია არსებული რეალობის გათვალისწინებით. მეორე - მოსალოდნელია, რომ გაიზარდოს არსებული სისტემისადმი უნდობლობის ხარისხი, რაც გააღრმავებს და დროში გაწელავს მსოფლიო კრიზისს და ეს უკანასკნელი დღის წესრიგში დააყენებს

არსებული საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების დაშლის საჭითხს და მათ ჩანაცვლებას რეგიონული ფინანსური სავალუტო კაგშირებით, რაც ნიშნავს მსოფლიო ფინანსური ფორმულირების ახალ შედეგამდე აყვანას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მოვსესიანი ა.გ., ოგნივცევი ს.ბ., „მსოფლიო ეკონომიკა“, 2004წ.
2. კაკულია რ., „მსოფლიო ეკონომიკა“, 2006წ.
3. პიტერ პ. ლინდერტი, „საერთაშორისო ეკონომიკა“, თბ., 2009წ.
4. პოლ კრუგმანი, მაურის ოფსვილდი, „საერთაშორისო ეკონომიკა - თეორია და პრაქტიკა“, თბ., 2000წ.
5. ხმალაძე მ., „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“, თბ., 2008წ.
www.cato.ru.
6. www.jtn.ru.
7. www.economy.gov.ge.
8. www.list.ru.

გიორგი ლავთაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ქუთაისის
უნივერსიტეტის სრული პროფესორი

აზა იფშირაძე
ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ზინანსური ინფრასტრუქტურის ცვლილება თანამედროვე მსოფლიოში ინფრასტრუქტური გაპიტალისათვის პორტფოლიოს გამძლიერების პირობები

საზოგადოდ ცნობილია, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარი მსოფლიო ეკონომიკაში ინვესტიციური კაპიტალის აკუმულირებისა და გადანაწილების ერთ-ერთ ძირითად მქანიზმს წარმოადგენს. მსოფლიო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეიძლება ვისაუბროთ კაპიტალის ფორმირების აღნიშნული წყაროს პრეგალირებაზე კრედიტთან და შიდა დაგროვებასთან შედარებით და მისი მნიშვნელობის განუხრელ ზრდაზე.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ, რომელიც უკანასკნელ ათწლეულებში განსაკუთრებით დაჩქარდა, ფაქტობრივად კაპიტალის ერთიანი მსოფლიო ბაზრის ფორმირებას შეუწყო ხელი. გარკვეულწილად, შეიძლება ვისაუბროთ შემსვედრ პროცესზეც: ფასიანი ქაღალდების სწრაფად განვითარებადი ბაზარი ეროვნული ეკონომიკების ერთიან მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამ შესაძლო გახდა სახსრების პრაქტიკულად დაუყოვნებელი გადაადგილება ერთი ეროვნული ბაზრიდან მეორეზე. ასეთ უპირატესობასთან ერთად, კაპიტალის მობილურობის შედეგს ასევე წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ეროვნული ბაზრების შედარებით მნიშვნელოვანი არამდგრადობა, სხვა ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე მათი დამოკიდებულების ზრდის გამო.

აღნიშნული განსაკუთრებით თვალში საცემი ხდება, როდესაც ვიხილავთ ფინანსურ კრიზისებს, მაგალითად ისეთებს, როგორებიც იყო მექსიკის (1994-1995 წ.წ.), რომელიც მოელ ლათინურ ამერიკაზე გავრცელდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების კრიზისი (1997-1998 წ.წ.), რომელიც მეტ-ნაკლებად აისახა როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნების საფონდო ბაზრებზე, რუსეთის (1998), ბრაზილიის (1999), არგენტინის (2001), თურქეთის (2001), ბრაზილიის (2002) დაბოლოს 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომლის შედეგები საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის დაძლეული.

მეორეს მხრივ, საფონდო ბაზრების გლობალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანებს შედეგად გვევლინება ინვესტიციებისათვის კონკურენციის გამძაფრება როგორც ცალკეულ ნაციონალურ ბაზრებს, ისე ბაზრების მოელ ჯგუფებს შორისაც კი. დასავლეთის ეკონომისტების მიერ განხორციელებული კვლევების მიხედვით, რიგი განვითარებადი ქვეყნის დაჩქარებული განვითარების შედეგად (ისინი ზრდის ტემპებით მნიშვნელოვნად უსწრებდნენ სხვა ქვეყნებს) შეიმჩნევა ინვესტიციურ რესურსებზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდა. ეს მაშინ როდესაც, ინვესტიციებადი კაპიტალის მოცულობის ზრდა ჩამორჩება მსოფლიო ეკონომიკის მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციური რესურსებისათვის ბრძოლა უკანასკნელ ათწლეულებში მკვეთრად გამწვავდა მსოფლიო მეურნეობის წამყვან ცენტრებს - აშშ,

⁷, С.А. Томлянович, Директор Депозитария АКБ РОС БАНК, М., Управление инвестиционными рисками и развитие инфраструктуры фондового рынка 2007, стр. 5

ეგროკავშირსა და იაპონიას შორის, სულ უფრო დეფიციტური ინგესტიციური რესურსებისათვის კონკურენციულ ბრძოლაში, განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში, აღმოჩნდნენ განვითარებადი ქვეყნები. მათთვის, ეროვნულ ეკონომიკაში ინგესტიციების მოზიდვის მიზანი, შეიძლება ფორმულირებულ იქნეს:

- ერთის მხრივ, როგორც კაპიტალის გატანის შეზღუდვის აუცილებლობა;
- მეორეს მხრივ, როგორც ეროვნული ინგესტიციური ბაზის ზრდისათვის ხელსაყრელი რეჟიმის შექმნა.

განვითარებად (და ბევრ განვითარებულ) ქვეყნებში კაპიტალის დეფიციტის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს ფართოდ პროპაგანდირებული ე.წ. „მოხმარების იდეოლოგია“, რომელიც ეკონომიკაში დაგროვების ჩამოყალიბებული ხორმების შემცირებას იწვევს.

განვითარებადი ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) მთავრობებს, ინგესტიციური პოტენციალის გაფართოების სტრატეგიის შემუშავების დროს, ასე თუ ისე, უწევთ შემდეგი ფუნდამენტური ამოცანების გადაჭრა:

- განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ეკონომიკური ზრის წინმსწრები ტემპების უზრუნველყოფა;
- ეკონომიკის სტრუქტურის მოდერნიზაცია - გადამამუშავებელი და მაღალტექნოლოგიური დარგების, ფინანსური სისტემის, მომსახურების სფეროს და ა.შ. განვითარება;
- მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება (მათ შორის მოხმარების მზარდი დონის უზრუნველყოფისათვის);
- ეროვნულ ეკონომიკაში ონგესტიციების მიმზიდველობის უზრუნველყოფა, სხვა სამი-ოთხი ათეული განვითარების დონით და გეოგრაფიული მდებარეობით მიახლოებულ ქვეყნებთან შედარებით. ამ მიზნის მიღწევა გულისხმობა: ინგესტორების თვალში ქვეყნის იმიჯის ამაღლებაზე ორიენტირებული საინფორმაციო პოლიტიკის გატარებას; მოგების მაღალი ხორმის შენარჩუნებაზე და/ან ქვეყნის ეკონომიკაში ინგესტირების რისკების შემცირებაზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციას და ა.შ. მაგალითად, სწორედ ამ მიზნით ხორციელდება საქართველოში საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, საბაჟო პროცედურების და კომპანიათა რეგისტრაციის თუ ზოგადად ბიზნესის წარმოების პირობების გამარტივება და ა.შ.

ინგესტიციებისათვის ბრძოლაში კონკურენტული უბირატესობების მიღწევაზე მომქმედი დღეისათვის არსებული ფაქტორები შეიძლება დავყოთ შემდეგ სახეობებად:

1. **პოლიტიკური.** მათ შეიძლება მივაკუთვნოთ სახელმწიფოს მოწყობის სტაბილურობა; დემოკრატიული არჩევნები; განვითარებულ ქვეყნებში მიღებულ კანონებთან შესაბამისობაში მყოფი საკანონმდებლო ბაზის არსებობა, რომელიც ინგესტორების ეფექტურ დაცვას უზრუნველყოფს; პროფესიონალებით დაკომპლექტებული ხელისუფლების არსებობა, რომელიც დროში სტაბილურ ან ადვილად პროგნოზირებად ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს, რომელიც ორიენტირებულია ეროვნულ ეკონომიკაში პირდაპირი და პორტფელური ინგესტიციების გრძელვადიანი მოზიდვისათვის პირობების შექმნისათვის;
2. **საკანონმდებლო-მარეგულირებელი.** სახელმწიფო ორგანოების არსებობა, რომლებიც ახორციელებენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიან და თანმიმდევრულ რეგულირებას, უზრუნველყოფების სამამულო და უცხოელი ინგესტორებისათვის ბაზრების ინფორმაციულ სილავეს და მათ მიერ გატარებული პოლიტიკის საჯაროობას და ა.შ. (ცალკეულ სახელმწიფოთა მთავრობები რეგულარულად ატარებენ ფინანსური ბაზრების სხვადასხვა

ასპექტების ლიბერალიზაციასა და დერეგულირებაზე მიმართულ ღონისძიებებს);

3. **საერთაშორისო.** თანამედროვე ეტაპზე, ფინანსური ბაზრებისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტენდენციას წარმოადგენს გლობალიზაცია, ანუ მსოფლიოს საფონდო ბაზრების ინტეგრაცია ერთიან საერთაშორისო ბაზარში. ფინანსური ბაზრების გლობალიზაციის ხელშემწყობ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს:⁸
- ბაზრების ლიბერალიზაცია და მსოფლიოს საკვანძო ფინანსურ ცენტრებში ბაზრის მონაწილეობა აქტიურობის ზრდა;
 - ტექნოლოგიური პროგრესი ფინანსური ინფორმაციის შექმნის და გაურცელების, შეკვეთების შესრულების და ფინანსური შესაძლებლობების ანალიზის სფეროში;
 - ფინანსური ბაზრების ინსტიტუციონალიზაცია;
- ადნიშნული ფაქტორები ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია და პროცესებზე ზემოქმედებენ, როგორც ცალკალკული, ისე ერთობლივად.
4. **მაკროეკონომიკური.** ისინი ახასიათებან ეკონომიკის საერთო მდგომარეობას, მისი ზრდის ტემპებს და უახლოეს პერიოდში მისი ცვლილების პროგნოზირებას; ეკონომიკური ციკლის ფაზას, რომელშიც იმყოფება ქავენის ეკონომიკა. ფაქტორების ამ ჯგუფს მიეკუთვნება ინფლაციის დონე, უმუშევრობა, საშუალო შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე, ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა, რეფინანსირების განაკვეთი, სხვადასხვა შემოსავლების დაბეგბრის დონე, ეკონომიკის განვითარების სტრუქტურული პროპრეციები (მაგ.: მეურნეობის დარგების ხვედრითი წილები მთლიან შიდა პროდუქტში). არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ მაჩვენებლების ცვლილების დინამიკაც. მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ ასევე: საფონდო ბირჟის განვითარების ზოგადი მახასიათებლები (ფასიანი ქადალდების ბაზრის ან მისი ცალკეული სეგმენტის კაპიტალიზაციის შეფარდება მშპ-სთან, უცხოური პირაპირი და პორთფელური ინვესტიციების წილი ინვესტიციების საერთო მოცულობაში და მათი ურთიერთთანაფარდობა, ფინანსური სექტორის - კომერციული ბანკების, საბროკერო კომპანიების, საინვესტიციო ბანკების და ა.შ. - განვითარების დონე და ტემპები და ა.შ.)
5. **მიკროეკონომიკური.** მათ მიეკუთვნება მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ უმცხვილესი კომპანიების ფინანსურ მდგომარეობას, მენეჯმენტის განვითარების დონეს, საწარმოო და მარკეტინგულ პოლიტიკას, განვითარების პერსპექტივებს, ეროვნულ ბაზარზე მიმოქცევაში მყოფ ფასიან ქადალდებს. ცხადია, აღნიშნული ფაქტორები არსებითი ხასიათისაა მხოლოდ კორპორაციული ფასიან ქადალდების სეგმენტისათვის. ამ ჯგუფის ფაქტორების მახასიათებებს მაჩვენებლებს ასევე მიეკუთვნება კაპიტალისა და აქტივების შემოსავლიანობა, აქციის ფასის თანაფარდობა ერთ აქციაზე შემოსავლთან, „ხარისხობრივი“ მაჩვენებლები - ინტერნეტ გვერდის არსებობა, კომპანიის წლიური ანგარიშის გაფორმება და ა.შ.
6. **ინფრასტრუქტურული.** ისინი ზემოქმედებას ახდენს ფასიანი ქადალდების ეროვნული ბაზრის მიმზიდველობაზე და წარმოადგენს მონაცემებს ფასიანი ქადალდების ბაზრის (მისი ძირითადი ელემენტის - ბაზრის პროფესიონალი

⁸ დავთაძე გ., იფშირაძე ა., ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია და ინვესტიციები, ქ. გონიმიკური პროფილი, №2, გვ. 24

მონაწილეების) ინფრასტრუქტურის განვითარების დონეს, მიმართულებებს და მოცემულ ბაზარზე მონაწილეთა შორის ურთიერთობის სისტემის შესახებ.

ინვესტორების თვალთახედვით, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის კონკურენციული უპირატესობების „მედლის მეორე მხარეს“ წარმოადგენს ინვესტიციური რისკები, რომელთაც ისინი ეწევიან კონკრეტულ ბაზარზე ფასიან ქაღალდებში სახსრების ინვესტირების დროს. არსებული ინვესტიციური რისკებისა და მათი მართვის ხერხების ანალიზი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანებს ფაქტორს წარმოადგენს მაღალკალიფიციური ინვესტორების მიერ ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მიუხედავად ფინანსურ შუამავლებს შორის ამჟამად არსებული შეხედულებისა - „ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილებები ყოველთვის ირაციონალურია“, და ბოლო წლებში გავრცელებული ე.წ. „ტექნიკური ანალიზის“ მეთოდებისა, ინვესტიციური გადაწყვეტილება უმეტეს შემთხვევაში (განსაკუთრებით განვითრებადი ქვეყნების ბაზრებზე) მიიღება ზემოთ განხილული ფაქტორთა ჯგუფების და მათთან დაკავშირებული რისკების დეტალური ანალიზის საფუძველზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინვესტიციური რისკების ანალიზი ტარდება არა მარტო გადაწყვეტილების მიღების ფაზაზე, არამედ უკვე განხორციელებული ინვესტიციების მთელი „სასიცოცხლო ციკლის“ განმავლობაშიც.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო საფონდო ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი ფინანსური ინსტრუმენტების განუხერებლად მზარდი რაოდენობა და მრავალფეროვნება და იმ ფაქტორების სიუხვე, რომლებიც მათი ფასის ცვლილებაზე ზემოქმედებენ, განაპირობებს იმას, რომ ინდივიდუალურ ინვესტორებს ფაქტობრივად აღარ შეუძლიათ და/ან აღარ სურთ შეაფასონ კონკრეტულ ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებასთან დაკავშირებული რისკების ერთობლიობა. ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღების უფლებებისა და პასუხისმგებლობის დელაგირების პროცესი იწვევს სულ უფრო სკეციალიზებული ფინანსური შუამავლების სისტემის ფორმირებას, რომლებიც გარკვეულ გასამრჯელოს იღებენ შემდეგი ფუნქციების შესრულებისათვის:

- ინვესტიციური რისკების ერთობლიობის ან მისი ცალკეული კლასის ანალიზი;
- ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღება;
- მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება;
- ინვესტიციათა პორტფელის ფორმირება და მართვა;
- ამა თუ იმ სახის რისკისაგან ინვესტორის დაზღვევა და ა.შ.

საფონდო ბაზრის არსებობის განმავლობაში შექმნილი და ფუნქციონირებადი მსგავსი შუამავლების სისტემა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა (ფინანსური ინფრასტრუქტურა. იგი მიეკუთვნება მომსახურების სფეროს, რომლის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ინვესტიციური რისკების მინიმიზაცია, ანუ ბაზრისა და მისი მონაწილეების (უპირველეს ყოვლისა - ინვესტორების) მდგრადი და დინამიური განვითარების უზრუნველყოფა.

ფინანსური ინფრასტრუქტურა იცვლება და განიცდის სრულყოფას იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება საბაზრო კონიუნქტურა, გარემო პირობები და შესაბამისად, ბაზრის მონაწილეთა ქცევა. ცხადია, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და ინვესტიციურ კაპიტალზე კონკურენციის გამძაფრებამ თავისი ზეგავლენა იქონია ფინანსურ ინფრასტრუქტურაზეც. აღნიშნული შესახებ არაერთხელ დაწერილა და განსაზღვრულა ის ფაქტორები, რომლებიც თანამედროვე ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებაზე ახდენენ ზეგავლენას. ამიტომ, ჩვენს მიზანს შეადგენს განვიხილოთ საკითხი სხვა კუთხით. კერძოდ - ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილეების, როგორც ინფრასტრუქტურის ელემენტების, მირითადი ფუნქციების

შესწავლის მხრივ ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალი ასახავს ინვესტირების პროცესში ინვესტორის მიერ მოთხოვნილი ფუნქციების სტანდარტულ თანმიმდევრობას. ამასთან, საუბარია მხოლოდ ფუნქციებზე და არა იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც ამ ფუნქციებს ასრულებენ, ვინაიდან ისინი საქმაოდ ხშირად ახერხებენ რამდენიმე „ინფრასტრუქტურული ფუნქციის“ გაერთიანებას და შესრულებას.

1. ინსტიტუციური ინვესტორები.

ფასიანი ქაღალდების შესყიდვის დროს, ინვესტორის უპირველეს მიზანს (და იმავდროულად რისკს) წარმოადგენს კონკურენტულარიანი ინსტრუმენტის ან ინსტრუმენტთა კლასის შერჩევა, ანუ ფინანსური ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღება. განვითარებულ ქვეყნებში, ინვესტიციური გადაწყვეტილების დელეგირების ისტორია უკვე სამ ასწლეულს მოითვლის. შედეგად, ჩამოყალიბდა მძლავრი, მაღალი სპეციალიზაციის მქონე სისტემა ფინანსური შუამავლებისა, რომლებიც აღნიშნული მიზნის მიღწევას საკუთარ თავზე იღებენ. ესენი შეიძლება იყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის თუ საქმიანობის მიმართულების (დარგობრივი, გეოგრაფიული ან სხვა) ინვესტიციური ფონდები, იგივე ნდობითი მმართველები (ტრუსტ მანაგერს).

მოელი რიგი ნიშნებით, აღნიშნულ ჯგუფს შეიძლება ასევე მივაკუთვნოთ კერძო საპენსიო ფონდები ან სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც ფაქტობრივად საკუთარ თავზე იღებენ ინვესტორების მიერ გარკვეული მიზნით აკუმულირებული სახსრების ინვესტირების ამოცანას. იღებენ რა ინვესტიციურ გადაწყვეტილებებს ინვესტორთან წინასწარ შეთანხმებულ ფარგლებში, ინსტიტუციური ინვესტორები აზღვევენ ინვესტორებს არასწორი ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღებისაგან. ამით, რა თქმა უნდა, ეს რისკი არ ქრება, მაგრამ ინვესტორის პოზიციდან, იგი ტრანსფორმირდება ინსტიტუციური ინვესტორის არასწორად შერჩევის რისკში.

ყოფილი საბჭოთა კაგშირის რესპუბლიკებში (მათ შორის საქართველოში), ბაზრის მონაწილეთა ზემოთ აღნიშნული კლასი ჯერაც ჩანასახოვან მდგომარეობაშია და წარმოდგენილია ძირითადად საპაიო ინვესტიციური ფონდების, ბანკების (გამოიყენებიან სატრანსპორტო მართვისათვის) და საბროკერო კომპანიების სახით.

2. საბაზრო შუამავლები.

ფასიანი ქაღალდებით გარიგებების დადებისას (პირდაპირ ან ინსტიტუციური ინვესტორის დახმარებით) წარმოქმნება ინვესტიციური რისკების შემდეგი ტიპი - სავაჭრო, საანგარიშო (calculated risk) საბაზრო რისკი. იგი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ფინანსური დანაკარგების რისკი, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობით ან მისი შესრულების პროცესში დარღვევებით. სავაჭრო რისკები პირობითად შეიძლება დავყოთ შემდეგ სახეებად:

- საბაზრო ფასის განსაზღვრის რისკი;
- კონტრაგენტის შერჩევის რისკი;
- ფულადი ანგარიშების რისკი;
- ფასიანი ქაღალდების მიწოდების რისკი.

საანგარიშო რისკების ელიმინირება⁹ (შემცირება, გამორიცხვა) წარმოადგენს საქმაოდ დრმად სტრუქტურირებული შუამავლების ჯგუფის - საბაზრო შუამავლების - ფუნქციას. ზემოაღნიშნული რისკების გარდა, შუამავლების ეს ჯგუფი პასუხს აგებს მიმდინარე (მუდმივი) საბაზრო რისკების მინიმიზაციაზეც, რომლებიც მდგომარეობენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების მიმდინარე რეჟიმის გაუთვალისწინებელი ცვლილებით გამოწვეული დანაკარგების ალბათობაში. რისკების ამ ტიპს მიეკუთვნება:

⁹ ინგლისურად - Elimination - მოცილება, აღმოფხვრა, გამორიცხვა, განადგურება.

- საბაზრო ფასის ცვლილების რისკი;
- სავალუტო რისკი;
- აქტივების დაცულობის რისკი;
- ფასიანი ქაღალდებთან ურთიერთობის წესების დაცვის რისკი.

3. მარეგულირებელი ორგანოები

ინვესტორის პოზიციიდან, საფონდო ბაზრის მარეგულირებელი ორგანოების მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მისი ფინანსური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ოპტიმიზაცია. მარეგულირებელი ორგანოების არაპირდაპირ სახეებს მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ორგანოები, ორმედთაც უფლება აქვთ საკანონმდებლო და ადმასრულებელი ხელისუფლების მეშვეობით შეასრულონ საზედამხედველო ფუნქცია და მოახდინონ საფონდო ბაზრის საქმიანობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ნორმატიული ბაზა. ანალოგიური უფლება-მოსილებები შეიძლება დელეგირებულ იქნას ბაზრის პროფესიონალი მონაწილეების მიერ ფორმირებულ თვითრმარეგულირებელ ორგანიზაციებზე. ამას გარდა, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ინფრასტრუქტურის ყველა სუბიექტი რეგულირების აგენტია, ვინაიდან ისინი, გვევლინებიან რა ინვესტორის ინტერესების წარმოამდგენლად, გარკვეულწილად იძულებული არიან ხელი შეუწყონ არა მხოლოდ საკუთარი ორგანიზაციის ფუნქციონირების ოპტიმიზაციას, არამედ ფინანსური ინფრასტრუქტურისა მთლიანად.

ფასიანი ქაღალდების ეროვნული ბაზრების ფარგლებში მარეგულირებელ ორგანიზაციებს შორის ფუნქციების განაწილება სხვადასხვა ქვეყნებში საქმარებლი, ძირითადად ისტორიულ გარემოებათა და სამართლის სისტემის ეროვნულ თავისებურებათა გამო. ამასთან, მარეგულირებელ ორგანოთა საქმიანობის საბაზო ასპექტების ანალიზის შედეგად, შეიძლება მოვახდინოთ მათ მიერ შესრულებულ ფუნქციათა დაჯგუფება:

- ნორმატიული - მდგომარეობს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ოპერაციათა შესრულების წესის, მის მონაწილეთა უფლებებისა და ვალდებულებების მარეგლამენტირებელი კანონების, ადმასრულებელი ხელისუფლების აქტების და სხვა დოკუმენტების შემუშავებასა და მათ მოქმედებაში მოყვანაში;
- საზედამხედველო - გულისხმობს საფონდო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობაზე მუდმივი კონტროლის დაწესებას, მათ მიერ მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების, ხოლო უფრო ფართო გაგებით - ინვესტორებისა და ინფრასტრუქტურის სუბიექტების ინტერესების დაცვას;
- არბიტრალური - მდგომარეობს სადაო და კონფლიქტური ვითარების განმუხტვაში, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საფონდო ბირჟის ფუნქციონირების პროცესში, ინვესტორებისათვის და პროფესიონალი მონაწილეებისათვის საკუთარი ინტერესების დამოუკიდებლად დაცვის პირობების შექმნაში;
- საინფორმაციო - ითვალისწინებს ბაზრის ცალკეული სუბიექტის მიერ ოპერაციების წარმოების თავისებურებების, საქმიანობის განხორციელების საერთო პირობების შესახებ ინფორმაციის მოგროვებას, შენახვას, განზოგადებას და ბაზრის მონაწილეთა შორის გავრცელებას. ამ ფუნქციის გამოყენება შეიძლება ითვალისწინებდეს გარკვეული სახის ინფორმაციის გავრცელებაზე შეზღუდვების დაწესებასაც (მაგ.: ბაზრის მონაწილეთა ფინანსური დაბანდებების შესახებ).

ადვილი შესამჩნევია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქცია ერთმანეთთან ობიექტურ და ლოგიკურ კავშირშია და თითოეულის რეალიზაციის პროდუქტი იმავდროულად სხვების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს. მაგალითად, საზედამხედველო ფუნქციის შესრულება, ერთის მხრივ, აწვდის მარეგულირებელ ორგანოს ინფორმაციას, რომლის ნაწილი შეიძლება გავრცელდეს ბაზრის მონაწილეთა

შორის და მეორეს მხრივ, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მასალა ახალი ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებისათვის.

4. ინფრასტრუქტურის დამხმარე ელემენტები

ინფრასტრუქტურის დამხმარე ელემენტებს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი ფინანსური შუამავლები, რომლებიც ინვესტირების პროცესში პირდაპირ არ მონაწილეობენ, მაგრამ ახდენენ მასზე ზეგავლენას ინვესტორისათვის, ემიტენტისატვის ან ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოგროვების, ანალიზისა და გავრცელების გზით, მათი ინვესტიციური რისკების რაიმე ფორმით დაზღვევის ან მეორადი რისკების მართვაში დახმარების გზით.

ძირითად საქმიანობასთან ერთად სწორედ დამხმარე ფუნქციების (მაგ.: ანალიტიკური, საკონსულტაციო) შეთავსება ხდება ინფრასტრუქტურის მსხვილი სუბიექტების მიერ. შუამავლების ამ ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი ძირითადი ფუნქციონალური სახეები:

- ინვესტიციური კონსულტანტები;
- ინვესტიციური ბანკები;
- ვენჩურული კომპანიები;
- ტრანსფერ-აგენტები;
- საფონდო ბაზრის ანალიტიკოსები;
- სარეიტინგო სააგენტოები;
- აუდიორული კომპანიები;
- სადაზღვეო კომპანიები (სააგენტოები);
- იურიდიული და საგადასახადო კონსულტანტები და ა.შ.

ცხადია, ეს ჩამონათვალი სრულყოფილი არ არის. საფონდო ბაზრის ახალი სეგმენტების განვითარების, შესაბამისი ინფრასტრუქტურული ფუნქციების და მათზე მოთხოვნის წარმოქმნის შედეგად, ჩნდება ახალი პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებები, რომლებიც კუთვნილ ადგილს იკავებენ ფინანსურ ინფრასტრუქტურაში.

რევაზ ბასარია

ეპონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გადასახადის არსის და მნიშვნელობის

სრორად გაგებისათვის

გადასახადის არსებობას ხანგრძლივი, მრავალათასეული წლების ისტორია აქვს. შეიძლება ითქვას, რომ გადასახადი და სახელმწიფო (უფრო სწორად, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, და არა სახელმწიფო დღევანდელი გაგებით) ერთი ხნისა არიან. ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების წარმოშობა თავიდანვე გულისხმობდა მისი მოთხოვნილებების ძირითადად შეგნებული სამეურნეო საქმიანობით (მრომით) დაკმაყოფილებას. ამის შედეგად იქმნებოდა და იქმნება მისი ცხოვრების შენარჩუნების და გვაროვნების გაგრძელებისათვის საჭირო მატერიალური დოკუმენტები, სიკეთე. ამასთან დროთა განმავლობაში თვით ადამიანების ერთობლიობისა და ეკონომიკის განვითარებამ, შრომის დანაწილების წარმოშობაში და მისი მწარმოებლურობის გაზრდამ, ამის კვალობაზე კი სასაქონლო მეურნეობის და კერძო საკუთრების წარმოქმნაში და სხვა მოვლენებმა განაპირობა როგორც ადამიანების ჩვეულებრივი მოთხოვნილებების მკვეთრად გაფართოება. ისე თვისებრივად ახალი, განსხვავებული მოთხოვნილებების და მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო საქონელ-მომსახურების წარმოების აუცილებლობა. ეს “თვისებრივად ახალი მომსახურება” არის პირველ რიგში ადამიანთა ერთობლიობის (ჯგუფის, თემის, საზოგადოების) წევრების ნორმალური თანაარსებობის და თანაცხოვრების უზრუნველყოფა, ასეთი თანასაქმიანობის წესების შემუშავება და დაცვა, აგრეთვე სხვა ერთობლიობებთან ურთიერთობის მოგვარება (მათგან თვის დაცვა ან მათი დამორჩილება). ასეთი საერთო საქმიანობის მოწყობა-მოგვარება ჩვეულებრივ სასაქონლო ურთიერთობებზე დაყრდნობით (საქონლის ინდივიდუალური ყიდვა-მოხმარება) ვერ ხერხდება. ამიტომ

საზოგადოება იძულებული გახდა გამოეყო თავისი შემადგენლობიდან შესაბამისი რესურსებით აღჭურვილ პიროვნებათა ჯგუფი, რომელიც იკისრებდა (რომელსაც დაეკისრებოდა) ამ უკვე პრინციპულად, თვისებრივად შეცვლილ პირობებში საზოგადოების წევრთა თანაარსებობის პრობლემების რეგულირება-მართვა. ასეთი საქმიანობა და მასზე ადამიანების დასპეციალიზება ფაქტობრივად უკვე პროფესიული სახელმწიფო საქმიანობაა, სახელმწიფო ჩინონიკების, არმიის, პოლიციის და სხვ. საზოგადოებრივად სასარგებლო მომსახურების, სიკეთის, დოკუმენტის, ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (ეროვნული შემოსავლის) წარმოება; ასეთი ფასეულობების შექმნას კი ანაზღაურება სჭირდება და სწორედ ეს ანაზღაურებაა გადასახადი (ბეგარა).¹

ამასთან ეს გადახდა, თვით მომსახურების (სიკეთის) თვისებრივი განსხვავებულობა-სპეციფიკობის გამო, განაპირობებს დაძალების გამოყენების აუცილებლობას. საქმე ის არის, რომ ასეთი მომსახურება რომ მიიღონ და მოიხმარონ, ადამიანებმა შესაბამისი საზღაური უნდა გაიღონ სახელმწიფოს შესანახად, დაფარონ მისი ხარჯები. მაგრამ სახელმწიფო ქვეყნის მოსახლეობას მთლიანად და ერთნაირად ემსახურება, განურჩევლად იმისა, თუ რამდენი გადაიხადა მისმა წევრმა და გადაიხადა თუ არა საერთოდ. პოლიციის მიერ საზოგადოების ამა თუ იმ წევრის (ინდივიდის) დაცვა (ე.ი. მის მიერ მოხმარებული სიკეთის მოცულობა) არ არის დამოკიდებული, აანაზღაურებს თუ არა ინდივიდი ამ მომსახურებას. ამ მოვლენას ლიტერატურაში გამორიცხვის

შეუძლებლობას უწოდებენ: ჩვეულებრივი საქონლის (ვთქვათ, ფეხსაცმლის) ადამიანის მიერ მოხმარება გამორიცხავს სხვა ინდივიდებს იმავე საქონლით სარგებლობისგან; სახელმწიფო მომსახურების ერთი ინდივიდის თუ ინდივიდების ჯგუფების მიერ მოხმარებისას სხვების გამორიცხავა არ ხდება.

ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი საქონელ-მომსახურების (საზოგადოებრივი სიკეთის) მოხმარებას და ანაზღაურებას შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს: სიკეთე შეიძლება მოიხმარო მისი დირებულების ანაზღაურების გარეშე. ამას ისიც ემატება, რომ საზოგადოების მიერ ასეთი მომსახურების შეკვეთა-შექმნა ხდება კოლექტიურად,

¹ გადასახადის” და “ბეგარის” სინონიმებად ხმარების მართლზომიერების საკითხი და მოსაზრება, რომ ნებისმიერი გადასახადი ბეგარად გადამხდელისათვის, დამუშავებულ-დასაბუთებული იქნა თავის დროზე ფინანსების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. გ.შ. ნაშრომებში: ი. მესხია, რ. ბასარია. საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები. – თბილისი: ფსკი, 2001; რ. ბასარია. საგადასახადო სისტემის და ეკონომიკის ბეგარით დატვირთვის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ საქართველოში და მისი შეფასება. – სტატია კრებულში “გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები”, ტ.VI, თბილისი-2002; გ.ბასარია, რ.ბასარია. გადასახადი სიკეთე და უკოურება? – თბილისი: ფსკი, 2003.

ხოლო ანაზღაურება ინდივიდუალურად; საზოგადოება (მის მიერ არჩეული ორგანოები) წევეტს მთლიანობაში სახელმწიფოს შენახვის ხარჯების (სახელმწიფო მომსახურების) მოცულობის საკითხს, ამ “მოცულობის” ანაზღაურება კი ეკისრება საზოგადოების წევრებს, თანაც სხვადასხვა ზომით. ამიტომ არის, რომ საზოგადოების თვალში (და ზოგჯერ კი მეცნიერების მოსაზრებაშიც) გადასახადი წარმოჩნდება როგორც ლირებულების ერთი მიმართულებით, ანუ უნაცვალგებოდ, გადაადგილება.

ჩვენი აზრით, მცდარი დებულებაა გატარებული საქართველოს საგადასახადო კოდექსში, სადაც კითხულობთ, რომ გადასახადი არის “ბიუჯეტსა და სხვა სახელმწიფო ფონდებში სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდის გადახდის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.”² გარდა იმისა, რომ ენობრივი თვალსაზრისით მიუღებელია ერთ ასე მოკლე წინადადებაში ერთფუძიანი ოთხი სიტყვის ხმარება, შინაარსობრივადაც მასში მეტად სერიოზული შეცდომაა დაშვებული. სწორია უეჭველად პროფესორი გ. მალაშვია, როდესაც მიუთითებს, რომ გადასახადის როგორც სახსრების არაეკვივალენტური, უსასყიდლო გადაადგილების გაგება მიუღებელია, რომ მას შეცდომაში შეჰვაგს “არა მარტო თვორიული აზროვნება, არამედ გადასახადის გადამხდელთა უზარმაზარი არმია.”³

საზოგადოებრივი სიკეთის ანაზღაურების სპეციფიკურობა, რომელზედაც გვქონდა საუბარი, ართულებს მისი მოქმედების და საფასურის ადეკვატურობის დადგენას, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი საქონლის მიმართ ამას თავისუფალი ბაზარი ადვილად ახერხებს მოთხოვნა-მიწოდების გაწონასწორების საფუძველზე. ეს და სხვა ზემოთ აღნიშნული მიზეზები განაპირობებს საზოგადოებაში ბეგარის გადახდისგან თავის არიდების განწყობას, საზოგადოებრივი სიკეთის ნაკლები ანაზღაურებით (ან საერთოდ აუნაზღაურებლად) მითვისება-მოხმარების სურვილს.

გადასახადისადმი ასეთ, მისი არსიდან გამომდინარე იმანენტურ დამოკიდებულებას კიდევ უფრო განამტკიცებს ის მოვლენა, რომ სახელმწიფო,

¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი (ხაზგასმა ჩემია.-რ.ბ.)

³ გ. მალაშვია. გადასახადების ობიექტურობის და ეფექტიანობის პრობლემა. სტატია კრებულში “გარდამავალი ეკონომიკის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები,” ტ. III-თბილისი: ცხკი, 1999, გვ.96.

განსაკუთრებით დესპოტური მმართველობის პირობებში, საზოგადოებისათვის აუცილებელი თავისი მომსახურების საფასურს სულ უფრო აღიქვამს მისთვის, როგორც ძლიერისა და განსაკუთრებულისთვის, დამსახურებული საუკეთესო პირობების შექმნის წყარო-საშუალებას. ესეც რომ არა, ნებისმიერი სახელმწიფო წარმონაქმნს, როგორც მართვის თეორია ამტკიცებს, თვითზრდის, თავისი საქმიანობის მოცულობისა და მნიშვნელობის (ფასეულების) გაზვიადება-გაზრდა ახასიათებს; ამას ემატება აგრეთვე ისიც, რომ ხელისუფლება ყოველთვის რაციონალურად როდი გამოიყენებს ეკონომიკიდან ამოღებულ გადასახადს.

ასე რომ ქვეყანაში საერთო გადასახადის მოცულობა პირდაპირ დაკავშირებულია ხელისუფლების პროფესიულობა – პასუხისმგებლობასთან, მის დემოკრატიულობასთან. შეიძლება ითქვას, რომ, რაც უფრო არადემოკრატიულია სახელმწიფო, სხვა თანაბარ პირობებში, როგორც წესი, მით უფრო არაოპტიმალური, ნამეტნავად კონფისკაციური და საზიანოა ხელისუფლების ჩარევა ეკონომიკის ფუნქციონირებაში, რაც უპირველესად საგადასახადო პოლიტიკაში პოულობს ასახვას. საქმე ისაა, რომ ასეთი სახელმწიფოს ზემოქმედება ბიზნესზე, მისგან კანონიერად თუ უკანონოდ ამოღებული ბეგარა, თავისუფელი სასამართლოს და საჯაროობის (მ.შ. განსაკუთრებით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გაწევაში) არარსებობის და ხშირად სახელისუფლო სქრუქტურების, პარტიების და კლანური ძალების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო, ამ უკანასკნელთა კორპორაციული და პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის გამოიყენება. ამასთან ასეთ პირობებში ეკონომიკაში სახელმწიფოს რეალური ჩარევის გაანგარიშება-გათვლა გართულებული და შეუძლებელიც კია.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მუხრუჭდება ინვესტირება ეკონომიკაში, ფერხდება მისი განვითარება, და ეს ეხება არა მარტო სამამულო ინვესტიციებს. უცხოელ ინვესტიციებს არა აქვთ ასეთ პირობებში ზუსტი ინფორმაცია, რომ რეალურად გაერკვნენ იმაში, თუ რამდენად შედეგიანი და უსაფრთხო იქნება ინვესტიციების ჩადება ასეთი ქვეყნის ეკონომიკაში. აქ ვერავინ გეტყვით დანამდვილებით, თუ როგორია საგადასახადო ტვირთი (წნები), ვინაიდან გადახდების ნაწილი სახელმწიფო რეკეტის გამო ბიუჯეტში ვერ ხვდება, ხოლო ერთობლივ შინა პროდუქტში ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლის კუთრი წონის მაჩვენებელი (რომლითაც ჩვეულებრივად ზომავენ ამ წნებს) არაფრისმოქმედი ინფორმაციაა.

ყველაფერი ზემოთქმული (სა სხვა მიზეზები) განაპირობებს სახელმწიფოს (მისი შენახვის ხარჯების, ანუ გადასახადების) მოცულობის სწორად განსაზღვრის სირთულეს, იმას, რომ ძალზე ძნელია ქვეყანაში გადასახადის ოპტიმალური ოდენობის მიგნება; ამიტომ ეკონომიკის საგადასახადო განაკვეთით დატვირთვა ხშირად საჭირო-სასარგებლობების მეტია.

ზემოგამართული საუბრიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ გადასახადი არის საზოგადოებისა და მისი წევრების ნორმალურად ფუნქციონირებისათვის საჭირო წესების დამუშავებელი და გამტარებელი სპეციალური ორგანოს (სახელმწიფოს) შენახვისა და საქმიანობის ხარჯების სპეციფიკური (იძულებითი, სავალდებულო-კანონმდებლობითი) ანაზღაურება, რომელიც საჭიროა ამ ორგანოს მიერ საზოგადოებისათვის გაწეული პოლოტიკურ-ადმინისტრაციული, ეკონომიკური და სოციალური მომსახურების დასაფარავად, აგრეთვე კერძო საკუთრების მოცულობაზე კონტროლისათვის. აქევე ისიც უნდა დაემატოს (და ეს გადასახადის არსის განსაზღვრის გაგრზელება ფაქტობრივად), რომ ეკონომიკიდან რეალურად ამოღებული გადასახადის მთლიანი მოცულობა პრაქტიკულად არასდროს არ არის ოპტიმალური; ამიტომ ის ყოველთვის ორადი ხასიათისაა, ორჭოფულია: ერთდროულად სიკეთეც არის და უკეთეურებაც. ეს განმარტება მთლიანობაში არ გამოირჩევა განსაკუთრებული ორიგინალობით, ის მნიშვნელოვანწილად იმის ინტერპრეტაციაა, რაც უცხოურ ლიტერატურაში გვხვდება.⁴ ამასთან, მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ ჩვენ განსაკუთრებით აღვნიშნავთ, რომ გადასახადის მოცულობა ორადი ხასიათისაა და, როგორც წესი, ორი ნაწილისაგან შედგება: ერთი საზოგადოებისათვის აუცილებელი საქონელ-მომსახურებაა (ეს სასარგებლო და გარდაუგალია, ეშპ-ის შექმნაა); მეორე კი კერძო სექტორიდან გადამეტებულად ამოღებული ან არარაციონალურად გამოყენებული ბეგარაა (ეს კი ზედმეტი და არააუცილებელი ტვირთია, მაშასადამე, საზიანოა ეკონომიკის განვითარებისათვის, მთლიანად საზოგადოებისათვის).

გადასახადის არისის ასეთი გაგება, ბეგარისადმი ასეთი მიღვომა ნათლად მიგვანიშნებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის საგადასახადო პოლიტიკის სწორად განსაზღვრა-გატარებას,

⁴ მაგალითად (რუს): ფინანსი. ოკსფორდსკიი ტოლკოვიი სლოვარ. მ: იზდ. “ვეს მირ”, 1997; სლოვარ სოვრემენო ეკონომიჩესკოი ტერიტორიი მაკმილლანია. – მ: ინფრა, 1997.

ეკონომიკის გადასახადით ოპტიმალურად დატვირთვის მიზნებას, რამდენად აქტუალური და აუცილებელია ამ საქმის გადამწყვეტი ადამიანების და მთლიანად სტრუქტურების მაღალპროფესიულობა, პერსპექტივისაკენ მიმართული სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი. საგადასახადო დატვირთვის ორივე მხარეს (ნაკლებისაკენ თუ ზედმეტისაკენ) გადახრა საზიანოა ეკონომიკისათვის, მთლიანად საზოგადოებისათვის: პირველ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკიდან ამოიღება იმაზე ნაკლები გადასახადი, ვიდრე ეს საჭიროა საზოგადოებრივი სიკეთის (სახელმწიფო მომსახურების) აუცილებელი მოცულობის წარმოებისადვის, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო საჭირო დონეზე ვერ შეასრულებს თავის ძირითად ფუნქციებს; მეორე შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ეკონომიკიდან ამოიღებს იმაზე მეტ გადასახადს, ვიდრე ეს აუცილებელია საზოგადოების ნორმალური ფუნქციებისათვის (ამაში შედის მოზიდული სახსრების არარაციონალურად გამოყენებაც), ფაქტობრივად ეს იქნება იმ სახსრების განიავება, რომლებსაც ბიზნესი მაღალშედეგიანად გამოიყენებდა.

საგადასახადო პოლიტიკის კონცეფციურად გადაწყვეტის თვალსაზრისით, ჩვეულებრივად უფრო აქტუალურია იმ ამოცანის გადაწყვეტა, რომ ეკონომიკიდან არ იქნეს ამოღებული ზედმეტი ბეგარა. ნაკლებ სავარაუდოა, რომ სახელმწიფო (ხელისუფლება), რომელიც თვითონ აწესებს ქვეყანაში გადასახადებს (თავისი თავის შენახვის ხარჯებს), თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, დაიზარალებს თავის თავს და ოპტიმალურზე ნაკლებ სახსრებს ამოიღებს ეკონომიკიდან. ამიტომ ძირითადი ამოცანა სწორი საგადასახადო პოლიტიკის შემუშვებისათვის იმაში გამოიხატება, ჩვენი აზრით, რომ ქვეყნის ხელისუფლებაში დამკვიდრდეს და ცხოვრებაში გატარდეს ეკონომიკაში საგადასახადო დატვირთის შესაძლებლად შემცირების (“მინიმიზაციის”) სარგებლობის განწყობა. ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებას ახასიათებდეს მაქსიმალური გამჭვირვალობა და საჯაროობა.

ელგუჯა კონჯარია

მკონმიკის აკადემიური დოქტორი,

ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ადგილობრივი ფინანსები და მათი როლი რეგიონში

ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში

ადგილობრივი ფინანსები ქვეყნის ერთიანი ფინანსების ორგანულ შემადგენელ ნაწილს შეადგენს. მათ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, სოციალური ინფრასტრუქტურის მართვისა და რეგიონული პოლიტიკის განხორციელების საქმეში. ადგილობრივ ფინანსებზე მოდის განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ფინანსური რესურსების 30-დან 60 პროცენტამდე.

როგორც წესი, ადგილობრივ ფინანსებს მიაკუთვნებენ მხარეების, საგრაფოების, ქალაქების, რაიონების, სოფლების და ა.შ. ტერიტორიული ერთეულების ფინანსებს. ფინანსების დაყოფა ადგილობრივ და ცენტრალურ ფინანსებად ხდება როგორც ფედერაციული მოწყობის, ისე უნიტარულ სახელმწიფოებში. ფედერაციული მოწყობის ქვეყნებში ადგილობრივი ფინანსების სისტემაში ერთიანდება არა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები, არამედ ამა თუ იმ ქვეყნებში შემავალი ფედერაციის-შტატების, რესპუბლიკების, მიწების, კანტონების, პროვინციების და ა.შ. ფინანსები.

ტერიტორიული ფინანსები წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას, რომლის საშუალებითაც ხდება ეროვნული შემოსავლის განაწილება და გადანაწილება ტერიტორიის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.⁵

ადგილობრივი ფინანსები წარმოადგენს რეგიონალურ დონეზე კვლავწარმოების აუცილებელ ელემენტს, მათი საშუალებით ხდება ეკონომიკურ ურთიერთობათა რეალიზაცია, ადგილობრივი ორგანოების მიერ ეროვნული შემოსავლის განაწილება, გადანაწილება და გამოყენება იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც დასახულია ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის წინაშე.⁶

მხოლოდიმი დემოკრატიული პრინციპების განვითარების კვალდაკვალ მიმდინარეობს სახელმწიფოებრივი მოწყობის და მართვის მექანიზმების დაცვენა და სრულყოფა. ამის ნათელი დადასტურებაა, რომ მრავალ ქვეყანაში დემოკრატიულ

⁵ Финансы капитализма, под ред. Б. Г. Болдырева М., “Финансы и статистика”, 1990, с.179

⁶ Финансы. Денежное обращение. Кредит, под ред. Л. А. Дробозиной, М. Финансы, ЮНИТИ, 1997, С. 225

სახლემწიფოებრივი მოწყობის მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის შემოღება, რომლითაც მოსახლეობა ახორციელებს საკუთარი ტერიტორიის მართვასა და რეგულირებას მის მიერ თავისუფლად არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ. თვითმმართველობის და აღმასრულებელ ორგანოებს აუცილებლად სჭირდებათ ქონებრივი და ფინანსურ-საბიუჯეტო უფლებამოსილებანი. დემოკრატიული მართვა შეუძლებელია საჭირო რაოდენობის ფულის, სახსრების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია მართვის ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდებისაკენ შემობრუნება და მბრძანებლური რეჟიმის აღდგენა.

დღევანდელ ეტაპზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეინიშნება ეკონომიკური და სოციალური პროცესების რეგიონალიზაციის თანდათანობით გადრმავება, რაც მდგრმარეობს იმაში, რომ აღნიშნული პროცესების რეგულირება ცენტრალური ხელისუფლებიდან გადადის ადგილობრივ ტერიტორიულ ორგანოებზე. შედეგად ამისა ძლიერდება ტერიტორიული ფინანსების როლი და ფართოვდება მათი გამოყენების სფერო.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ ფიანსებს. სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის გატარებისათვის. შახელმწიფო, უტოვებს რა საბიუჯეტო შემოსავლების გარკვეულ ნაწილს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, ამით უზრუნველყოფს განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური მომსახურების, გზების მშენებლობის და შენახვის და სხვა სარჯების დაფინანსებას. ამასთან ერთად რაც უფრო მსხვილია რეგიონი, მით ფართვა ტერიტორიული ფინანსების გამოყენების სფერო. მაგალითად, მსხვილი რეგიონები აფინასებენ არა მხოლოდ ზოგად საგანმანათლებლო სისტემას, არამედ საშუალო, სპეციალურ და უმაღლეს განათლებას ჯანდაცვის მსხვილ ობიექტებს, გარემოს დაცვას და ა.შ.

ადგილობრივი ფიანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას შეადგენს ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეების გამოთანაბრება. სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად (ისტორიული, გეოგრაფიულ-ბენებრივი და ა.შ.) რეგიონების განვითარების დონე არათანაბარია, ზოგ მათგანში სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურა მაღალგანვითარებულია, ნაწილში შედარებით ჩამორჩენილია, რის გამოც შესაბამისად დაბალია მოსახლეობის ცხოვრების დონე. ასეთ პირობებში დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური ფუნქციაა ქვეყნის ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრება. ამ უკანასკნელ პერიოდში ამ მიზნით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფართოდ გამოიყენებენ რეგიონალურ-მიზნობრივ პროგრამებს, რომელთა დასაფინანსებლად სახსრები უნდა იქნეს მობილიზებული შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტიდან. ცხადია, დეპრესიული, დაბალგანვითარებული რეგიონების საბიუჯეტო შემოსავლები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ზემოხსენებული მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებას. მიზომ ასეთ შემთხვევაში დამატებით უნდა იქნეს მოზიდული სახსრები ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან კიდევ პროგრამული რეგიონის ბიუჯეტის ზემდგომი ბიუჯეტიდან.

ნებისმიერი სახელმწიფოს ცენტრს და რეგიონებს შორის მყარდება გარკვეული ფინანსური ურთიერთობები. ცენტრალური ხელისუფლება ტერიტორიულ ბიუჯეტებს გამოყოფს ანარიცხებს ძირითადი (ხშირად მას უწოდებენ ფედერალურს,) გადასახადებიდან გარკვეული მიზნების განსახორციელებლად, როგორიცაა ჯანდაცვის განვითარება, გზების, კომუნალური ობიექტების მშენებლობა და ა.შ.

ადგილობრივი ფინანსების სტრუქტურაში ძირითადად გამოყოფება თრ ელემენტს-ადგილობრივ ბიუჯეტებს და სამეურნეო სუბიექტის ფინანსებს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მთავარი ამ ორიდან მაინც რეგიონალური ბიუჯეტებია, რადგან ტერიტორიის კომპლექსური განვითარების პრობლემების გადაწყვეტის მთელი სიმძიმე ამ უკანასკნელზე მოდის. რაც შეეხება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული საწარმოთა ფინანსურ რესურსებს, მათი გამოყენება აგრეთვე ხდება სოციალურ-კულტურული საყოფაცხოვრებო-კომუნალური ობიექტების დასატინანსებლად, მაგრამ უმეტესწილად მათში მომუშავე მუშაკების სოციალურ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

ადგილობრივი ბიუჯეტები წარმოადგენებ ძირითად ეკონომიკურ არხს, წარმოების და მომსახურების საბოლოო შედეგების მოსახლეობამდე დასაყვანად. ისინი უზრუნველყოფენ ფულადი და მატერიალური ფასეულობების გადანაწილებას მოსახლეობის ცალკეული ჯგუფებს შორის. როგორიც განვითარებული ქვეყნების ადგილობრივი ბიუჯეტების გამოყენების პრაქტიკა ადასტურებს, დიდია მათი როლი არაა მხოლოდ მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაში, არამედ საწარმოო სფეროს ისეთი დარგების განვითარებისათვის, როგორიცაა ადგილობრივი მრეწველობა, კომუნალური მეურნეობა და სხვა, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციას და მომსახურებას თავის მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ადგილობრივი, ისე მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

ჩვენი ქვეყნის გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ადგილობრივი ბიუჯეტების ეკონომიკური ფუნქციები უფრო ფართე და მრავალწახნაგოვანია, მათ უნდა გადაწყვიტონ ისეთი ამოცანები როგორიცაა: ფულადი ფონდების იმ მოცულობათა ფორმირება, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სოციალურ ეკონომიკურ ამოცანათა რეალიზაციას; ადგილობრივი ფულადი ფონდების განაწილება სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს შორის, სამოქალაქო ომის დროს დაზიანებული საწარმო და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დროებით გადაადგილებული პირებისათვის სოციალური დახმარების გაწევა, იმ წარმოება დაწესებულებების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლი, რომლებიც ექვემდებარებიან ადგილობრივ ხელისუფლებას, ამავე დროს ადგილობრივმა ბიუჯეტებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და მოსახლეობის დასაქმების დონის გაზრდის საქმეში.

ადგილობრივ ბიუჯეტებს საკუთარი სახსრების განაწილებასა და მოხმარებაზე კონტროლთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ იმ სახელმწიფო სახსრების განაწილების საქმეში, რომლებსაც გამოყოფს ცენტრალური ხელისუფლება ტერიტორიული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. გარდა ამისა,

ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებში შედის საწარმოო ძალების ოპტიმალური განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე, რისთვისაც იგი ეკონომიკურ მეთოდებს შორის ყველაზე აქტიურად იყენებს საბიუჯეტო სისტემას და მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტების შესაძლებლობებს. ცენტრალურ ხელისუფლებას შეუძლია საბიუჯეტო სისტემის მეშვეობით მოახდინოს ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგულირება, საჭირო შემთხვევაში დაასტიმულოს ან შეზღუდოს ცალკეული დარგების განვითარება, შექმნას პირობები კერძო საწარმოთა დანახარჯების შემცირებისა და მათ მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის.

ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯების გაზრდაში დიდი როლი შეიძლება შეასრულონ პოლიტიკურმა ფაქტორებმაც. მას შეიძლება ადგილი ექნეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობაში სოციალურ-კულტურული განვითრების დონის ჩამორჩენილობა იწვევს სოციალურ უკაყოფილებას და მოსალოდნელია მისი გაზრდა პოლიტიკურ დაპირისპირებულობაში. ასეთ შემთხვევაში ხშირად ცენტრალური ხელისუფლება იძულებულია გამოყოს დამატებითი სახსრები ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი (რეგიონის) მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ბიუჯეტის რეგულირება ფართოდ გამოიყენება საბიუჯეტო საქმიანობის პრაქტიკაში, ძირითადად კი ადგილობრივ ბიუჯეტებთან მიმართებაში. სახელმწიფო საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ბიუჯეტებს მათ მიერ მოზიდულ სახსრებს ზევით გამოყოფს ფინანსურ რესურსებს, რეგიონული მმართველი ორგანოებზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად. ამ გზით სახელმწიფო ახდენს ყველა დონის ბიუჯეტების რეგულირებას, შემოსავლების და გასავლების დაბალანსებას.

ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ფორმირება სხვადასხვა ქვეყნებში არაერთგაროვანია, თუმცა ძირითადად გამოიყენება ისეთი ადგილობრივი გადასახადები როგორიცაა:ფიზიკური პირების ქონებიდან გადასახადი, უძრავ ქონებაზე გადასახადი, საკურორტო ზონაში საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე გადასახადი, რეკლამაზე გადასახადი, საკურორტო მოსაკრებელი, სასტუმროს გადასახადი, მიწის გადასახადი, ვაჭრობის უფლებაზე მოსაკრებელი, საცალო ვაჭრობაზე გადასახადი, მემკვიდრეობით და ჩუქებით მიღებულ საკუთრებაზე გადასახადი, მიზნობრივი მოსაკრებლები მოსახლეობიდან და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან პოლიციის შენახვაზე, ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, განათლების და სხვა საჭიროებისათვის, გადასახადი საცხოვრებელი ფონდების და სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების შენახვისათვის, მოსაკრებელი სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის უფლებისათვის, მოსაკრებელი ავტომანქანების პარკირებისათვის, მოსაკრებელი ადგილობრივი სიმბოლოების გამოყენებისათვის, მოსაკრებელი სპორტულ მოგებებზე, მოსაკრებელი ბირჟაზე გარიგებისათვის და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ზურაბიშვილი ვ, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი საბაზო ეკონომიკის ფორმირების პროცესში, წიგნი: “ გარდამავალი პერიოდის საფინანსო ეკონომიკური პრობლემები საქართველოში,” ტომი პირველი, თბილისი, ფსკი, 1996
2. გამსახურდია გ, ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში, თბილისი 1997
3. კაკულია რ, ფინანსების ზოგადი თეორია, თბილისი 2007
4. საქართველოს სახელმწიფო კანონი “ საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლება მოსილებათა შესახებ”, თბილისი 2004
5. მესხია ი, ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობების პრობლემები, ჟ. “ეკონომიკა”, №9-11, 1996

ბორის ჭიჭინაძე

სოხუმის აკაკი ჩხარტიშვილის სახელობის პუმანიტარულ-ეკონომიკური

უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

საქართველოში საბაზასახადო ბარემოს გაშმაღლების საპითხისათვის

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ქართულმა ეროვნულმა ეკონომიკამ ფუნქციონირება ფაქტიურად 1992 წლიდან დაიწყო, რაოდენ გასაკვირად არ უნდა მოგეწვენოთ ამ 20 წლის განმავლობაში მრავალი ათეული ე.წ. „უცხოელი „ექსპერტი“ მოძღვრავდა, შესაბამის რჩევებს და რეკომენდაციებს აძლევდა ქვეყნის უმაღლეს თანამდებობის პირებს ეკონომიკური აღმავლობის საქმეში, მაგრამ მიუხედავად ამისა ქვეყნის ეკონომიკა არა თუ უმჯობესდებოდა არამედ კიდევ უფრო სცილდებოდა ევროპული განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას. წარუმატებლობის გამომწვევი მიზეზების ძებნა ხშირ შემთხვევაში არ ხდებოდა და ხელოვნურად ცდილობდნენ უცხოელი ე.წ. „კეთილისმყოფელი“ მათი ქვეყნების გამოცდილების ჩვენს ეკონომიკაში ადაპტირებას. ამ უცხოელ „კეთილისმყოფელებ“-ის შენახვაზე საქართველოს ბიუჯეტიდან მრავალი მილიონი დოლარია დახარჯული, რაც დღესაც მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ბიუჯეტს. მაშ რა არის მიზეზი იმისა, რომ მიუხედავად მრავალი უცხოელი „ექსპერტ“-ის რჩევისა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა მაინც ვერ უმჯობესდებოდა? პირველ რიგში უცხოური გამოცდილების გაზიარებისას საჭიროა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის დრმა ანალიზი და შემდეგ იმ მიღწევების გაზიარება, რომელმა მიღწევებმაც გამოიწვია უცხოეთის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობა. ვერცერთი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება თუ მას არა აქვს ნორმალური და ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებული საბაჟო, საგადასახადო და გადასახადებთან მიმართებაში არსებული სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. 1992 წლიდან მოყოლებული არცერთი უცხოელი „კეთილისმყოფელი“, უცხოური გამოცდილების საქართველოში გადმოტანისას არ ითვალისწინებდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ თავისებურებებს და ხელოვნურად გვახვევდა თავზე (ამას ხშირად იმდროინდელი ხელმძღვანელი პირებიც უწყობდა ხელს) მათი ქვეყნის გამოცდილებას. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ისინი

გვკარნახობდნენ და ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოც ამტკიცებდა ისეთ საგადასახადო და საბაჟო კოდექსებს, რომელთა წაკითხვაც არა თუ ბიზნესმენს, არამედ თვით ამ კანონების მიმღებ პირებსაც უჭირდათ. ამის ნათელი მაგალითია 1997 წლის ივნისში პარლამენტის მიერ ერთხმად მიღებული პირველი საგადასახადო კოდექსი და იმ დროს თუ პარლამენტარებს შეეკითხებოდით---თუ რატომ იქნა მიღებული აღნიშნული კოდექსი მხოლოდ უცხოელების რეკომენდაციით და რატომ არ იქნა გათვალისწინებული ქართველი მეცნიერების გამოცდილებაო, ისინი გპასუხობდნენ---უცხოელებს მეტი გამოცდილება აქვთ და აბა ვის უნდა ვენდოთ? სწორედ ასეთმა არაპროფესიონალურმა და ხშირ შემთხვევაში გააზრებულად ცუდად გადადგმულმა ნაბიჯებმა ქვეყანა უდიდეს გალებში (საშინაო და საგარეო) ჩააგდო, რომლის შედეგებსაც ეხლა ვიმკით. სწორედ 1997 წელს მიღებულმა საგადასახადო კოდექსმა გააუარესა ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო და იმდროინდელი ქართული ეკონომიკის კლანური დაყოფა გამოიწვია. რადგანაც იმდროინდელი საგადასახადო კოდექსით ფაქტიურად შეუძლებელი იყო ბიზნესის ნორმალურად წარმოება და კუთვნილი გადასახადების გადახდა, ხოლო თუ რომელიმე მეწარმე ეცდებოდა გადაეხადა საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებული გადასახადები ის აუცილებლად გაკოტრდებოდა, რაც საერთო ჯამში ქვეყნის ეკონომიკის ნორმალურ განვითარებაზე ნეგატიურად მოქმედებდა. ეხლა აქ არ დავიწყებ პირველი საგადასახადო კოდექსის უარყოფით მხარეებზე საუბარს, ვიზუვი მხოლოდ ერთს, რომ 1997 წლის ივნისში მიღებულმა საგადასახადო კოდექსმა ვერ მოახდინა ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღება და ჩვენი ეკონომიკა კიდევ უფრო დამოკიდებული გახადა უცხოური ქვეყნების დახმარებებზე.

ყველა უცხოური ქვეყნის მთავრობები ცდილობენ იქონიონ გავლენის სფეროები სხვა განუვითარებელ და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებში, აიძულონ იმ ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური პირები სხვადასხვა გზებით (გრანტები, დაბალპროცენტიანი სესხები, მოსყიდვა და სხვა) მიაღებინონ ისეთი კანონები, რომლებიც დააკნინებს ეროვნულ ეკონომიკას და ამ ქვეყნებს უცხოეთის განვითარებული ქვეყნების სამომხმარებლო ბაზრად აქცევს. სწორედ ასეთ ფაქტს პქონდა ადგილი ჩვენთან 1997 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსის შემდეგ, რამაც საერთო ჯამში საგარეო ვალის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ 2005 წლის იანვრიდან შემოღებული იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადების რაოდენობა და დღეის მდგომარეობით ქვეყანაში 5 საერთო-სახელმწიფოებრივი

(საშემოსავლო, მოგება, დღბ, საბაჟო, აქციზი) და ერთი ადგილობრივი (ქონება) გადასახადი მოქმედებს. აღნიშნული ცვლილებები უდავოდ წარმატებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ საჭიროა მოხდეს იმის შესწავლა თუ რამდენად პოზიტიურად მოქმედებს ახალი საგადასახადო კოდექსი ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარებაზე. ყველა ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობაში მკაფიოდაა განსაზღვრული გადასახადის გადამხდელების უფლებებისა და მოვალეობის შესახებ, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში გამორიცხულია საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული მუხლების ორმაგი აღქმა და სხავადასხვანაირი ინტერპრეტირება. ჩვენთან კი ამ მხრივ საქმე რთულადაა. ხშირ შემთხვევაში საგადასახადო სამსახურებიც სხვადასხვანაირ განმარტებებს იძლევიან ამა თუ იმ მუხლის შესახებ, რაც ამ სფეროში გაუგებობას და მეწარმეების დაბნევას იწვევს, ეს დასტურდება საგადასახადო კოდექსის №47-ე მუხლით, რომლის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს უფროსი ან მისი მოადგილე უფლებამოსილია, გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს გადაუგზვნოს წერილობითი განმარტება, რომელიც გამოხატავს საგადასახადო ორგანოს პოზიციას პირის მიერ შესრულებული ან შესასრულებელი სამეურნეო ოპერაციისას საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ. აღნიშნული განმარტება წარმოადგენს რეკომენდაციას და მას არ აქვს სავალდებულო ხასიათი. აღნიშნული მუხლის განმარტებიდან სჩანს, რომ განხილულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ცუდ დღეში ვარდება და კანონიც არ იძლევა იმის განმარტებას თუ ვის უნდა მიმართოს საკითხის საბოლოოდ გასარკვევად გადასახადის გადამხდელმა. აღნიშნული მუხლი მეტად ბუნდოვანია და საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან საჭიროებს სასწრაფოდ დარგიულირებას, რათა აღნიშნული მუხლის ბუნდოვანებამ კიდევ არ გაართულოს ქვეყნის ბიზნეს-გარემო და უცხოური ინვენტიციების შემოდინება არ შეაფერხოს. უცხოეთში კი საქმე ამ მხრივ სხვანაირადაა, თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა ამ შემთხვევაში მკაცრად განსაზღვრავს საგადასახადო ორგანოების ვალდებულებებს და საგადასახადო ორგანოს წერილს გადასახადის გადამხდელისადმი აქვს იურიდიული ძალა. (ლოგიკურად რომ ვიმსჯელოლოთ სხვანაირად არც შეიძლება).

კიდევ უფრო რთულად დგას საქმე საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის გამოყენებისას, რომელიც ეხება გადასახადის გადამხდელის მიერ მომხმარებელთან ნალი ანგარიშსწორების განხორციელებას საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკის გაუცემლობის შემთხვევას. იმ შემთხვევაში თუ გადასახადის გადამხდელი ნალი გადასახადის გადამხდელისადმი აქვს იურიდიული ძალა.

ანგარიჩსწორების განხორციელებისას ჩეკს არ გამოუწერს მომხმარებელს, მაშინ ის პირველ შემთხვევაში დაჯარიმდება 500 ლარის ოდენობით, განმეორების შემთხვევაში 1500 ლარის ოდენობით და ყოველი შემდგომი განმეორებისას 2500 ლარის ოდენობით. აღნიშნული მუხლი ფაქტიურად ეწინააღმდეგება ევროპულ ქარტიებს, იმ ქარტიებს რომლებსაც მიერთებულია საქართველო და შესაბამისი რატიფიცირებაც განხორციელებულია პარლამენტის მიერ, კერძოდ; აღნიშნული მუხლი დისკრიმინაციულია და არღვევს გადასახადის გადამხდელთა მთავარ უფლებას----ჰქონდეთ მათ ბიზნესის კეთების საშუალება. აღნიშნული მუხლი გაუგებარი და ბუნდოვანია, მაშინ როცა მინიმალური ხელფასი საჯარო სამსახურში ჯერაც 150 ლარია, ხოლო კერძო სექტორში კი 20 ლარი, საიდან იქნა აღებული ჯარიმის ეს ოდენობები? ასევე გასარკვევია თუ საიდან შემოაქვთ საქართველოში საკონტროლო-სალარო აპარატები და რა ღირს ის მომწოდებულ ქვეყნებში? და ღირს აღნიშნული აპარატები ჩვენს მეზობელ ქვეყნებში(სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი) ხომ არ აქვს ადგილი სალარო აპარატების იმპორტით დაკავებული პირების მიერ ფასების ხელოვნურ ზრდას და შემომტანების მიერ მათზე კარტერული ფასების დაწესებას? საკითხი მეტად აქტუალურია სასწრაფოდ საჭიროებს მთავრობის ჩარევას, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ გაკოტრებულ მეწარმეებს და გაზრდილ საბიუჯეტო დავალიანებებს, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას გამოიწვევს და ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო დამოკიდებულს გახდის უცხოურ დახმარებებზე. შედარებისთვის მოვიყვან ევროპის ერთ-ერთი განვითარებული ქვეყნის ავსტრიის მაგალითს. ავსტრიაში მინიმალური ხელფასი საჯარო სამსახურებში შეაღგენს 1800 ევროს, თუ ჩვენთან არსებულ დაჯარიმების მეთოდს პროპორციულად გამოვიყენებთ ავსტრიელი მცირე მეწარმის შემთხვევაში მაშინ ის ჩეკის გაუცემლობისას პირველ შემთხვევაში დაჯარიმდება 5400 ევროთი (3X1800), ხოლო განმეორების შემთხვევაში 18000 ევროთი (10X1800) ხოლო მესამედ განმეორების შემთხვევაში 29880 ევროთი (16.66X1800). ეკონომიკაში ჩახედული პირი დამერწმუნება, რომ ამდენი ოდენობის ჯარიმა, რომ ავსტრიელ მეწარმეს დააკისრო თუ რას მოიმოქმედებენ ავსტრიელი მეწარმეები. ზემოდაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა საკანონმდებლო ორგანოს მიერ გაირკვეს თუ საიდან არის აღებული ჯარიმის ოდენობები და ხომ არ ეწინააღმდეგება ის საერთაშორისოდ აღიარებული თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს. აქვე უნდა ავდიშნოთ საგადასახადო კოდექსის 280¹ მუხლის შესახებაც, აღნიშნული მუხლი არეგულირებს ახლადდარეგისტრირებული მეწარმეებისათვის საგადასახადო სესხის გაცემას. როგორც საქართველოში

ჩატარებულმა სტატისტიკურმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, აღნიშნული მუხლით განსაზღვრული საგადასახადო სესხით ფაქტიურად მეწარმეების ძალიან უმნიშვნელო ნაწილმა ისარგებლა, მაშინ როცა მსურველები ბევრი იყვნენ. აღნიშნული გამოწვეული იყო ხშირ შემთხვევაში მუხლის არაორაზროვანი გამარტებით, აქედან გამომდინარე მუხლი მკვდრადშობილად შეიძლება ჩათვალოს, საჭიროა მასში ცვლილბის შეტანა ან საერთოდ გაუქმება, ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ფაქტიურად არ არსებობს ფინანსთა მინისტრის ბრძანება საგადასახადო სესხით სარგებლობასთან დაკავშირებით.

ზემოდაღნიშნული საკითხის მოგვარებას ართულებს ასევე ის, რომ დღეისათვის არ არსებობს კანონი, რომელიც მოახდენდა ბიზნესით დაკავებული პირების დიფერენცირებას---- მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით ყველა მეწარმე მიუხედავად მათი წლიური ერთობლივი შემოსავლისა ერთნაირ დაბეგვრის რეჟიმში არიან მოქცეულნი. (უცხოეთში კი მეწარმეები სხვადასხვანაირი წესით იბეგრებიან მათი წლიური შემოსავლიდან გამომდინარე) თუ საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მოთხოვნებს გამოვიყენებო მაღალმთიანი რეგიონის რომელიმე სოფელში არსებული წისქვილის ან ჯიხურის შემთხვევაში, მაშინ ჯარიმის ოდენობა (500 ლარი, 1500 ლარი, 2500 ლარი) ამ პირებისათვის იქნება დამდუპველი და დაჯარიმება გამოიწვევს მათი საქმიანობის პარალიზირებას, მაშინ როცა აღნიშნული ჯარიმის ოდენობა ქობილისში არსებული „მაკდონალდსისთვის“, „კოკა-კოლასთვის“ ან სხვა მსხვილი ბიზნესით დაკავებული პირებისათვის შეიძლება სულაც არ იყოს ტრაგედია. საჭიროა ამ კუთხით საკითხის ღრმად მეცნიერულად შესწავლა და ისეთი კანონის მიღება, რომელიც არ იქნება დისკრიმინაციული და ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაზე იქნება ორიენტირებული. ასეთი გაუაზრებელი და არაეფექტური ჯარიმების შედეგად მეწარმე პირებს უგროვდებად საბიუჯეტო დავალიანება, რაც საერთო ჯამში ბიზნეს-გარემოს გაუარესებას იწვეს, რის შემდეგადაც სახელმწიფო ზარალდება, რაღანაც ამოუდებელი გადასახადების გამო საფრთხე ექმნება ქვეყნის ფინანსურ უშიშროებას.

ყველა განვითარებული ქვეყნის მთავრობები ზოგჯერ მიმართავს საბიუჯეტო დავალიანებების ჩამოწერის ანუ პატიების ხერხს, აღნიშნული ცნობილია საგადასახადო ამინისტრის სახელით. საგადასახადო ამინისტრია საყოველთაო ხასიათს ატარებს და მისი გამოცხადება ძირითადად ხდება მწვავე საბიუჯეტო კრიზისის, ეკონომიკური და საბანკო კრიზისის, საომარი მოვლენების შემდეგ. ამინისტრის ძირითადი მიზანია, რომ ამ სიკეთით ისარგებლოს ყველა მეწარმე (მცირე, საშუალო, მსხვილი) მიუხედავად

მათი საბიუჯეტო დავალიანების სიდიდისა, რადგანაც რომელიმე მაღალმთიან სოფელში არსებული სავაჭრო ჯიხურისათვის ან წისქვილისათვის, რომელთა თვის ბრუნვა შეადგენს 200 ლარს, 200 ლარიანი საბიუჯეტო დავალიანება წარმოადგენს დიდ თანხას, მაშინ როცა ქ.თბილისში ან ქ.ქუთაისში არსებული მსხვილი მეწარმისათვის, რომლის თვის ბრუნვა აჭარბებს მილიონ ლარს 20000 ლარიანი დავალიანებაც შეიძლება არ წარმოადგენდეს დიდ ტრაგედიას, აღნიშნული საკითხი საჭიროებს ღრმა შესწავლას და შესაბამისი ზომების მიღებას. არც წინა და არც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ არ მომხდარა ტოტალური საგადასახადო ამინისტიის გამოცხადება, მაშინ როცა ამის მიღება მართლაც წარმოადგენდა აუცილებლობას, რადგანაც 1997 წელს მიღებული ცედი საგადასახადო კოდექსის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდნენ და შესაბამისად საბიუჯეტო დავალიანებებიც დაუგროვდათ მეწარმეებს. 2005 წლიდან მიღებული იქნა კანონი „ ამინისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლაგალიზაციის შესახებ“, რომელმაც ფაქტიურად 1997 წელს მიღებული კოდექსის შედეგად დაზარებულ მეწარმეებს ვერანაირი შვება ვერ მოგვარა, უფრო მეტიც აღნიშნული კანონის მიღებით დაზარალდნენ ის მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც იმდროინდელი საგადასახადაო კოდექსის შედეგად პატიოსნად ახდენდნენ საბიუჯეტო გადასახადების დეკლარირებას, მაგრამ კოდექსის უნიათობიდან გამომდინარე სრულად ვერ იხდიდნენ გადასახადებს. ამინისტია შეეხო მხოლოდ იმ მეწარმეებს (თუ ამას შეიძლება მეწარმეები დაერქვას), რომლებიც საერთოდ არ აღგენდნენ არანაირ დეკლარაციებს და გაანგარიშებებს საგადასახადო ორგანოებში. გამომდინარე აქედან ეს კანონი ვერ ჩაითვლება ამინისტიად და მისი მიღებით მცირე მეწარმეების ფართო ფენებმა ვერანაირი სიკეთე ვერ იგრძვნეს.

ამინისტიის პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს 2009 წლის 15 დეკემბერს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ“, აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია ის კატეგორია მეწარმეებისა, რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ საგადასახადო შეთანხმებით. კერძოდ: საგადასახადო შეთანხმებით შეუძლიათ ისარგებლონ იმ მეწარმეებმა, რომელთა საგადასახადო ვალდებულებების ჯამური ოდენობა აღემატება 10000 ლარს და არ არის აღიარებული გადამხდელის მიერ. იმ შემთხვევაში თუ გადამხდელს გააჩნია აღნიშნული რაოდენობის საბიუჯეტო დავალიანება მას უფლება აქვს წერილობით მიმართოს შემოსავლების სამსახურს და რაოდენ გასაპირიც არ უნდა იყოს გადამხდელმა უნდა შესთავაზოს შემოსავლების სამსახურს იმ თანხის ოდენობის შესახებ, რომლის გადახდასაც მეწარმე შეძლებს, ამის შემდეგ შემოსავლების სამსახური გადამხდელის

წერილს გადაუგზავნის ფინანსთა სამინისტროს, ხოლო ეს უკანასკნელი კი მიმართავს საქართველოს მთავრობას გადასახადის გადამხდელის წერილის განხილვის მიზნით. საქართველოს მთავრობა იდებს გადაწყვეტილებას გადამხდელთან საგადასახადო შეთანხმების გაფორმების ან არგაფორმების შესახებ. თუ მთავრობა თანახმაა საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე, ამ შემთხვევაში შემოსავლების სამსახური უფეხმოსილია და არა ვალდებული, გადამხდელს გაუფორმოს საგადასახადო შეთანხმების აქტი, იმედია მთავრობის ეს დადგენილება დაღებითად იმოქმედებს მეწარმე-სუბიექტებზე და მათი საბიუჯეტო დაგალიანებების შემცირებას გამოიწვევს.

ხშირად არაპროფესიონალურად მიღებული კანონები იწვევს საბიუჯეტო დაგალიანების ზრდას (განსაკუთრებით 2004 წლამდე, წინა მთავრობის მიერ მიღებულმა კანონებმა გაართულა ეკონომიკური მდგომარეობა) რაც საერთო ჯამში ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემოს გაუარესებას იწვევს. გამომდინარე აქედან კი საქართველოს საერთო ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება. ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას (უცხოური ვალის კუთხით) ამტკიცებს ჩვენი ქვეყნის საგარე ვალის ზრდა, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 2010 წლის 31 მარტის მდგომარეობით შეადგენს 3 521 775 000 აშშ დოლარს (3 მილიარდ 521 მილიონ, 775 ათასი დოლარი), ეს მაჩვენებელი 2009 წლის 31 მარტისთვის შეადგენდა 2 812 743 000 აშშ დოლარს (2 მილიარდ 812 მილიონ 743 ათასი დოლარი), როგორც ვხედავთ წინა წელთან შედარებით ქვეყნის საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და თუ ამ ტემპით წავიდა ვალის ზრდა, მაშინ უახლოეს წლებში ქვეყნის ეკონომიკას ძალიან გაუჭირდება, იმედია მთავრობა ყველა ღონეს იხმარს საგარეო ვალის შემცირებისათვის. თუ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის სტატისტიკით ვიმსჯელებთ, საგარეო ვალის გასტუმრებას იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად 100 მილიონ დოლარს (დღეისათვის 180 მილიონი ლარი) გადაგიხდით დაჭირდება 30 წელი, ისიც იმ შემთხვევაში თუ დღეისათვის არსებული საგარეო ვალი კვლავ არ გაიზრდება. აღნიშნული სტატისტიკა მეტად საგანგაშოა და სასწრაფოდ ზომების მიღებას საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებ გამოუსწორებელი შედეგები მივიღოთ. საგარეო ვალის შემცირების ერთ-ერთი წინაპირობაა სამუშაო ადგილების შექმნა და სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმოება.

როგორც ზემოდ ავღნიშნე 1992 წლიდან საქართველო, თავისი ეროვნული ეკონომიკის „ასაღორძინებლად“ ჩამოსული უცხოური სტუმრების ნაკლებობას არ განიცდიდა.

უცხოელი „ექსპერტებ“-ის სტუმრობის მიზეზი ხშირად ქართული ეროვნული ეკონომიკის დაკნინება იყო. წიგნის „ეკონომიკური მკვლელის“ ავტორის ამერიკელი ჯონ პერკინსის მიხედვით ავსტრიელი ეკონომისტი ალბერტ ებერი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას ხელმძღვანელობდა 1992 წლიდან ბელგიაში, რუმინეთსა და უკრაინაში, ვერანაირ ეკონომიკური წინსვლის განხორციელებას ვერ უზრუნველყოფდა იმ ქვეყნებში. სერბი ეკონომისტის დეან მიროვიჩის დაკვირვებით „არც სავალუტო ფონდსა და არც ალბერტ ებერს არანაირად არ შეიძლება ვანდოთ ეკონომიკა“. აღსანიშნავია ის, რომ ავსტრიელი ეკონომისტის ალბერტ ებერის საქმიანობა უკრაინაში, რომელიც ხორციელდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაიდით, დამთავრდა იმით, რომ მის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად (რეფორმებს ბომად უჭერდა მხარს უკრაინის მთავრობა) 2010 წლის 1 იანვრისათვის უკრაინის საგარეო ვალმა შეადგინა თითქმის 85 მილიარდი ლოდარი, ასევე ვალებში ჩავარდენ ბელგია, რუმინეთი და სხა ევროპული ქვეყნები, აქედან შეიძლება გაპეტდეს ერთადერთი დასკვნა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაზე ჩვენ თვითონ უნდა ვიფიქროთ (ამის შესახებ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ამბობდა დიდი ილია ჭავჭავაძე), თორემ უცხოელი ე.წ.„ექსპერტები“ საქართველოში საგარეო ვალის ზრდას შეუწყობენ ხელს, რაც საერთო ჯამში დამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

როგორც ავღნიშნე ქვეყნის ეკონომიკის ნორმალურად ფუნქციონირების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამართულ საგადასახადო და საბაჟო კოდექსს. სწორედ ამ კანონებმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნის შიდა ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება და ყველა გადამხდელის ერთნაირ პირობებში ჩაყენება. (საგადასახადო კოდექსით დაუშვებელია გადამხდელის მიმართ ინდივიდუალური შედავათების დაწესება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს აკრძალვა ჩვენთან ირღვევა). მიუხედავად ამისა ხშირ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელები არათანაბარ პირობებში არიან, რაც სხვადასხვა საქონელზე კარტერული ფასების დაწესება იწვევს, რომელიც მძიმე ტკირთად აწვება ქვეყნის მოსახლეობას. კარტერული ფასების დაწესებას ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ნავთობპროდუქტების, კომუნიკაციების და სააფთიაქო სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შესაბამისი მარეგულირებელი კომისიები, რომლებსაც ევალებათ ბაზარზე წესრიგის დამყარება, მდგომარეობა მაინც კრიტიკულია და მთავრობის მხრიდან სახწაფოდ ჩარევას საჭიროებს, რათა არ მივიღოთ გამოუსწორებელი შედეგები.

მე ლრმად მწამს, რომ მთავრობის მიერ მიღებული იქნება ისეთი საბაჟო და საგადასახადო კანონები, ასევე სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის აღორძინებას, ხელს შეუწყობს უცხოური ინგენიერიულის მოზიდვას და საქართველოს ეკონომიკას კიდევ უფრო ძლიერს გახდის.

პანტელეიმონ კლდიაშვილი
თსუ-ს დოქტორანტი, ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

დეზდემონა მაღლაკელიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ქუთაისის
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საბაზასახადო პოდენსი შესული რამდენიმე ცვლილების შესახებ

“რევოლუციურად” წოდებული ახალი საგადასახადო კოდესის ამოქმედებამდე (2011 წლის 1 იანვარი), მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან მთელი რიგი ცვლილებები იქნა შეტანილი დღეს მოქმედ საგადასახადო კოდესში. აღნიშნული ცვლილებების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია იმასთან, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სახით, რამაც საშუალება მისცა მას, გადამხდელთათვის შეეთავაზებინა მთელი რიგი ფასიანი სერვისები. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ შემოსავლების სამსახურის (ისევე როგორც სხვა სახელმწიფო უწყებების) მიერ გაწეული ფასიანი მომსახურების საფასური სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანება, ეს მოვლენა მხოლოდ დადებითად შეიძლება შევაფასოთ, თუმცა თუ სიტუაციას სიდრმისეულად გავაანალიზებთ, საგადასახადო სფეროში სამოხელეო ბიზნესის განვითარებაში გარკვეული საფრთხეეც შეიძლება დავინახოთ.

ერთ-ერთი ნოვატორული იდეა – ფასიანი მომსახურეობა, რომელიც შესთავაზა შემოსავლების სამსახურმა გადამხდელებს გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო კოდესის (სსპ) მეხუთე თავში “გადასახადის გადამხდელთათვის ინფორმაციის მიწოდება”. კერძოდ, აღნიშნულ თავს დაქმატა 47¹ მუხლი – “პირადი საგადასახადო აგენტი” და 47² მუხლი – “წინასწარი გადაწყვეტილება”.

სსპ-ის 47¹ მუხლის შესაბამისად, გადამხდელს უფლება აქვს ისარგებლოს პირადი საგადასახადო აგენტის მომსახურეობით, რომელიც დაქმარება მას საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობაში, მისცემს განმარტებებს და გაუწევს პროფესიონალურ კონსულტაციებს დაბეგვრასთან დაკავშირებულ საკითხებზე, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

სსპ-ის 47² მუხლის საფუძველზე კი გადასახადის გადამხდელს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს შემოსავლების სამსახურის “წინასწარი გადაწყვეტილება განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო

ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულების თაობაზე”.

ისმის კითხვა: რამდენად წინგადადგმული ნაბიჯია ამ მუხლების ასახვა საქართველოს საგადასახადო კოდექსში? კითხვაზე პასუხის გაცემისას აუცილებლად მიგვაჩნია გავითვალისწინოთ ის, თუ რამდენად სრულყოფილი საგადასახადო სისტემა გვაქვს ქვეყანაში. ცხადია, თუ ქვეყნის საგადასახადო სისტემა სრულყოფილია და საგადასახადო კანონმდებლობა გადამხდელთათვის საინტერესო ყველა საკითხზე ჭეშმარიტ პოზიციას ნათლად და მკაფიოდ აფიქსირებს, მაშინ რა თქმა უნდა არავითარი საჭიროება პირადი საგადასახადო აგენტის, როგორც პროფესიონალი კომენტატორის (ინტერპრეტორის) და შემოსავლების სამსახურის “წინასწარი გადაწყვეტილების” ცნების არსებობისა არ არის. ხოლო, თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას მიუხედავად სისტემატიური სრულყოფისა ჯერ კიდევ გააჩნია ძალიან ბევრ არაერთმნიშვნელოვანი და ბუნდოვანი განმარტება, მაშინ ზემოთ აღნიშნული მუხლები გადასახადის გადამხდელს მართლაც გარკვეულ დახმარებას გაუწევს. თუმცა მათი ავკარგიანობის სრულყოფილი შეფასებისას მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რამდენიმე საკითხის, მხედველობაში მიღება კერძოდ:

- **მომსახურეობის საფასური.** იგი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით და შეადგენს: პირადი საგადასახადო აგენტის 6 თვით დაქირავებისათვის 2000 ლარს ნებისმიერი პირისათვის; ხოლო საგადასახადო ორგანოს წინასწარი გადაწყვეტილების მიღებისათვის – 5000 ლარიდან 30000 ლარამდე (მომსახურეობის საფასურის ოდენობა კონკრეტულ სიტუაციაში ხდება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მოკლე დროში უნდა გადამხდელს მიიღოს გადაწყვეტილება და როგორია მისი კაპიტალის ან/და წლიური ბრუნვის მოცულობა). თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დახმარება საგადასახადო კანონმდებლობის სწორად გამოყენებასთან დაკავშირებით ძირითადად სჭირდება მცირე და საშუალო ბიზნესს, ვინაიდან მათ მსხვილი ბიზნესისაგან განსხვავებით არა აქვთ კვალიფიციური ბუღალტრებისა და აუდიტორების დაქირავების ფინანსური შესაძლებლობა, ფასები საკმაოდ მაღალი, ბევრი მეწარმისათვის კი პრაქტიკულად არახელმისაწვდომია. მსხვილი ბიზნესი აქამდეც არ უჩიოდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას, თუმცა სხვადასხვა გარემოებათა გამო შეიძლება ვივარაუდოდ, რომ სწორედ მსხვილი ბიზნესი შეიძლება იყოს ზემოთ აღნიშნული მომსახურეობის მთავარი მომხმარებელი.

თუმცა, ვინაიდან სახელმწიფოს ინტერესში შედის (უნდა იყოს) ხელი შეუწყოს გადამხდელებს საგადასახადო კანონმდებლობის სწორად გაგებაში, ამიტომ მიგვაჩნია,

რომ ადნიშნული მომსახურეობა სახელმწიფომ გადამხდელებს უნდა შესთავაზოს უფასოდ ან ხელმისაწვდომ ფასად, რათა ბიზნესმა შესძლოს გამოიყენოს იგი. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბიზნესი სახელმწიფოს სისტემატიკურად უხდის თანხებს (გადასახადებს) სწორედ იმისათვის, რომ სანაცვლოდ მიიღოს გამართული საკანონმდებლო ბაზა, რომლის გაგება შესაძლებელი იქნება პირადი საგადასახადო აგენტის მიერ გაკეთებული განმარტებების გარეშეც.

• **პირადი საგადასახადო აგენტის პასუხისმგებლობა.** სსკ-ის 47¹ მუხლით განსაზღვრულია პირადი საგადასახადო აგენტის ფუნქციები, თუმცა არაფერია ნათქვამი მის პასუხისმგებლობებზე. მხოლოდ მითითებულია, რომ “პირადი საგადასახადო აგენტის მომსახურეობა არ ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების თანხობრივი ოდენობის განსაზღვრას”. ანუ ამ შემთხვევაშიც ჩვენ ვდგებით ისევ იმ პრობლემის წინაშე, რაც გვქონდა აქამდე, საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ გადამხდელისათვის საგადასახადო ორგანოს წერილობით განმარტებასთან დაკავშირებით (სსკ, მუხლი 47). კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ გადასახადის გადამხდელს საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებით შეუძლია მიიღოს წერილობითი განმარტება საგადასახადო ორგანოსაგან, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ გადამხდელს სამეურნეო ოპერაცია დაბეგრილი შეძლება ქონდეს მიღებული წერილობითი განმარტების შესაბამისად, ის იმავე საგადასახადო ორგანომ იმავე ოპერაციის არასწორად დაბეგვრაში მაინც შეიძლება დაადანაშაულოს და დააკისროს კოდექსით განსაზღვრული პასუხისმგებლობა, ვინაიდან განმარტებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი და მისი გაცემისას საგადასახადო ორგანო არ იღებს პასუხისმგებლობას ამ განმარტების სიზუსტეზე და კანონთან შესაბამისობაზე. შემოთავაზებული ცვლილებებითაც საგადასახადო აგენტი და შესაბამისად, შემოსავლების სამსახური არ იღებს პასუხისმგებლობას მის მიერ გადამხდელისათვის მიცემულ რჩევებზე რაც ნამდვილად არ არის მისასალმებული.

• **პირადი საგადასახადო აგენტის და ბუღალტრის/აუდიტორის ფუნქციები.** არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირადმა საგადასახადო აგენტმა შეიძლება შეითავსოს ბუღალტრისა და აუდიტორის ფუნქციები. ბუღალტერი სამეურნეო სუბიექტში სისტემატიკურად ახორციელებს მრავალრიცხოვან საბუღალტრო ოპერაციებს და ამდენად მიგვაჩია, რომ საგადასახადო აგენტის არსებობა ვერ მოხსნის მის საჭიროებას, თუმცა სხვაგვარი მდგომარეობა არის აუდიტორთან მიმართებაში, რომლის მთავარი ფუნქციაც სწორედ რომ კლიენტისათვის კანონმდებლობის განმარტება, სიახლეების მიწოდება და ადრიცხვისა და დაბეგვრის სფეროში კვალიფიციური

კონსულტაციების გაწევა არის. შესაბამისად, სახეზე გვაქვს საგადასახადო აგენტისა და აუტიტორის ფუნქციებს შორის მნიშვნელოვანი ურთიერთგადაფარვა და უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ერთმანეთის მთავარი კონკურენტები გახდებიან, რაშიც თავისთვის გადატენები არაფერია, თუ ეს კონკურენცია იქნება ჯანსაღი.

- **წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის გადა.** “წინასწარი გადაწყვეტილება გამოიცემა მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს 60 დღისა” (სსკ, მუხლი 47², პუნქტი 2). აღნიშნული ვადა, ჩვენი აზრით, საკმაოდ დიდია და ამ ვადაში მიღებულ გადაწყვეტილებას შეიძლება გადამხდელისთვის აზრიც არ ჰქონდეს. ამასთან თუ გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს გადავხედავთ, რაც ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 აგვისტოს №687 ბრძანებით არის განსაზღვრული და გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ მომსახურეობაში საკმაოდ დიდი თანხა აქვს გადახდილი დამკვეთს, ალბათ მიზანშეწონილი იქნება გადაწყვეტილების მიღების მაქსიმალური ვადის 30 დღემდე შემცირება.
- **საგადასახადო ორგანოს პასუხისმგებლობა წინასწარ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.** სსკ-ის 47² მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად “თუ პირი მოქმედებს წინასწარი გადაწყვეტილების შესაბამისად, დაუშვებელია საგადასახადო ორგანოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და გადასახადის დარიცხვა ან/და სანქციის დაკისრება”. ვფიქრობთ ეს არის ერთეული ნათელი წერტილი კოდექსში შეტანილი ცვლილებებისა, ვინაიდან ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანო სრულად იღებს პასუხისმგებლობას მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, თუმცა, ეს უნდა იყოს ჩვეულებრივი მოვლენა და არა გამონაკლისი შემთხვევა საგადასახადო კანონმდებლობასთან მიმართებაში. ვინაიდან დაუშვებლად მიგვაჩნია, სახელმწიფო ორგანომ მის უშუალო კომპეტენციას მიკუთვნებულ ერთი და იგივე საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს დააფიქსიროს განსხვავებული ოფიციალური პოზიცია და ამით დაზარალდეს გადასახადის გადამხდელი.
- **წინასწარი გადაწყვეტილების არაპრეცედენტულობა.** წინასწარი გადაწყვეტილების გავრცელება ხდება მხოლოდ იმ პირზე, რომლის მიმართაც გამოიცა იგი (მუხლი 47², პუნქტი 3). ისმის კითხვა: თუ ორი A და B პირი ახორციელებს აბსოლუტურად იდენტურ საქმიანობას და A პირის მიმართ საგადასახადო ორგანომ გამოსცა წინასწარი გადაწყვეტილება, რატომ არ შეიძლება იგი გამოიყენოს B პირმაც? ტექნიკურად რა თქმა უნდა ეს შესაძლებელია, მაგრამ ცხადია კანონი ზღუდავს ამას იმიტომ, რომ ეს მომსახურება ფასიანია და B-ს მასში თანხა არ გადაუხდია. შესაბამისად თუ გადაწყვეტილება იქნა პრეცედენტული, მაშინ ეს მართალია

შეამცირებს შემოსავალს ბიუჯეტში, მაგრამ მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს იმას, რომ გადამხდელთა მეტმა რაოდენობამ დაიცვას კანონმდებლობა და სწორად განახორციელოს ბიუჯეტოან ანგარიშსწორება. მიგვაჩნია, რომ ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის უარყოფითი ეფექტი, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

• **შემთხვევები, როცა წინასწარი გადაწყვეტილება არ გამოიყენება.** სსკ-ის 47²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად წინასწარი გადაწყვეტილება არ გამოიყენება, თუ “გაუქმდა ან შეიცვალა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა წინასწარი გადაწყვეტილება”. რა თქმა უნდა ეს ბუნებრივია, თუმცა შეიძლება შეიქმნას ისეთი სიტუაცია, როცა გადამხდელისათვის გადაწყვეტილების ჩაბარებისთანავე, ან ჩაბარებიდან მოკლე დროში მოხდეს შესაბამისი კანონმდებლობის ცვლილება ან გაუქმება და გადაწყვეტილება პრაქტიკულად გამოუსადეგარი იქნეს. ასეთ შემთხვევაში გადამხდელი ფინანსურად ზარალდება და ვფიქრობთ სამართლიანი იქნება თუ აღნიშნული რისკი გადანაწილდება საგადასახადო ორგანოზეც. კერძოდ, შეიძლება განისაზღვროს გარკვეული ვადა, მაგალითად 6 თვე, რომლის განმავლობაშიც იმ საკანონმდებლო ნორმის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც მიღებული იქნა წინასწარი გადაწყვეტილება, საგადასახადო ორგანოს დამკვეთის მიმართვის შემთხვევაში ექნება ვალდებულება წარუდგინოს მას იმავე საკითხზე ახალი წინასწარი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნება ახალი რეალობიდან გამომდინარე.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მუხლების არსებობა დღეს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში უფრო დადებითად შეიძლება შევაფასოთ, ვიდრე უარყოფითად, თუმცა ხანგრძლივ პერსპექტივაში მათი არსებობა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად თუნდაც იმიტომ, რომ კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის კვალობაზე, მისი ნორმების განმარტებისათვის დამატებითი სპეციალისტების მოწვევის აუცილებლობა აღარ უნდა არსებობდეს. მეორეს მხრივ, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული მომსახურებები ფასიანია და მათგან სახელმწიფო საკმაოდ დიდ შემოსავალს მიიღებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო ორგანოებს არ ექნებათ მოტივაცია იმუშავონ კანონმდებლობის დახვეწაზე, ვინაიდან, რაც უფრო სრულყოფილი, ნათელი და არაორაზროვანი იქნება მისი ნორმები, მით უფრო შემცირდება ამ მომსახურებათა მომხმარებელიც და შესაბამისად სახელმწიფოს შემოსავალიც. ეს კი განსაკუთრებით მტკიცნეული იმ სახელმწიფო ორგანოსთვის იქნება, რომელიც პირდაპირ არის პასუხისმგებელი

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებით უზრუნველყოფაზე. სწორედ ამაში გხედავთ ჩვენ საფრთხეს, რომელიც დაკავშირებულია საგადასახადო სფეროში სამოხელეო ბიზნესის განვითარებასთან.

ცირა ცეცხლაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასისტენტ-პროფესორი

ბადრი გეჩბაია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასისტენტ-პროფესორი

აბრობიზნესის პოლიტიკის სოციალიზაციის ზოგიერთი საჭირო

სახელმწიფო მნიშვნელობის პოლიტიკური, სოციალურ - ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა საკითხის განხილვა - გადაწყვეტა მოითხოვს ყველა თავისებურებების გათვალისწინებას, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია, ბუნებრივი რესურსების, საწარმოო პოტენციალის, მეწარმოების უნარისა და სახელმწიფო მარეგულირებელი ფუნქციების ეფექტური ანონსის განვითარების დონეს.

დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში ის ძირეული გარდაქმნები, რომელიც აუცილებელია საბაზრო ურთიერთობების განვითარებისათვის, ძალიან სწრაფად, მნიშვნელოვნად მოკლე დროში წარიმართა, რაც უარყოფითათ აისახა ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, თუმცა უკანასკნელ წლებში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა დადებითი გავლენა იქონია ეროვნული მეურნეობის ზოგიერთ დარგზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაზე.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას ასეველი წელი მოანდომეს. ეს სისტემა თანდათან ვითარდებოდა, ინვესტიციები და შესაბამისად მოსახლეობის ცხოვრების დონე, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა თანმიმდევრულად იზრდებოდა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დღევანდელ პირობებში სამწუხაროდ ჯერ კიდევ დამახასიათებელია მოსახლეობის უმრავლესობისათვის ცხოვრების დაბალი დონე, რომლის

დაძლევაში სრულად ვერ გამოიყენება ეკონომიკური პოტენციალი, მდგრადი განვითარების შესაძლებლობები.

არსებულ მდგომარეობას აქვს, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები, მათგან კი მთავარია ქვეყნის მართვას და დაგეგმვაში სოციალიზმისათვის დამახასიათებელი სერიოზული პრობლემების, არსებობა, რომლებიც საბაზო ეკონომიკის გარდამავალი პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ: არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რომელმაც ვერ უზრუნველყო მცირე ბიზნესისა და მეწარმეთა ინტერესების დაცვა, პრიორიტეტის მინიჭება იმ აზრზე, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი - არის ახალი სამუშაო ადგილების წყარო, სოციალური-ეკონომიკური სტაბილურობის გარანტია, კეთილდღეობის განსაზღვრული დონე, წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია, რის გარეშეც რეალურ პროგრესზე და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ზრდაზე საუბარი წარმოუდგენელია; არაეფექტური საგადასახადო სისტემა; შეცდომები პრივატიზაციის პროცესის წარმართვაში; წარმოების შედეგებით დაინტერესების პრინციპების აუმოქმედებობა და სხვა.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის უნდა განხორციელდეს საქონელწარმოების დარგობრივი შეთანაწყობა საბაზო ურთიერთობებისადმი, რაშიც ეკონომიკის სახელმწიფოებრივმა რეგულირებამ უნდა შეასრულოს გადამწყვეტი როლი.

საქართველოში უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობს ეროვნული მეურნეობის ყველა სექტორის სოციალური, სამეურნეო და ეკონომიკური ურთიერთობების რეფორმა. პროცესი შეეხო, როგორც სახელმწიფო, ისე კომერციულ და არაკომერციულ სტრუქტურებს. ყალიბდება სოციალური პრობლემების გადაჭრის ახალი მექანიზმი, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს სოციალური პარტნიორობის ეფექტური ფორმების გამოყენებას სახელმწიფოსა და ბიზნესის სეგმენტებს შორის.

სახელმწიფო რესურსების შეზღუდულობითა და არასაკმარისობით გამოწვეული დისპროპორცია ერთის მხრივ, ცალკეული დარგებისა და რეგიონების განვითარებაში მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის სოციალური პოლიტიკის სრულყოფილ და მასშტაბურ რეალიზაციას. მეორეს მხრივ იზრდება ბიზნესის ისეთი სეგმენტების რიცხვი, რომელთა მესაკუთრებს და მონაწილეებს გათავისებული აქვთ, ისე როგორც რეგიონში ასევე მთლიანად ქვეყანაში მყარი საინვესტიციო გარემოს შექმნისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის აუცილებლობა, ის, რომ მათი ბიზნესის

პროდუქციისა და მომსახურების ძირითადი მომხმარებელი ცხოვრობს განსხვავებულ გეოგრაფიულ სივრცეში.

წვენის აზრით სწორედ ამ და სხვა ფაქტორების გამო ბიზნესის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოთქვამს სურვილს, და საჭიროდ მიაჩნიათ მონაწილეობა მიიღონ სოციალური საკითხების დროულად და სრულყოფილად მოგვარებაში, ანუ ბიზნესს სხვა ძირითად მიზნებთან ერთად მიეცეს სოციალური დატვირთვა და სოციალური პასუხისმგებლობა.

მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ცალკეული რეგიონების მიხედვით შემუშავდეს პროექტი სახელმწიფებით - „ბიზნესის სოციალური ინგენიერი”. პროექტში საგარაულოდ განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა პერსონალის განვითარება; რესტრუქტურიზაციის სოციალური პასუხისმგებლობა; ყოფითი პირობების განვითარება; ბუნების დაცვითი საქმიანობა და რესურსების დაზოგვა; შრომითი არსებობის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა; საქმიანი ურთიერთობები და ურთიერთსასარგებლო პარტნიორობა და სხვა.

თუ მოხდება ასთი პროექტების შექმნა და მათ მიეცემათ რეალურად შექმნისა და განხორციელების საშუალება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თვისუფალი ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას - თავისუფალი ბიზნეს გარემო კი სოციალური უსაფრთხოების საფუძველთა საფუძველია. ამასთან ასეთი პროექტების მიზანმიმართულება, მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ მისი განხორციელების არეალში მოქმედი აგრარული სექტორიც, რადგანაც სწორედ სოფლად ცხოვრობს შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი და სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოება ერთი მეორისაგან განცალკევებულად ვერ მიიღწევა, რადგანაც ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

ქვეყანას მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესების შესაძლებლობა და პოტენციალი გააჩნია. რომელთაგან საყურადღებოა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, აგრო სამრეწველო ფონდებში სესხების ხელმისაწვდომობა, წარმოების მასტიმულირებელი, სამართლიანი საგადასახადო - საბაჟო სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს და სტიმულს მისცემს სამამულო წარმოების ზრდის საფუძველზე ექსპორტის ზრდას და იმპორტის შემცირებას. შეიქმნება ახალი დამატებითი ფინანსური რესურსები, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ქვეყანაში წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. უზრუნველვყოთ

სტაბილური ბაზრისა და კეთილსაიმედო, ეფექტიანი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბება, კადრების სწავლება - გადამზადება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, ცალკეული სტრუქტურების მხრიდან მსგავსი ტიპის პროგრამებს პიარ - კამპანიის სახე არ უნდა პქონდეს. ეს უნდა მიმდინარეობდეს რეგულარულად და მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამებზე დაყრდნობით, რადგანაც გლეხს - ფერმერს ესაჭიროება რეალური ფინანსური - მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, როგორც ეს ევროპის ბევრ განვითარებულ ქვეყანაშია.

აღნიშნულის აუცილებლობას ისიც განაპირობებს, რომ აგროსამრეწველო სექტორში დასაქმებულია 1,5 მილიონი ადამიანი, ანუ საერთოდ დასაქმებულია 54% და საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის (2228 ათასი ადამიანი) 67%; მაშინ, როდესაც დღეისათვის სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში კი მხოლოდ 12,3 % –ია.

ქართული აგრარული ბაზრის 75%-ზე მეტი იმპორტირებული პროდუქტებითაა გაჯერებული: დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობას პროდუქტების შიდა სამომხმარებლო ბაზრის საერთო მოცულობის (66,0 მილიონი აშშ დოლარი) 63% თურქეთს უკავია; აზერბაიჯანს – 8%; სომხეთს – 5%; 6% სხვადასხვა ქვეყნებს, საქართველოს კი – მხოლოდ 18%. ეს მაშინ როცა თუ დავერყდნობით ქართველ მეცნიერ - ეკონომისტებისა და წამყვანი აგრონომების შეფასებას საქართველოს წელიწადში გარკვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების 2 მოსავლიანი წარმოების პოტენციალი გააჩნია.

ეკონომიკური უსაფრთხოების დაძლევის მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელია გატარდეს აქტიური ეკონომიკური პოლიტიკა, რაც ორიენტირებული იქნება საექსპორტო დარგების განვითარებაზე, ეროვნული ეკონომიკის, სამამულო წარმოების აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და სტრატეგიულ ხასიათზე.

ჩვენ ვეთანხმებით მეცნიერთა, პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოხელეთა იმ აზრს, რომლებიც აღიარებდნენ, რომ უკანასკნელ პერიოდში ნათლად გამოიკვეთა ევროპელების სერიოზული დაინტერესება ქართული აგროსამრეწველო პროდუქციით. სწორედ აღნიშნულის დასტურია ის რომ გასულ 2 წელიწადში ევროკავშირის ორგანიზაციებმა საქართველოში დააარსეს ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი პროდუქტების წარმოების კოორდინაციის ცენტრი „CAU-CASAN“ და მცენარეთა სერთიფიკაციის კავკასიის ცენტრი „CWC“.

საქართველოს სასურსათო პოტენციალი, ექსპერტების შეფასებით, სრულიად საკმარისია 8–10 მლნ ადამიანის გამოსაკვებად, მაგრამ აგროსასურსათო პროდუქციის შეზღუდული წარმოებისა და მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარიანობის გამო, ძირითადი კვების

პროდუქტების ფაქტიური მოხმარება მნიშვნელოვნად ჩამორჩება კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ მოცულობებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, კერძოდ სასურსათო პროდუქტების მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით შემდგინა: ხორცი და ხორცპროდუქტების მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე 2000 წლისათვის შეადგენდა 32,4კგ-ს; 2009 წლისათვის შეადგინა 42,5კგ-ს, ფიზიოლოგიური ნორმით აუცილებელია 70კგ; რძე და რძის პროდუქტების მოხმარების დონე ერთსულ მოსახლეზე გაანგარიშებით 2000 წლისათვის შეადგენდა 107,5ლ-ს; 2009 წლისათვის შეადგინა 185,5 ლიტრი - ფიზიოლოგიური ნორმით აუცილებელია 330 ლიტრი; კვერცხის მოხმარება 2000 წლისათვის შეადგინა 95,5 ცალი 1 სულ მოსახლეზე; 2009 წლისათვის შეადგინა 98,8 ც - ფიზიოლოგიური ნორმით აუცილებელია 218 ცალი; პური და პურ-პროდუქტების მოხმარება 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 2000 წლისათვის შეადგენდა 199 კგ-ს; 2009 წლისათვის შეადგინა 122,3 კგ - ფიზიოლოგიური ნორმით კი აუცილებელია-140 კგ. ასეთივე მდგომარეობაა: შაქარის; კარტოფილის; მცენარეული ზეთის; ბოსტნეულ-ბაღჩეულის მოხმარებაზე 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის მიზნით აუცილებელია მეცნიერებლად დასაბუთებული და პრაქტიკულად რეალიზებადი სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება არა მარტო ქვეყნის მოსახლეობისათვის სასურსათო უზრუნველყოფაში, არამედ მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება - განმტკიცების თვალსაზრისითაც, ხოლო ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სიდარიბის დაძლევა (რაც სასურსათო პროდუქტების მოხმარების დონეში ნათლად ჩანს) პრაქტიკულად შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკისა და მისი ერთ-ერთი ძირითადი დარგის სასურსათო კომპლექსის, მთლიანად აგრარული პოლიტიკის საბაზო ეკონომიკის პრინციპებთან შეთანაწყობის, ინტენსიური, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გარეშე, პრობლემისადმი ქვეყანაში დამკვიდრებული დამოუკიდებულება და მისი რაოდენობრივი ან ხარისხობრივი მახასიათებლების არსებული პარამეტრები არა მარტო საფრთხეს უქმნის აუცილებელი ფიზიოლოგიური ნორმებით მოსახლეობის გამოკვებას, არამედ პრაქტიკულად ხელს შეუშლის ქვეყნის შემდგომ ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში. ახლო წარსულში აგრო სასურსათო-სამრეწველო კომპლექსი შეადგენდა მეპ-ის 52%-55%-ს; აქ თავმოყრილი იყო ძირითადი საწარმოო ფონდების 48%; მატერიალური წარმოების დასაქმებულ მუშაკთა 52% და აკმაყოფილებდა ქვეყნის სასურსათო მოთხოვნილების თითქმის მთელ რაოდენობას ძირითად პროდუქტებზე.

დღესდღეობით უველა ეს მაჩვენებელი თითქმის მინიმუმამდევა დაუვანილი, რამაც თავისი უარყოფითი გამოვლენა პპოვა ისეთი სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემების გადაჭრაში როგორიცაა: სასურსათო უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოება; უმუშევრობა; სოფლის გაუცხოება; მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარიანობა; სამამულო წარმოების მოხმარების დაბალი დონე; სწორედ ეს პრობლემები ქმნის აუცილებლობას იმისა რომ, აგრარული პოლიტიკის რეგულირება-რეფორმირებას საფუძვლად უნდა დაედოს მისი სპეციალიზაცია: აუცილებელი მაკრო და მიკრო პარამეტრების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს შეუწყობს და რეალურ ძვრებს გამოიწვევს, როგორც მთლიანად ქვეყნის აგრარულ პოლიტიკაში, ისე ცალკეული სოფლის მცხოვრების, ფერმერის სოციალური მდგრადერების გაუმჯობესებასა და ეკონომიკური განვითარების საქმეში.

აგრარული სექტორის განვითარების ხელშემდებარებულ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ის რომ, სოფლად ფერმერები, მესაკუთრეები და მეწარმეები საბაზო ურთიერთობათა სუსტი ცოდნითა და გამოუცდელობით გამოირჩევიან, ასევე ისინი არ ან ვერ იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს (ფინანსური საშუალებების არქონის გამო) რის გამოც, ვერ აწარმოებენ კონკურენტუნარიანი პროდუქციის. აღნიშნულ პრობლემათა დასაძლევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების დაბრკოლება, რომელიც წინ ელობება აგრარული სექტორის განვითარებას, ესაა სოფლის მეურნეობის დაკრედიტების არასრულყოფილი სისტემა. რადიკალურად უნდა გაუმჯობესდეს, ფერმერთა და საწარმოთა დაკრედიტების სისტემა, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონების და რაიონების დონეზე, რომელიც გულისხმობს შედაგათიანი კრედიტების გაცემას ფერმერებზე გარანტით. ასეთი კრედიტები ფართოდაა გავრცელებული ევროპასა და ამერიკაში, მაგალითად პოლონეთში—ესაა ძირითადად 9 თვიანი კრედიტი, 3–6%—იანი განაკვეთით, ხოლო სახოფლო—სამეურნეო საწარმოთათვის 1–5 წლამდე ხანგძლივობის 9–12%—იანი განაკვეთი წელიწადში;

2. აუცილებელია შეიქმნას სპეციალური მარეგულირებელი სამსახურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ როგორც პროდუქციის წარმოების ისე რეალიზაციის პროცესს; მაგ: შეიქმნას ფერმერთა ასოციაციები, გაერთიანდეს ერთი რაიონის ფერმერთა ჯგუფი და გაუწიოს კორდინაცია სოფლად თითოეული ფერმერის ადგილზე მომარაგებას წარმოებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით პერიოდულად გაანალიზოს ბაზარზე თავიანთი პროდუქციის მოთხოვნა-მოწოდების რეგულირება, ფასების ცვალებადობა, რეალიზაციის პროცესი და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამწუხაროდ ჩვენ გაგვაჩნია სოციალურად ორიენტირებული, მაგრამ არა მწარმოებლური ეკონომიკა, სწორედ აქ საჭიროებს მიზნობრივ და სწორი აგრარული პოლიტიკის გატარებას ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან. კერძოდ კი სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების პოლიტიკის შემუშავება, რაც ნიშნავს არა მარტო აგრარული არამედ სოციალური და ყოფითი პრობლემების კომპლექსურად გადაჭრას;

3. ზემოთ ხსენებულ მარეგულირებელ სტრუქტურასთან ერთად, აუცილებელია შეიქმნას დისტრიბუციის ფართო ქსელი, რომელიც მოაგვარებს ფერმერთა და სასოფლო სამეურნეო საწარმოთა ძირითადი და დამხმარე მასალებით მომარაგების, პროდუქციის რეალიზაციის პრობლემებს, ეს უკანასკნელი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ქართულმა პროდუქციამ დაკარგა ტრადიციული ბაზრები და შიგა ბაზრებიც კი განიცდის იმპორტული პროდუქციის ზეწოლას, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ფერმერი უზრუნველყოფილი იქნება სადისტრიბუციო მომსახურების საშუალებით მოახდინოს წარმოებული პროდუქციის კაპიტალიზაცია.

4. შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პროდუქციის საექსპორტო პროგრამების ცენტრი, ეს აუცილებელია ჩვენთვის რადგან, ჩვენი საგარეო სავაჭრო ბალანსი უარყოფითია, ექსპორტის მოცულობა ბევრად ნაკლებია იმპორტზე, რის გამოც სულ უფრო მეტად დამოკიდებული ვხდებით სხვებზე, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით;

5. შემუშავდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციისა და მოსავლის დაზღვევის ერთიანი, გამჭირვალე და მარტივი სისტემა, როგორც მრავალწლიანი ისე ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, რომელიც ფერმერებისათვის ხელმისაწვდომ ფასებში უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული მაღალი რისკების დაზღვევას და ფერმერთა მატერიალურ და სოციალურ დაცულობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. მანგელიძე - თავისუფალი ბიზნესი სოციალური უსაფრთხოების საფუძველი. ქურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2006 წ.
2. საქართველოს სტატისტიკის სახ. დეპარტამენტი „საქართველოს წელიწლები“ 2008 წ

3. ლ. ჩაგელიშვილი. საქართველო ოფიციული გაჭრობის სიმღერი. ქურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, №7, 2007 წ.
4. პ. კოდუაშვილი. საქართველომ მდგრადი განვითარების გზით უნდა იაროს
5. ქურნალი „საქართველოს ეკონომიკა“ 2007 წ.
6. აჭარის ა.რ-ის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბიულეტენი „აჭარა ციფრებში“, დეკემბერი, 2008 წ.

ირაკლი მარგველაშვილი

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

პირდაპირი უცხოური ინგლიზის აღგილი ვინასური

ეძღვომის სისტემაში

ფინანსური ეკონომიკა არის გაუპიროვნებელი საკუთრების ბატონობა, დეპერსონიფიცირებული საკუთრება, რომელიც ადვილად გადადის ხელიდან ხელში. საცვლელი ღირებულების პირველი გაელვება და ფინანსური ინსტრუმენტების და ფორმათა თანამედროვე აღზევება სხვა არაფერია, თუ არა საკუთრების განკერძოების პროცესის შედეგი და გამოვლინება. სწორედ ეს პროცესი განაპირობებს ფინანსური სექტორის ძირითად თავისებურებებს – მისი რეალური საკუთრებიდან განკერძოებულობას და შეფარდებით დამოუკიდებლობას, მის უნარს აღიქვას და გადაამუშავოს დროის ფაქტორები ღირებულების ფორმაში, ჩამოაყალიბოს მეურნეობათა სოციალურ-პოლიტიკური დახასიათება, ხოლო რაც ყველაზე მთავარია – ეკონომიკის ყველა სუბიექტი დააკავშიროს ერთიან მაკროეკონომიკურ პროცესთან, კაბიტალის მოძრაობაში მოხსნას ყოველგვარი შეზღუდვები და განახორციელოს სარისკო ინვესტიციები განუსაზღვრელობის პირობებში.

ამასთან, აბსტრაქციის პროცესი მასში ჩართული ელემენტებით რეალური მოვლენების ტრანსფორმაციაა, მათი ილუზორული ასახვაა ჩვენს შეგნებაში. ნებისმიერ აბსტრაქციას სჭირდება ავთენტიკური ფორმა, რომელიც მის წყაროდ იქცევა. ფინანსური ეკონომიკისათვის ასეთ წყაროდ იქცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარება და განსაკუთრებით მსოფლიო ფინანსური ურთიერთობების პროგრესი, უცილობლად, განპირობებული იყო კაპიტალის უცხო ქვეყნებში გატანის პროცესის გააქტიურებით. ამიტომ შეცდომად მიგვაჩნია ვისაუბროთ ფინანსურ ეკონომიკაზე და იგი განვიხილოთ მისი საფუძვლიდან მოწყვეტით.

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის მთავარ მამოძრავებელ ძალად გვევლინება კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით. აქედან ჩნდება საჭიროება ამ სფეროში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების მუდმივი შესწავლისა. კაპიტალის მიგრაციამ

მიგვიყვანა სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის გადრმავებამდე. ნებისმიერი ქვეყნისათვის (მათ შორის საქართველოსთვის), რომელიც დაადგა მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის გზას, აუცილებლობას წარმოადგენს კაპიტალის მიგრაციულ პროცესებში მონაწილეობა.

დღესდღეისობით საქართველოს საკმაოდ მორიდებული ადგილი უკავია ამ პროცესებში. სამწუხაროდ, მთელი რიგი გარემოებების გამო იგი არ არის მზად მსგავს პროცესებში სრულყოფილად ჩასართავად. კერძოდ, დაუხვეწავია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო რეგულირება, მოუგვარებელია საერთაშორისო მოლაპარაკებების სისტემაში ქვეყნის მონაწილეობის საკითხი, იქ მიღებული გადაწმენილებების დაცვის საკითხი, ჩამოუყალიბებელია ეკონომიკურ საქმიანობაში ადმინისტრაციული ჩარევის მეთოდები და ხერხები და ა.შ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ ლიბერალური სტრატეგიის შემუშავებისა და უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობის გაბმის პარალელურად ჩნდება კითხვები, რომლებიც უკავშირდება ისეთი ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაციას, რაც უპირველესყოვლისა ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ინტერესებში ჩაჯდება. მიზანშეწონილი იქნება უფრო ზუსტად ფორმულირდეს ინვესტიციების მიზანის პრიორიტეტული მიმართულებები, რეციპიენტი სექტორების რეგიონული და დარგობრივი მახასიათებლების მხედველობაში მიღებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მართვის საკითხის სწორ ფორმულირებაში დაგვეხმარება მისი რეგულირების მსოფლიო გამოცდილება როგორც ეროვნულ, ისე საერთშორისო დონეზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მართვის ინსტიტუციური სტრუქტურა საქართველოში არასტაბილურობით ხასიათდება, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება დადებითი საინვესტიციო კლიმატის ფორმირებაზე. საჭიროა მკვეთრად განვითაროს მოქმედი კანონებისა და იურიდიული ნორმების სრულყოფის მიმართულებები.

მსოფლიო გამოცდილების განზოგადებისა და ანალიზის საფუძველზე უნდა შეიქმნას ქართულ რეალობაში კონცეფციური მიღებომა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების მეთოდებზე, შესაძლებლობებსა და მიმართულებებზე. ეს მიზანი შეიძლება რამდენიმე ნაბიჯად დავყოთ:

- მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობის ზოგადი ტენდენციების გამოვლენა და ფორმულირება ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, მათი ფუნქციონირების პირობების განსაზღვრა და იმ ფაქტორების აღნიშვნა, რომელთა გავლენითაც ისინი ფორმულირდებიან;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებაში გამოვლენილი ტენდენციების ფორმულირება;
- ინვესტიციების რეგულირების უცხოური გამოცდილების დახასიათება. ჩვენს ქვეყანაში უცხოური სექტორის განვითარებაში მისი გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა;
- ქართული ეკონომიკის საინვესტიციო პოტენციალის გაანალიზება და ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურების შესაძლო მიმართულებების გამოვლენა;
- რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მართვის მეთოდოლიგიური ბაზის ჩამოყალიბება.

ცნობილია, რომ მსოფლიო ეკონომიკის ზრდასთან ერთად იზრდება ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობა, რომლებიც ძველებურად კონცენტრირებულია მცირერიცხოვან განვითარებულ ქვეყნებში, ეს კი ამწვავებს კონკურენციას ინვესტიციების მოპოვებაზე. განვითარებულმა ქვეყნებმა მოხდინეს სამართლებრივი გარემოს უნიფიცირება ეროვნული და უცხოური ინვესტიციებისათვის, რის გამოც “უცხოური ინვესტიციები” უფრო და უფრო პირობით ცნებად იქცა ამ სფეროში. რა თქმა უნდა შენარჩუნდა განსხვავებაც, რის ბაზაზეც მიმდინარეობს კონკურენცია, მაგრამ ძირითადი ფაქტორები საერთო გახდა: საკუთრების უფლება, ადმინისტრაციული წესების გამჭირვალობა და სხვ. ზუსტად ესენი ზემოქმედებენ ისეთ პირობებზე, რომლებიც უნდა შექმნან მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების მატარებელმა განვითარებადმა ქვეყნებმა, რათა მიიღონ ინვესტიციები.

მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საგრძნობლად გაიზარდა. ისინი გახდნენ ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, რაც უზრუნველყოფს უფრო მსხვილი ეკონომიკის ქვეყნებში საწარმოო სიმძლავრეების, კაპიტალის, ტექნოლოგიების, მმართველობითი გამოცდილების და ჩვევების, ინოვაციების გატანას მიმღებ ქვეყნებში. ასე შეუწყვეს ხელი პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მაღაიზიის, ინდონეზიის,

ფილიპინების და ტაილანდის მრეწველობის განვცითარებას. ამ ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურის ტრანსფორმაციას და მათი საერთაშორისო სპეციალიზაციის ცვლილებას – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და მინერალური ნედლეულის ექსპორტიდან მზა სამრეწველო პროდუქციის მსხვილ მწარმოებლამდე და ექსპორტიორამდე.

ინგესტიციების მოზიდვის ეფექტიანობის ზრდა დამოკიდებულია ფაქტორების კომპლექსზე, რომლებიც აყალიბებენ ინგესტიციურ კლიმატს. მათგან ყველაზე მთავარია ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური მდგრმარეობა, ეროვნული ეკონომიკის განსაზღვრულობა, ადეკვატური ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების არსებობა, ეფექტიანი ორგანიზაციული, სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო.

ქვეყნის მიმზიდველობის შეფასებისას ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია პირდაპირი უცხოური ინგესტიციების რეგულირების ეროვნული პოლიტიკა, რადგან, სწორედ ის განსაზღვრავს ქვეყნის სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემის ტრანსპარენტულობას, რომელიც გავლენას ახდენს უცხოელი ინგესტორების მიერ გაწეულ ხარჯებზე. საქართველო იმ შემთხვევაში შეძლებს პირდაპირი უცხოური ინგესტიციების გაზრდას, თუ იგი მოახდენს იმ დონისძიებების კომპლექსის რეალიზებას, რაც ითვალისწინებს ბიზნესზე საგადასახადო ტვირთის შემცირებას, სამეწარმეო საქმიანობისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი პირობების გაუმჯობესებას.

ეროვნული პოლიტიკის მთავარ მდგრენელად უნდა იქცეს უცხოელი ინგესტორებისათვის მათი უფლებებისა და საკუთრების დაცვაზე გარანტიების მიცემა, რაც უნდა განხორციელდეს რეგულირების საერთაშორისო ინსტრუმენტებით (ორმხრივი, რეგიონული, რეგიონთაშორისი და მრავალმხრივი) უზრუნველყოფილი რეჟიმების – ეროვნული რეჟიმისა და უმეტესი მფარველობის რეჟიმის საფუძველზე. ქვეყნებს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების უმეტესობა არ შეიცავს თავებს ინგესტიციური დაგების მოგვარების წესზე, რაც ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს ნაკლებად ანგარიშვალდებულს ხდის. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ყველაზე უფრო ქმედით მექანიზმს წარმოადგენს უნიფიცირებული ხასიათის მატარებელი მრავალმხრივი შეთანხმებები.

გეოპოლიტიკური ცვლილებების შედეგად, კაპიტალის მიმდები სუბიექტების რაოდენობის ზრდამ განაპირობა ამ ქვეყნებს შორის კონკურენციის გამწვავება და გამოიწვია ეკონომიკური რეჟიმების გადახდვა პირდაპირ უცხოურ ინგესტიციებთან

დაკავშირებით. ამის მიღწევა მოხდა ეროვნულ დონეზე პირდაპირი უცხოური ინგესტიციების რეგულირების რეჟიმების მასშტაბური და დაჩქარებული ლიბერალიზაციით, მთელ მსოფლიოში მრავალრიცხოვანი მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების დადებით. ამ პროცესების მიღმა ვერც საქართველო დარჩებოდა და მნიშვნელოვანწილად აღმოჩნდა მასში ჩართული.

პირდაპირი უცხოური ინგესტიციების გზაზე ბარიერების მოსპობა შეიძლება მიღწეულ იქნეს შემდეგი დონისძიებების წყალობით:

- უცხოური კომპანიების ფილიალებთან დაკავშირებული ეროვნული სტანდარტების სრულყოფით (კერძოდ, ბევრი ქვეყანა უცხოურ კომპანიებს გარანტირებულს ხდის ინგესტიციების იურიდიულ დაცვაში, უმეტესი მფარგელობის რეჟიმის შეთავაზებაში, ყველა მათგანისადმი თანაბარ მიღგომაში, ასევე მოგების თავისუფალ გადინებაში, კაპიტალის რეპატრიაციასა და დავების სამართლიან გადაწყვეტაში);
- საიმიგრაციო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით;
- სავალუტო რეგულირების ლიბერალიზაციით;
- კაპიტალდაბანდებების მინიმალურ მოცულობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემცირებით ან გაუქმებით;
- რეგისტრაციის პროცედურების გამარტივება ყველა სამეურნეო სუბიექტისათვის საერთო მოთხოვნების კომპლექტის მინიმიზირების საფუძველზე.

ლიბერალიზაციის ზოგადი ტენდენციების მიუხედავად, რეგულირების ეროვნული პოლიტიკა პირდაპირი უცხოური ინგესტიციებისთვის ყველაზე გახსნილ ქვეყნებშიც კი ინარჩუნებს ძველ მდგომარეობას, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო კონტროლს ეკონომიკაში უცხოელი ინგესტორების დაშვებაზე და მათ შემდეგ საქმიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ყველა მრავალმხრივი თუ ორმხრივი ინგესტიციური შეთანხმება უცხოურ კაპიტალს აძლევს გარანტიას ადგილობრივ ბაზებზე თავისუფალი დაშვებისა, არც ერთი მათგანი არ შეიცავს ქვეყნის მთავრობების მიერ პირდაპირი უცხოური ინგესტიციების მაკონტროლებული რაიმე მეთოდის გამოყენებაზე უარის მთქმელ წინადადებებს. საერთაშორისო გამოცდილება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თანამედროვე პირობებში ინგესტიციების მიმართულებით წარმართული ძალისხმევა უნდა დარჩეს სახელმწიფო ორგანოების ყურადღების ქვეშ, რათა არ მოხდეს ადგილობრივი ბაზების დეფორმაციის დაშვება.

მსგავსი ამოცანების წინაშე დგანან მიმღები ქვეყნების მთავრობები (განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები) გარემოს დაცვის სფეროში ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ განხორციელებული ინვესტიციების დროს. გაზრდილი ყურადღება ეკოლოგიური პრობლემების მიმართ გამოწვეულია არა მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ამ პრობლემებით დაინტერესებით, არამედ გავლენიან მომხმარებელთა ასოციაციების, მრავალრიცხოვანი ეკოლოგიური ჯგუფებისა და ორგანიზაციების მხრიდან აქტივობის ზრდით. ეს ყველაფერი ართულებს ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ ინვესტიციური პროცესის წარმართვას და უბიძგებს მათ ორმაგი ეკოლოგიური სტანდარტების გამოყენებისაკენ. ბევრი მათგანი გარემოს დაცვას განიხილავს, როგორც კომერციული ეფექტიანობის ზრდის ფაქტორს. ეს მომენტი ახალი და ჯერ კიდევ არასაკმარისად შესწავლილი ტენდენციაა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებთან დაკავშირებული პროცესების გადრმავებასთან ერთად უფრო მკაფიო ასახვას პოვებს სამეურნეო ცხოვრებაში.

ტრანსნაციონალური საქმიანობის ქმედებაში არც თუ მცირე როლის თამაშობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის კონკურენციულ ბრძოლაში ჩართული ქვეყნების ინვესტიციური იმიჯის ამსახველი ინფორმაცია. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი გამაგრებულია საგადასახადო, ფინანსური და ორგანიზაციული ხასიათის სპეციალური მასტიმულირებელი დონისძიებებით.

მთავრობა იყენებს სტიმულებს საერთო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ან დარგობრივი და რეგიონული ნაკადების გაფართოებისათვის, ასევე ინვესტიციების ხასიათის განსაზღვრისათვის, მაგალითად, როცა საჭიროა ახალი ტექნოლოგიების მატარებელი ინვესტიციების შემოდინება.

თანამედროვე პირობებში ინვესტიციური პროცესების გადრმავებისათვის გამოიყენება სხვადასხვა საგადასახადო სტიმულები ისეთ სახელმწიფო დონისძიებებთან ერთად, როგორიცაა განათლების სისტემის განვითარება, შრომის ბაზრის რეგულირება, სასაქონლო ბაზრების დერეგულირება და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. ზოგიერთი ქვეყანა, ინტეგრაციული გაერთიანება თუ საერთაშორისო შეთანხმება ცდილობს შეზღუდოს ინვესტიციური სტიმულების გამოყენება, აძლევს რა ამ მოვლენას არადისკრიმინაციულ ხასიათს და ზღუდავს შედაგათებს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ბაზრის აღმფოთება. ხშირად შეზღუდვები იდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე,

მაგალითად რიგი შეღავათები გათვალისწინებულია 1995 წ. მიღებული შეთანხმებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ინვესტიციურ დონისძიებებზე. მსგავსი დანიშნულება აქვს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საზღვრებში შემუშავებულ ინვესტიციურ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს აკრძალვებს ინვესტიციური საქმიანობის სტიმულირების მოთხოვნებზე.

მთლიანობაში მსოფლიო გამოცდილების ანალიზი მოწმობს, რომ ინვესტიციური სტიმულები, მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონეზე ვერც განვითრებულ და ვერც განვითარებად ქვეყნებში, თუმცა ასეთი სტიმულების არსებობა საშუალებას გვაძლევს გაზარდოს მოგება კონკრეტული პროექტებიდან. სტიმულებისადმი ნაკლებ მგრძნობიარეა მიმღები ქვეყნის შიდა ბაზრის მომსახურე პროექტები, ვიდრე ექსპორტზე ორიენტირებული პროექტები.

ცხრილი №1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასტიმულირებელი დონისძიებები განვითარებულ ქვეყნებში XXI-ის 90-იან წლები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულები	ბრაზილია	ჩინეთი	მექსიკა	ინდოეთი	ინდონეზია
დაბალი კორპორაციული გადასახადი	+	0	+	0	+
საგადასახადო არდადეგები	+	+	+	+	+
აქტივების შემცირების მოკლე ვადები	+	+	+	0	+
შეღავათები რეინვესტირებაზე	0	0	+	+	0
დაბალი დანარიცხები სოციალურ საჭიროებებზე	+		+	0	0
დაბალი დღგ	+	0	+	0	0
შემოტანილ რესურსებზე საიმპორტო გადასახადების შემცირება	+	+	++	+	+

(++ ძალიან განვითარებული, + განვითარებული, 0 განვითარებული).

ზემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ხუთი მსხვილი განვითარებადი ქვეყნის ინვესტიციური პოლიტიკის სტიმულებისა და პრიორიტეტების ანალიზი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ პრაქტიკაში ინერგება არაფინანსური და პირდაპირი სტიმულების კომბინირება ფინანსურ საჭიროებებთან და საერთო ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობაში. სტიმულების ნაკრები ვარირებს ქვეყნიდან ქვეყნამდეპირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების პერიოდში მნიშვნელოვანია ადმინისტრციული რეჟიმი. ბევრ ქვეყანაში კონტროლის ფუნქციებით აღჭურვილია ცენტრალური ბანკები, ფინანსთა, ეკონომიკის, ვაჭრობის, მრეწველობის და სხვა სამინისტროები. ზოგჯერ მათში გამოყოფილია სპეციალური განყოფილებები ან დეპარტამენტები, რომლებიც თანამშრომლობენ უცხოელ ინვესტორებთან. ასეთი ორგანოების ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს განაცხადების განხილვა, უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საწარმოების კონტროლი, სტიმულირება, კონსულტაციების მიცემა, პოლიტიკის შემუშავება და სხვ. რიგ ქვეყნებში ანტიმონოპოლიური სამსახური იძლევა უფლებას უცხოური კომპანიების მონაწილეობით შერწყმისა და შთანთქმის განხორციელებაზე, რათა არ მოხდეს ეროვნული მეურნეობის ამა თუ იმ დარგის მონოპოლიზაცია.

მთელი რიგი ქვეყნების გამოცდილებით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ უცხოური ინვესტიციების რეგულირება ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით რეგიონალურ (შტატი, პროვინცია) დონეზე. აშშ-ში შტატების დონეზე წარმოდგენილია ისეთი ინვესტიციური შედაგათები, როგორიცაა საგადასახადო განაკვეთის შემცირება, უფასო აღჭურვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით და სხვ. ზოგიერთ შტატში არის განვითარების სააგენტო, რომელიც უცხოელ ინვესტორებს აწვდის ინფორმაციას ცალკეული შტატების მიხედვით. კანადაში ცალკეული პროვინციები უცხოელ ინვესტორებთან მიმართებაში თავისი საკანონმდებლო აქტებით ხელმძღვანელობენ. ავსტრალიაში თითოეულ შტატში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად შექმნილია ბიუროები, რომელთაც გააჩნიათ უცხოელ ინვესტორებზე შედაგათების მინიჭების უფლება, ეს იქნება ფასდაკლებები მიწის ნაკვეთის იჯარასა თუ შეძენაზე, ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადების გადახდაზე, შედაგათიანი სესხებისა და სუბსიდიების გაცემაზე.

ძალიან მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დარგობრივი რეგულირება. მართალია, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები ნაკლებად არიან მიდრეკილნი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეზღუდვების თუ აკრძალვების დაწესებისაგან, ვიდრე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, მაგრამ

მათ კანონმდებლობაშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ მსგავსი ლიმიტები. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია, შვეიცარი, იტალია, ავსტრალია და აშშ, შეზღუდვები ძირითადად გათვალისწინებულია მომპოვებელ მრეწველობაში.

მე-20 საუკუნის ბოლოს გაიზარდა ორმხრივი ინგესტიციური შეთანხმებების როლი, როგორც საშუალებისა, რომლის დახმარებითაც მიმღები ქვეყნები უცხოელ ინგესტორებს უწვენებენ მზაობას უზრუნველყონ მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული ყველა სახელმწიფო-სამართლებრივი გარანტია. უფრო მეტიც, ორმხრივი ინგესტიციური ხელშეკრულებების ზრდა, რომელმაც საყოველთაო ხასიათი მიიღო, ისინი უფრო უნიფირებული გახდა. რეგიონალურ დონეზე (ევროკავშირი, ჩრდილოამერიკული შეთანხმება თავისუფალ ვაჭრობაზე, აზიის ქვეყნების ტექნიკურ-ეკონიმიკური თანამშრომლობა და სხვ) მიმდინარეობს ერთიანი საინვესტიციო სივრცის მშენებლობა თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნის პარალელურ პროცესთან ერთად, რაც ბაზრის მონაწილეებისათვის აუმჯობესებს ვაჭრობის პირობებს, იცავს მათ ინტერესებს ბაზარზე და უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს ინვესტიციური პროცესების ინტეგრაციისათვის.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების საკითხის განხილვისას განსაკუთრებული უურადღება უნდა მივაქციოთ უცხოური გამოცდილების გამოყენებას. სწორედ, მსოფლიო გამოცდილების საფუძველზე უნდა შემუშავდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მართვის პროცესის ორგანიზებისადმი კომპლექსური მიდგომა. საერთო სამართლებრივი ბაზის შექმნა საკმარისად ვერ უზრუნველყოფს სამეურნეო გარემოს ტრანსპარენტულობას, საკუთრების უფლებების დაცვას სამეურნეო აქტივებსა და ფინანსურ ნაკადებზე, ინვესტირების დაცვას პოლიტიკური ხასიათის რისკებისაგან და დაცვას სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელთა ზეწოლისაგან. კანონების საერთო რაოდენობა იზრდება, მაგრამ მათში ბევრია “თეთრი ლაქები”.

ინვესტიციური საქმიანობის მარეგულირებელი კანონები ცუდად უკავშირდება ერთმანეთს, ყოველთვის არ არის გათვალისწინებული ინვესტირების საერთაშორისო პრაქტიკა, ორმხრივი შეთანხმებები არ პასუხობს საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მოთხოვნებს. ამ პრობლემების მოგვარების ოპტიმალური გზა შეიძლება იყოს უცხოური ინვესტიციების სააგენტოს შექმნა ეკონომიკის სამინისტროსთან. ერთ-ერთი მისი ფუნქცია უნდა იყოს სხვადასხვა სპეციალური პუბლიკაციების გამოშვება, რომლებიც გაითვალისწინებენ უცხოელი ინვესტორების

ინტერესებს და მიაწოდებენ მათ ინფორმაციას, მაგალითად, საქართველოს ეკონომიკაზე, დარგობრივ-ანალიტიკურ მიმოხილვაზე, რეგიონალურ გამოკვლევებზე, სარეკლამო მასალებზე და ა.შ.

ზემოთ გამოთქმულის გარდა მიზანშეწონილია შეიქმნას საქართველოს და ინვესტიციური რისკების სადაზღვევო სააგენტო. ეს აუცილებელია, რადგან დღევანდელი ბიუჯეტი ვერ იქნება ინვესტორებისათვის საკმარისი გარანტია. ამასთან ერთად შეიძლება შეიქმნას პირდაპირი ინვესტიციების სადაზღვევო საგენტო. ამ ორგანოს ფუნქციები შეიძლება იყოს შემდეგი:

1. პოლიტიკის განსაზღვრა დაზღვევის სფეროში;
2. ინვესტიციური პროექტების განხილვა, გარანტიების შეთავაზება;
3. დავების დარეგულირება.

თავდაპირველი ფინანსირება საბიუჯეტო სახსრებით ინდა მოხდეს, ხოლო შემდეგ სადაზღვევო პრემიებით, რასაც ინვესტორები გადაიხდიან მიღებული გარანტიების სანაცვლოდ.

იმისათვის, რომ შეიქმნას სასარგებლო ინვესტიციური კლიმატი როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორებისათვის, აუცილებელია კანონების შემუშავებისას მოხდეს სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირებით დაკავებული საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და მოთხოვნების გათვალისწინება. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის მისწრაფებას ნატოსა და ევროკავშირის წევრობისაკენ, რომელი წარმოსადგენი არ იქნება რამდენად ძნელი გზა არის გასავლელი ზემოთ დასმული საკითხების გადასაწყვეტად. შესაძლებლობების ზრდის პროპორციულად იზრდება ვალდებულებებიც, ამიტომ, თუ გვინდა დასახული მიზნები მიღწევა ათეული წლები არ დასჭირდეს, საჭიროა სწრაფად და ადეკვატურად მოვახდინოთ ცვლილებები.

თავისუფალ ვაჭრობაზე ჩრდილო ამერიკული შეთანხმებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის მაგალითზე და ასევე სხვა გაერთიანებების მიხედვით, რომლებშიც ფართოდ მონაწილეობენ განვითარებადი ქვეყნები, შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მიზანშეწონილია და აუცილებელიც კი, რომ საქართველო გამოვიდეს ახალი რეგიონული გაერთიანების შექმნის ინიციატორად ან უკვე არსებულ გაერთიანებებში (სუამი) შევიდეს წინადადებით ინვესტიციურ საქმიანობაზე თანამშრომლობის გაფართოების მიზნით. ასეთი საჭიროება არსებობს თუნდაც იმ

მიზეზით, რომ მალე ძალას დაკარგავს დსთ-ს ეგიდით გაფორმებული ქველა ხელშეკრულება ნებისმიერი თანამშრომლობის თაობაზე.

საერთაშორისო ბაზრებზე პირდაპირი უცხოური ინგესტიციების მოზიდვაში საქართველოს უფრო კონკურენტუნარიანს გახდის შედავათების სისტემის ეროვნული რეჟიმისა და ზოგიერთ ამონაგებზე გარანტიების შემუშავება, ასევე პოტენციური ინგესტორების სრულფასოვანი ინფორმირება საელჩოების, ვაჭრობის ატაშეების, საინგესტიციო ბიუროების, ორმხრივი სავაჭრო პალატების თუ სხვათა დახმარებით. ასეთი შედავათების გამოყენება დროებით ღონისძიებად უნდა იქცეს და გამოყენებულ უნდა იქნეს შეზღუდული მასშტაბებით. პერსპექტივაში მთავარ ამოცანად უნდა იქცეს მსგავსი შედავათების ეტაპობრივი უგულვებელყოფა. ამის გარდა უნდა მოხდეს ისეთი უპირატესი მფარველობის რეჟიმის განხორციელება, რომელიც არ იქნება დისკრიმინაციული ხასიათის მატარებელი არც ერთი ქვეყნის ინგესტორის მიმართ. უპირატესი მფარველობის რეჟიმი მიზანშეწონილია ეფუძნებოდეს საბაჟო და ეკონომიკურ კავშირებს, გაფორმებულ ხელშეკრულებებს ორმაგი დაბეგვრის უგულებელყოფის შესახებ ან დაბეგვრასთან დაკავშირებულ სხვა შეთანხმებებს.

პირდაპირი უცხოური ინგესტიციების განხორციელების რეჟიმი ტრანსპარენტულობის მაღალი დონით უნდა გამოირჩეოდეს, საქართველოში, – პირდაპირ უცხოურ ინგესტიციებთან დაკავშირებით სამართლებრივი ნორმები უნდა იყოს გახსნილი და ცალსახა, ხოლო ამ ნორმების გადახედვის პროცედურები საჯარო და განხილვისათვის ხელმისაწვდომი. ჩვენი აზრით, ასევე საჭიროა მოხდეს მძაფიო ფორმულირება პირდაპირი უცხოური ინგესტიციების მოზიდვის პოლიტიკის პრიორიტეტებისა და ინსტრუმენტების ნაკრები სტიმულებისა და შემზღვდავი ღონისძიებების სახით, რაც საჭირო ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუტებისათვის იქნება აუცილებელი. პრიორიტეტულ პროექტებს უნდა შევთავაზოთ უფრო ხელსაყრელი საკანონმდებლო რეგულირების რეჟიმები. ამას გარდა, კარგი იქნება, თუ სახელმწიფოებსა და კომპანიებს შორის დაიდება სპეციალური საინგესტიციო ხელშეკრულება. მთავარია ისეთი ცალკეული ღონისძიების ხელშეწყობა, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება ქართული ეკონომიკისთვის, მათ შორის კონკურენტუნარიანი პროდუქციის ექსპორტის სტიმულირება და ახალი ტექნოლოგიების იმპორტი. ჩვენი აზრით ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია “საგადასახადო არდადეგების” გამოყენება და მოგების გადასახადის გაუქმება ან შემცირება. სახელმწიფო ინგესტიციების ნაწილი აუცილებელია მივმართოთ ამ დარგების ინფრასტრუქტურის განვითარებაში,

ტექნოლოგიური პარკების შექმნაში და ინვესტიციების კომპლექსური სტიმულირების მიზნით საქართველო ზონების შექმნაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების გაზრდის პიდევ ერთ პირობად უნდა მივიჩნიოთ ზოგადი ხასიათის ღონისძიებებისა და სპეციალური შეზღუდვების ერთდროული გამოყენება სხვადასხვა დარგში, ასევე სამართლებრივი ბაზის შემუშავება და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ინვესტორების უფლებების დამცავი საქმიანობის ჩატარება. საქართველომ საშუალოვადიან პერსპექტივაში ორიენტაცია უნდა აიღოს საშუალო და მცირე უცხოური კომპანიების მოზიდვაზე, რომლებიც განიცდიან განსაკუთრებულ საჭიროებას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასტიმულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაში.

ირაკლი ქინწურაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ა.კ. წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

მომზადების მეშვეობის ბანკითარების ზოგიერთი საგითხი

საქართველოს ეკონომიკის აღორძინება-განვითარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს აგრო-ბიზნესის განვითარებას, რადგან მას შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების საქმეში. იმისათვის, რომ საქართველომ პუთვნილი ადგილი დაიკავოს განვითარებულ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში, აუცილებელია ხელისუფლებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას და ამ სფეროში დაკავებულ მექანიზმების მიზნებს.

ამ გზით მოძრაობა გულისხმობს სოფლის მეურნეობის შეთანაწყობილი დარგების განვითარებაზე ხელშეწყობასა და სტიმულირებას, რომელშიც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს გრძელვადიანი დაკრედიტებისა და ინვესტირების უზრუნველყოფამ და საერთოდ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში საგნობრივი ნაბიჯების გადადგმამ.

აგროსექტორის განვითარების თვალსაზრისით აუცილებელია გატარებული იქნეს შემდეგი დონის ძიებები:

- აგროსექტორის განვითარების ტერიტორიული პრინციპების გამოთანაბრებისათვის ხელშეწყობა;
- მიწის სავარგულებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენება მაქსიმალური ათვისების პოზიციებიდან;
- მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება აგრობიზნესის შესაბამის დარგებში;
- აგრარული სასურსათო პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გადიდება და საექსპორტო საქონლის წარმოების გადიდების ორგანიზაცია;

- პროტექციონისტული პოლიტიკის განხორციელება ქვეყანაში შიდა სასოფლო-სამეურნეო ბაზრის განვითარებისა და დაცვის მიზნით;
 - ეროვნულ ბაზარსა და იმპორტზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და მისი ქვეყნის შიგა და მსოფლიო ბაზარზე გატანა;
 - თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება და ისეთი ბიო-პროდუქციის წარმოება რომელთა უსაზღვრო მოთხოვნაცაა მსოფლიო ბაზრებზე;
 - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის და საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეწარმეო კავშირების აღდგენა-განვითარება;
 - საკონსერვო და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ძირითადი მაპროფილებელი პროდუქციის განსაზღვრა და განვითარება, რათა მოხდეს ადგილობრივი რესურსების სრული ათვისება და გადამუშავება.
- მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. ეს დარგები უნდა უზრუნველყოფდნენ მაღალხარისხს სოვანი პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნილების დაქმაყოფილებას და მათი კეთილდღეობის ამაღლებას. ამასთან დიდია ამ დარგების როლი ადგილობრივი წარმოების ფართო მოხმარების საქონლითა და კვების პროდუქტებით ქვეყნის შიგა ბაზრის უზრუნველყოფის, ფულის მიმოქცევის რეგულირების და ბიუჯეტის შემოსავლებით ზრდის საქმეში. ამ დარგების განვითარების საფუძველთა საფუძველს კი წარმოადგენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის – აგრო სექტორის დარგთა შეთანაწყობილი განვითარება.

აგრარული მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მანქანაომშენებელი და ტრაქტორმშენებელი მრეწველობის განვითარებასა და ამოქმედებას, რის გარეშეც შეუძლებელი იქნება ქვეყნის საერთო ეკონომიკური პროგრესის, აგრარული მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური და შრომითი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება. პირველ რიგში უნდა განვითარდეს ისეთი ქვედარგები, რომლებიც სათანადო ტექნიკით მოამარგებს ქვეყნის ეროვნულ მეურნეობათა დარგებს – სოფლის მეურნეობას, კვების მრეწველობას, საოჯახო და კერძო მეურნეობებსა და სხვას.

აგრარულ სექტორს განსაკუთრებული ყურადღება იმის გამო ენიჭება, რომ აქ იწარმოება ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქცია, რომელიც ერთი

მხრივ, აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისათვის, ხოლო მეორეს მხრივ, სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის. სოფლის მეურნეობა აგრეთვე აწარმოებს ნედლეულს მრავალი დარგისათვის, კერძოდ გადამუშავებელი მრეწველობისათვის. ამდენად, მისი განვითარება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებას.

როცა საუბარია ქვეყნის აგრარულ სექტორზე, ამ შემთხვევაში საქმე გვაძვს, ერთი მხრივ, უშუალოდ სოფლის მეურნეობასთან, ხოლო მეორე მხრივ კი, განიხილება საერთოდ აგროსამრეწველო კომპლექსი (ასკ), რომელიც წარმოადგენს სახალხო მეურნეობის დარგების ერთობლიობას, რომლებიც დაკავებული არიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით, შენახვით, გადამუშავებითა და მომხმარებლამდე მიტანით. ფართო გაგებით, ეს სფერო მოიცავს მთლიანად აგრალურ ეკონომიკას (შეთანაწყობილი დარგების განვითარებას).

საქართველო ტრადიციული აგრარული ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ისევე, როგორც მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი, სწორედ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებულია, ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის 3/5-ია დასაქმებული სოფლის მეურნეობაში.

სოფლის მეურნეობა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებითა და კანონზომიერებით, რომელიც განპირობებულია წარმოების განსაკუთრებული ტექნოლოგიით, შრომითი რესურსების, მიწისა და წარმოების სხვა საშუალებებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით:

– სოფლის მეურნეობისა და საერთოდ აგრო-ბიზნესის წარმატება დამოკიდებულია ისეთ ბუნებრივ ფაქტორებზე, როგორიცაა ნაღვექების საშუალო წლიური რაოდენობა; წლის განმავლობაში მზიან დღეთა რიცხვი; ტემპერატურის ცვლილებები და ა.შ.

– სოფლის მეურნეობის განვითარება და გაფართოება სხვა დარგებისაგან განსხვავებით ძალზე პრობლემატურია, რაც გამოიხატება მიწის ფართობების, სასოფლო-სამეურნეო, სახნავ-საოჯის მიწების შეზღუდულობაში.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 2004-2005 წლებში ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალებიდან ირკვევა, რომ 285,3 ათასი ფერმერული (გლეხური) მეურნეობაა, მათი საერთო რიცხოვნობის (802 ათასი) 35%

ფლობს 0,5 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთს, მათ საერთო მფლობელობაშია სულ 67 ათასი ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო 27% ფლობს 0,5-დან 1 ჰა-მდე მიწის ნაკვეთს, მათი საერთო მფლობელობა შეადგენს 160 ათას ჰა მიწის ნაკვეთს. ერთ ჰექტარამდე მიწის ნაკვეთებზე რაიმე პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება პრაქტიკულად შეუძლებელია.

— აგრალურ სექტორში წარმოებული პროდუქცია ვერ ახერხებს მონოპოლისტურ მდგომარეობაში ყოფნას, ვინაიდან გლეხობას არ შეუძლია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობისა და მისი ფასების კონტროლი ბაზარზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის და საერთოდ აგრო სექტორის განვითარებისათვის საკმარისი რესურსები აქვს მაგრამ ვერ იყენებს. ამჟამად სოფლად სამეურნეო პოტენციალის უდიდესი ნაწილი გამოუყენებელია. ამის მიზეზია სახნავ-სათესი ტექნიკის უქონლობა; შრომითი რესურსების დაბალი დონე; საწვავ-საცხები მასალების კატასტროფულად მაღალი ფასი; მიწის რესურსები ეროზირებული და გამოფიტულია; შხამქიმიკატები ჯერ უხარისხოა და მერე ძალიან ძვირია. ყოველივე ზემოთთქმული და სხვა მიზეზები განაპირობებენ აგრო სექტორის განუვითარებლობასა და წარმოებული პროდუქციის სიმცირეს, რაც თავისთავად გამოხატულებას პოულობს მის არაკონკურენტუნარიანობაში.

საქართველოში ცხვრის ბუმი ორი წლის წინ დაიწყო, როცა არაბმა ინვესტორებმა მოინდომეს ქვეყნიდან 300 000 სული ცხვარის გაყვანა, ამის მიზეზი კი ქართული ცხვრის უნიკალური თვისებები აღმოჩნდა. უცხოელების ქართული ცხვრით დაინტერესება რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ ამ რაოდენობის ცხვრის ერთიანად გაყვანა ქვეყნისათვის და კერძოდ მეცხვარეობის დარგისათვის შეიძლება დამლუპველი აღმოჩნდეს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებოთ იმას, რომ სტატისტიკური მონაცემებით ცხვარი და თხა 2003 წელს 722ათასი იყო, ხოლო 2009 წელს 707ათასი, ე.ი. ექვს წელიწადში მატების ნაცვლად 15 ათასითაა შემცირებული.

ეხლა განვიხილოთ საერთოდ ხორცის ადგილობრივი წარმოება: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტოს მონაცემებით 2003 წელს ხორცის წარმეობა 110 ათას ტონას შეადგენდა, ხოლო 2009 წელს 54 ათას ტონადმე შემცირდა, ამაში შედის ცხვარი, ძროხა, ღორი და ქათამი. ე. ი. ორჯერაა შემცირებული, სამაგიეროდ თრჯერ გაიზარდა იმპორტი: 2003 წელს 30 ათასი ტონა შემოდიოდა, ხოლო 2009 წელს

შემოტანილი იქნა 62 ათასი ტონა გაყინული იაფფასიანი ხორცი, რომელიც საეჭვო ხარისხითაც გამოირჩეოდა.

რაც შეეხება ფრინველს 2003 წელს 9 მილიონ 200 ათასი ფრთა იყო, ხოლო 2009 წელს 6 მილიონამდეა შემცირებული. ადგილობრივი ფრინველის ხორცის წარმოება 18 ათასი ტონიდან 12 ათას ტონამდე შემცირდა, ხოლო იმპორტი 40 ათას ტონადან გაიზარდა წლიურად.

საქართველო მხოლოდ ბიომრავალფეროვნებით კი არ არის უნიკალური, არამედ იმითაც, რომ აქ ყველა კლიმატური ზონაა და ყველა ზონას შესაბამისი ჯიშის ხორბალი ჰქონდა მორგებული, რომელიც ხანგრძლივი სელექციის შედეგი იყო და ამიტომაც მოდიოდა დიდი მოსავალი. დღეს კი ფიქრობენ აქ შემოიტანონ უცხოური გენმოდიფიცირებული ხორბლის თესლი და დათესონ, და ეს ხდება მაშინ, როცა მთელი მსოფლიო გადადის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებაზე, რადგან ასეთი პროდუქტი გაცილებით ძვირიც დირს, მასზე მოთხოვნაც დიდია და კონკურენციას უწევს გენმოდიფიცირებულ პროდუქტიას.

იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარება და რა რაოდენობის საკვები პროდუქტის მოწოდება შეუძლია მას, მოვიყვან ერთ მაგალითს:

ყოფილი საბჭოთა წყობილების დაშლის შემდეგ, კერძოდ 1992 წლისათვის ქვიტირის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა ფლობდა 850-ჲა მიწის ფართობს. აქედან გამოიყენებოდა 650 ჲა მიწის ნაკვეთი, ითესებოდა და ირგვებოდა კომბოსტო, ბადრიჯანი, პომიდორი, კიტრი, ბოლოკი, ბარდა, სიმინდი, ხორბალი და სხვა. აქედან მოსავალი მოდიოდა: პომიდორი – 90 ჰა-ზე, მოსავალი მოდიოდა 1000 – 1200 ტ; კომბოსტო - 45 ჲა, მოსავალი – 800–850 ტ; კიტრი – 5 ჲა, მოსავალი – 30 ტ; მწვანე ლობიო – 5 ჲა, მოსავალი – 15–17 ტ; ბადრიჯანი – 5 ჲა, მოსავალი – 30–35 ტ; საზამთრო 30 ჲა, მოსავალი – 450–500 ტ; ხორბალი 30 ჲა, მოსავალი – 40–45 ტ; ასევე ითესებოდა სამარცვლე სიმინდი 30 ჰა-ზე, სასილოსე სიმინდი - 60 ჰა-ზე; ბარდა – 30 ჰა-ზე; ბოლოკი 100 ჰა-ზე რომელიც ეშელონებით გადიოდა რუსეთში, არადა ეს ყველაფერი ისეთ მიწაზე მოდიოდა სადაც 75%-ს ქვა შეადგენდა, რომლის განობიერებისათვის შეჰქონდათ ტორფი, რომელიც მოიპოვება ფოთში. ასევე მეურნეობას განვითარებული ჰქონდა მეცხოველეობა 250-სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 230-ლორი.

აქედან მეტველი ძროხა 60-სული, წელიწადში აბარებდა 180° რბესა და 90° ძროხის და ღორის ხორცს.

აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ სოფლის მეურნეობა განვითარების ოვალსაზრისით საქართველოში, ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია.

– სოფლის მეურნეობა არამხოლოდ წარმოებაა არამედ იგი ამავდროულად სოციალურ სფეროსაც წარმოადგენს და ამიტომ, საწარმოო სტრუქტურის თუნდაც მცირე დონით შეცვლა უშალო გავლენას ახდენს სოფლის ყოვაცხოვრებაზე, მაგალითად: რომელიმე წარმოების მუშას, საწარმოს დახურვის შემთხვევაში შეუძლია სხვა წარმოებაში გადაინაცვლოს ან შეიცვალოს კვალიფიკაცია, მაშინ, როცა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული გლეხისათვის მეურნეობის დაშლა ან დახურვა, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

– სოფლის მეურნეობის წარმოების მკვეთრად გამოხატული სეზონური ხასიათი და დროის ხანგრძლივობაზე დამოკიდებული საწარმოო ციკლი გავლენას ახდენს გლეხურ მეურნეობათა დაფინანსების პროცესზე. როგორც ვიცით, საქართველოში მოქმედი ბანკები დღეისათვის თავს იკავებენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაფინანსებისაგან.

– სოფლის მეურნეობაში იწარმოება სასოფლო-სამეურნეო ნედლეული, ხოლო ამ ნედლეულისგან ძირითადი სამომხმარებლო პროდუქცია: პური და პურ-პროდუქტები, რძის ნაწარმი, ხორცი, კვერცხი და სხვა. გადამამუშავებელი საწარმოების მეშვეობით საქონელი სამომხმარებლო ბაზარზე გადის. ამდენად, მოგების გარკვეული ნაწილი სოფლის მეურნეობიდან გადამამუშავებელ წარმოებაში გადაინაცვლებს.

ქვეყანაში სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის, აუცილებელია სახელმწიფო მართვის ქმედითუნარიანობის ამაღლება და განმტკიცება, რადგან რაც უფრო სუსტია ეკონომიკა მით მეტი საჭიროა „ხილული ხელის“ ჩარევა. ასეთი მიღვომა ემყარება გენერალ დე-გოლის ფუძემდებლურ მოსაზრებას: - „რაც უფრო მეტად არის შერეული ეკონომიკა, მით უფრო აქტიურად უნდა იყოს მართულიო“, გამოთქვა ასეთი ჭეშმარიტი აზრი და მისი განხორციელება მოახდინა კიდეც საფრანგეთში. შეიძლება ითქვას, რომ ამით მან გადაარჩინა საფრანგეთი ეკონომიკური კატასტროფისაგან მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ამიტომაც, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება-განვითარებისათვის საჭიროა სახელმწიფოებრივი მართვის ქმედითუნარიანობის ამაღლება, და საჭიროა გამოყენებული იქნას აღმინისტრაციულ-ორგანიზაციული მართვის სისტემა.

ამიტომ, საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისა და შემდგომი განვითარების მიზნით, აუცილებელია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების აღდგენა და განვითარება, რადგან პრაქტიკა ადასტურებს, რომ გაცილებით მომგებიანია პურ-პროდუქტების, დვინის ნაწარმის, ყველის, ძეხვეულისა და ა.შ. პროდუქტებით ვაჭრობა, ვიდრე მათი ნედლეულის სახით გაყიდვა.

საჭიროა, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდეს არარენტაბელური დარგების შეცვლა და ახალი დარგების განვითარება. მემცნარეობის ან მეცხოველეობის დარგების პარამეტრების განსაზღვრის დროს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად უნდა გახდეს წარმოებისათვის საჭირო ხვედრითი დანახარჯები.

მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორებიდან უნდა აღინიშნოს, რომ არ ხდება მეცხოველეობის სფეროში საქმიანობის დაზღვევა, რის გამოც საერთაშორისო ორგანიზაციები, ადგილობრივი კომერციული ბანკები, კერძო ინვესტორები თავს არიდებენ ამ დარგის დაფინანსებას.

ამგვარად აგრარული სექტორის განვითარების ხელშეწყობისათვის საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- აგრარული ბიზნესის წახალისება საგადასახადო პოლიტიკით, სადაზღვევო ეფექტური სისტემით და სხვა;
- ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერა (მეწარმეთა უზრუნველყოფა შესაბამისი ინფორმაციით, სპეციალისტების მომზადება, სუბსიდიები და სხვა);
- ინფრასტრუქტურის შექმნა (მისასვლელი გზები, ხიდები, სარწყავი არხების რემონტი და მშენებლობა, მშენებლობა, ელ-ენერგიის მიწოდება);
- სახელმწიფოს მიერ ანგიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება შიგა ბაზრის დაცვის მიზნით;
- შედაგათიანი კრედიტების გაცემა გრძელვადიანი პერიოდით და სხვა ხელისშემწყობი ღონისძიებების გატარება.

გოდერძი შანიძე

ბიზნესისა და მართვის დოქტორი,

ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობის შაირატესობაზე

მაღალგანვითარებული ქავენების თანამედროვე პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს საკმარისად ძლიერი გავლენა აქვს ბიზნესზე.

სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკის „რაციონალური მარეგულირებელის“, როლი უმნიშვნელოვანესია. სწორედ რეგულირების ხარისხის ოპტიმალური დონის განსაზღვრა არის უმთავრესი ამოცანა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად წყდება ტრადიციების, განვითარების დონის, პოლიტიკური კლიმატისა და სოციალურ ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით. ამავე დროს, ზედმეტი რეგულირება უარყოფით შედეგს იძლევა და ამისი უამრავი მაგალითია.

სახელმწიფოს ფუნქცია არის ბაზარზე თამაშის წესების შექმნა, მათ შესრულებაზე ზედამხედველობა, საზოგადოებრივი შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა (ეკონომიკური ზრდა, ინფლაციის შემცირება, უმუშევრობა).

სახელმწიფო და ბიზნესი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული სისტემებია. სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობის ხასიათი შეიძლება განისაზღვროს, როგორც პარტნიორული. ამ ურთიერთობების ამგვარი ხასიათი ზღუდავს ორივე მხარის თავისუფლებას. სახელმწიფო, რომელიც არ უშებს თავისუფალ მეწარმეობას, განწირულია ასევე განწირულია სამეწარმეო სუბიექტი, რომელიც არ ცნობს სახელმწიფოს. არავინ იცის, რა არის უფრო საშიში – ბრძოლა ბიზნესის თავისუფლების წინააღმდეგ თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ. სახელმწიფო რეგულირებაში კი ზღვარი უდაოდ უნდა იყოს.

ბიზნესი, მართალია, თავისუფალი უნდა იყოს გადაწყვეტილებების მიღებისას, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული ნორმების გათვალისწინებით. ასევე სახელმწიფოც არ შეიძლება სრულიად თავისუფალი იყოს თავის გადაწყვეტილებებში.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არის სპეციალური დაწესებულებები, რომლებიც სხვადასხვაგვარად იწოდებიან სხვადასხვა ქამნებში (ფასების ოფისი, ვაჭრობაზე კონტროლის სამსახური, კონკურენციის კომიტეტი), მაგრამ ასრულებენ ერთსა და იმავე ფუნქციას – ზედამხედველობას უწევენ შიდა ბაზარს. სახელმწიფო ორგანოები თავისი კომპეტენციის ფარგლებში ერევიან ნებისმიერ კომერციულ საქმიანობაში. სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციაში შედის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია – მინიმალური ხელფასის დონის კონტროლი.

აშშ-ში არსებობს ბიზნესის მდლავრი რეგულირების სისტემა, რომელიც არეგულირებს მეწარმეობას: სამომხმარებლო საქონლის უსაფრთხოების კომისია, სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის რეგულირების კომისია, კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების კომისია, ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია, შრომითი ურთიერთობების ნაციონალური საბჭო, სოციალური დაცვის უწყება, თანაბარი დასაქმების ხელშეწყობის კომისია, პროფესიული უსაფრთხოების უწყება, საპენსიო დაბეგმის უწყება, გარემოს დაცვის უწყება, ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და დამუშავების უწყება და სხვა.

70-იანი წლების ბოლოს გაერო მივიდა დასკვნამდე, რომ აუცილებელია საერთაშორისო მასშტაბით ბიზნესის რეგულირება. გაერო თავისი მოთხოვნებითა და რეკომენდაციებით მიმართავს არა მარტო კორპორაციებსა და სახელმწიფოებს, არამედ განსაზღვრავს საერთაშორისო დონისძიებებს, რომელთა შესრულებასაც აკისრებს თავის თავს.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ბიზნესს შორის აქტიური ურთიერთქმედებაა. ამ ურთიერთქმედებამ თავისი ინსტიტუციონალიზების პროცესში შეიძინა სახელმწიფოსა და კერძო მეწარმეების პარტნიორობის ხასიათი და მიიღო სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის სახელწოდება.

საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის ინიციატივები ბიზნესის ხელშესაწყობად, მაგალითად ერთ-ერთი ის, რომ ვინც ქობულეთში „ფიჭვნარში“ ააშენებს სასტუმროს, მომდევნო 15 წლის განმავლობაში განთავისუფლდება ქონებისა და მოგების გადასახადისაგან, ამ ნაბიჯით სახელმწიფომ სტიმული მისცა ბიზნესის განვითარებას.

ჩვენთან ჯერ კიდევ სახელმწიფოს რიგ შემთხვევებში უყურებენ, როგორც დამსჯელს და თავს არიდებენ მასთან ურთოერთობას, არადა სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის სწორედ, რომ კეთილდამოკიდებული ურთიერთობა უნდა იყოს, თუ გვინდა დადებითი შედეგი. ამისთვის შემხვედრი ნაბიჯები ორივე მხარემ უნდა გადაგდას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციების პერიოდში. ბუნებრივია, სახელმწიფო განზე ვერ დარჩება ამ დროს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე რეფორმებებისაგან.

ქვეყნების გამოცდილების განხილვისას აგრეთვე გასათვალისწინებელია პარამეტრები და თავისებურებები, მხედველობაში გვაქვს, ეროვნული მენტალიტი და პოლიტიკური კულტურის თავისებურებები.

უახლესი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ეროვნული სამართლებრივი სახელმწიფო გამოხატავს მთელი საზოგადოების ნებას. სახელმწიფო, რომ გამოხატავებს მხოლოდ მსხვილი კორპორაციების ან მონოპოლიების ვიწრო ჯგუფის ეკონომიკური ინტერესებს ის იქნებოდა ოლიგარქიული ან ავტორიტარული მმართველობის ესა თუ ის ფორმა.

ვინაიდან სახელმწიფო, მოწოდებულია უზრუნველყოს მთელი საზოგადოების, მისი უკლებლივ ყველა მოქალაქის ინტერესები, გამოხატოს მოსახლეობის საყოველთაო ნება. ბუნებრივია ის შეიმუშავებს და განახორციელებს ისეთ პოლიტიკურ კურსს, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში ვერ დაემთხვევა ცალკეული ბიზნესმენების, კორპორაციებისა და თუნდაც ეკონომიკის მთელი დარგების ინტერესებს.

მეტიც, სახელმწიფო პოლიტიკას შეუძლია რადიკალური გავლენა მოახდინოს ამა თუ იმ ბიზნესის ან ეკონომიკის მთელი დარგების წარმატებასა თუ ჩავარდნაზე ან სულაც გააკოტროს ისინი. ამიტომ, მთავრობის ესა თუ ის ქმედებები მეწარმეთა და მათ ცალკეულ წარმომადგენელთა მიერ აღიქმება საკმაოდ მტრულად. ეს ბადებს ორმხრივ უნდობლობას. სწორედ სახელმწიფოა მოწოდებული უზრუნველყოს სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების გარანტია, მესაკუთრის უფლებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, საბაზრო კონკურენცია და არაკეთილსინდისიერი გამოვლინებების და არაკეთილსინდისიერი ბიზნესის აღკვეთა.

მაშასადამე, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენელია სახელმწიფოსთან, მისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთქმედების ეფექტიანი მექანიზმის გარეშე. მეტიც, ასეთი მექანიზმი იქცა მაღალგანვითარებული დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ არსებით ნიშად. და ეს გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკის ნორმალური და ეფექტური ფუნქციონებისათვის საჭიროა უსაფრთხო სოციალურ-სამართლებრივი გარემო, პოლიტიკური სტაბილურობა და ყველა დაინტერესებული მსარისთვის მისაღები თამაშის წესები.

რეზიუმე

გოდერძი შანიძე

ბიზნესისა და მართვის დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობის უპირატესობები

სახელმწიფოსა და ბიზნესის შორის ურთიერთობის ხასიათი შეიძლება განისაზღვროს, როგორც პარტნიორული. ამ ურთიერთობების ამგვარი ხასიათი ზღუდავს ორივე მსარის თავისუფლებას. სახელმწიფო, რომელიც არ უშვებს თავისუფალ მეწარმეობას, განწირულია, ასევე განწირულია სამეწარმეო სუბიექტი, რომელიც არ ცნობს სახელმწიფოს.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ეფექტური საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ბიზნესს შორის აქტიური ურთიერთქმედებაა.

ჩვენთან ჯერ კიდევ სახელმწიფოს რიგ შემთხვევებში უყურებენ, როგორც დამსჯელს და თავს არიდებენ მასთან ურთოერთობას, არადა სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის სწორედ, რომ კეთილდამოკიდებული ურთიერთობა უნდა იყოს, თუ გვინდა დადებითი შედეგი. ამისთვის შემხვედრი ნაბიჯები ორივე მხარემ უნდა გადაგდას.

ბიზნესი, მართალია, თავისუფალი უნდა იყოს გადაწყვეტილებების მიღებისას, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული ნორმების გათვალისწინებით. ასევე სახელმწიფოც არ შეიძლება სრულიად თავისუფალი იყოს თავის გადაწყვეტილებებში, არამედ უნდა ითვალისწინებდეს იმასაც თუ რამდენად წააღგება ეს გადაწყვეტილებები ბიზნესის განვითარებას.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენელია სახელმწიფოსთან, მისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთქმედების ეფექტიანი მექანიზმის გარეშე. მეტიც, ასეთი მექანიზმი იქცა მაღალგანვითარებული დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ არსებით ნიშნად. და ეს გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკის ნორმალური და ეფექტური ფუნქციონებისათვის საჭიროა უსაფრთხო სოციალურ-სამართლებრივი გარემო, პოლიტიკური სტაბილურობა და ყველა დაინტერესებული მხარისთვის მისაღები თამაშის წესები.

გაუა გურაბანიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტისა და
აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თვითმმართველობის და მისი მნიშვნელობა

ამონიკალიტან მუშაობის პროცესი

უოველ ადამიანს და განსაკუთრებით მას, ვინც მენეჯერის კარიერისთვის ემზადება ან უკვე მენეჯერიცაა, თავის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და კრიტიკული სიტუაციების დარეგულირების უნარი უნდა შესწევდეს. საქუთარი თავის მართვის, პირადი დროის ეფექტიანი დაგეგმვის, შრომის რაციონალური ორგანიზაციისა თუ სხვა აპრობირებული მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, გამოსავლის პოვნა თვით ყველაზე რთულ სიტუაციებიდანაც არის შესაძლებელი. მაშინაც კი, როდესაც დარწმუნებული ვართ, რომ რეალური ვითარების შეცვლა ჩვენს ძალებს აღემატება, არსებობს გამოსავალი — შევცვალოთ მიღომა. საქმიანობის პირადი დროის და საერთოდ, ცხოვრების დაგეგმვა, მართვა და კონტროლი, პიროვნების განვითარება და სრულყოფა — თვითმენეჯმენტის ამოცანათა არასრული ჩამონათვალია.

თვითმენეჯმენტი მუშაობის აპრობირებული მეთოდების თანმიმდევრული და მიზანმიმართული რეალიზებაა ყოველდღიურ ცხოვრებაში; მისი მთავარი მიზანია, ადამიანმა მაქსიმალურად მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, რაც შეიძლება ნაყოფიერად იმუშაოს, გააზრებულად მართოს დრო, თავისი ცხოვრება და დაძლიოს როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული პრობლემები.

კარგი მენეჯერის მიზანია — ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, მინიმალური დროის დანახარჯით მაქსიმალურად ეფექტიანად განახორციელოს დასახული ამოცანები, თავიდან აიცილოს და სხვასაც ააცილოს სტრუქტური, აიმაღლოს კვალიფიკაცია, უზრუნველყოს თანამშრომელთა პროფესიული ზრდა და ა.შ. ამისათვის, ერთი მხრივ, აუცილებელია ცხოვრების ჩვეულებრივ, ყოველდღიურ წესად გაიხადოს მუშაობის რაც შეიძლება რაციონალური სტილი. აკონტროლოს ყველაზე დეფიციტური რესურსი — დრო და, რაც მთავარია, ეფექტიანად მართოს საკუთარი თავი და აკონტროლოს დასახული ამოცანების შესრულება.

ყოველდღიური ამოცანებისა და პრობლემების გადაჭრის პროცესი, კონკრეტული ფუნქციების თანმიმდევრული შეფასების თვალთაზრისით, ექვს ფაზას მოიცავს, ესენია:

- მიზნის დასახვა — პირადი მიზნების ანალიზი და ფორმულირება;
- დაგეგმვა — კონკრეტული გეგმებისა და საკუთარი საქმიანობის ალტერნატიული გარიანტების შემუშავება;

- კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებული გადაწყვერილებების მიღება;
- ორგანიზება და რეალიზება — დღის განრიგის შედგენა და პირადი სამუშაო პროცესის ორგანიზება დასახული ამოცანების რეალიზების მიზნით;
- კონტროლი — თვითკონტროლი და შედეგების კონტროლი;
- ინფორმაცია და კომუნიკაცია — ფაზა, რომელიც, გარკვეულწილად, ყველა ფუნქციისთვისაა დამახასიათებელი. როგორც კომუნიკაცია, ისე ინფორმაციის გაცვლა, აუცილებელია თვითმენეჯმენტის ყველა ეტაპზე.

თვითმენეჯმენტის მეთოდების ფლობა გულისხმობს: შრომის საუკეთესოდ ორგანიზებასა და შედეგებს, სამუშაოსაგან მიღებულ კმაყოფილებას, სათანადო მოტივირებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც შეიძლება ნაკლებ დატვირთვას, საკუთარი ფუნქციების შესრულების პროცესში დაშვებული შეცდომების შემცირებას, პროფესიული და ცხოვრებისეული მიზნების უმოკლესი გზით მიღწევას და ა.შ.

მიზანი საბოლოო შედეგია იმისა, რისკენაც იყო მიმართული ინდივიდის ძალისხმევა და მიზანსწრაფვა, კონკრეტული ქმედებების განმაპირობებელი ფაქტორები და არსებული ვითარება. მიზნები მოტივირების წყაროა და მათ შეუძლიათ ბიძგი მისცენ თვითორგანიზების მძლავრ პროცესებს, რომლებიც ერთდროულად უკეთებენ მობილიზებას ცნობიერ და ქვეცნობიერ ასპექტებს. მიზნები ჩვენი მოქმედების ტაქტიკის, პოლიტიკისა და სტრატეგიის შემადგენელი ფუნდამენტური ნაწილი, ჩვენი საქმიანობის მთავარი „სამიზნეა“.

მიზანი მძლავრი ეფექტიანი ინსტრუმენტია, რომელიც ერთბაშად სამ ფუნქციას ასრულებს:

პირველი — გვეხმარება სწორად წარვმართოთ ჩვენი ძალისხმევა. მანამ, სანამ მეტნაკლებად მკაფიოდ არ დაგისახავთ კონკრეტული მიზანი, ყოველთვის არსებობს გარემოებების ზეგავლენის ქვეშ მოქცევის საშიშროება. ანუ ვაკეთოთ არა ის, რაც ჩვენ გვხურს და აუცილებელია, არამედ ის, რასაც გვპარნახობენ ან საერთოდ არაფერი ვაკეთოთ.

მიზანი, მისი გაცნობიერება ცხოვრების დაგეგმვის პირველი ნაბიჯია;

მეორე — მიზანი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ჩვენი ქმედებების შედეგიანობა. თუ ცნობილია რისკენ მივისწრაფვით, ანუ წარმოდგენილი გვაქვს ჩვენი ათვლის წერტილის მდებარეობა შესაძლო სიტუაციების სივრცეში, იოლია ობიექტურად შევაფასოდ მიზნისკენ გადადგმული თითოეული ნაბიჯი, გვაახლოებს თუ არა ეს ნაბიჯები მიღწევასთან.

მესამე — მიზნის მიღწევას პოზიტიური ემოციები ახლავს, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქმედებების კონსტრუქციულ ხასიათს. დასახული მიზნის მიღწევის შემთხვევაში განვიცდით სიხარულს, რაც გვაძლევს სტიმულს ხელახლა გავიმეოროთ ეს ციკლი: კვლავ დავისახოთ მიზანი, კვლავ მივაღწიოთ მას და კვლავ გავიხაროთ.

მიზნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სამსახურებრივი საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, ისე პირადად ცხოვრებასა და ნებისმიერ სხვა სფეროში, სადაც წინსვლა და წარმატების მიღწევა გაქვთ განზრახული. თუმცადა, მიზნის სწორად დასახვა არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. იმისთვის, რომ შევაფასოთ

მიზანი მიღწეულია თუ არა, ეს უგანასკნელი მკაფიო და ნათელი უნდა იყოს. დასახული მიზანი რაც შეიძლება რეალისტური, მიღწევადი, კონკრეტული და „მიწიერი“ უნდა იყოს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მიზნის მიღწევა, ძირითადად, მხოლოდ თქვენზე უნდა იყოს დამოკიდებული. მაგალითად, „შევისწავლო უახლესი კომპიუტერული პროგრამები“, „დავხვეწო საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები“ და ა.შ.

გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

- თუ თქვენ მიერ დასახული მიზანი ფაქტობრივად შეუსრულებელია, ან ამის ერთობ მცირე შანსი აქვს, იზრდება ალბათობა იმისა, რომ თქვენს ქვეცნობიერში დამკიდროთ წარუმატებლობისკენ მიმართული ქცევის მოდელი. აქეთ უნდა აღინიშნოს, რომ არც მეტისმეტად მარტივი მიზნის დასახვაა სახარბიელო. მიზნის სირთულე ოპტიმალური უნდა იყოს;
- იმ შემთხვევაში თუ წარმატებას ვერ მიაღწიეთ, ეცადეთ, ამით მწარე მაგრამ, სასარგებლო გაკვეთილი მიიღოთ: გაანალიზეთ მიზეზები – რა არ აეწყო ისე, როგორც საჭირო იყო? გამოიჩინეთ თუ არა სათანადო ძალისხმევა? სწორი გზით მიდიოდით თუ არა? იქნებ დასახული ამოცანა იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგედგინათ?
- ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი რამ ფაქტია — თქვენ შეიძინეთ გარკვეული გამოცდილება, ანუ უკვე იცით და შეგიძლიათ იმაზე მეტი, ვიდრე მანამდე; ახლა კი მიზნების მიღწევის დროს მასშტაბზეც დაგვიქრდეთ. გავიხსენოთ მოლა ნასრედინის ამბავი, შაპს რომ აღუთქვა, შენს სახედარს 10 წელიწადში ავალაპარაკებო. მან ლოგიკურად განსაზღვრა — 10 წელიწადში ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონიო. ანუ, ცხადი ხდება, რომ მიზანი რომელიც დროის მეტისმეტად დიდ პერიოდზეა გათვლილი, არ გამოგადგებათ ცხოვრების სწორად ორგანიზებაში. მეორე მხრივ, ერთ დღეში, ან, თუნდაც, რამდენიმე კვირაში, თვეში თუ ერთ წელიწადში ყველაფრის მოსწრება წარმოუდგენელია.

ჩნდება კითხვა: როგორ მოვიქცეთ?

მარტივი გამოსავალი აღნიშნული სიტუაციიდან ის გახლავთ, რომ მიზნები, დაახლოებით შემდეგი სქემის მიხედვით დასახოთ.

1. მიზანი-ოცნება; ეს არის ორიენტაცია ათწლეულებზე, ხშირად, მთელ ცხოვრებაზე. მიუხედავად იმისა, რომ დროსთან ერთად იცვლება ადამიანის ბუნება, ხასიათი და ინტერესები, ურიგო არ იქნება, თუ მიზან-ოცნებას შორს, ცხოვრების პორიზონტზე მაინც დაგიგულებთ; მაგრამ გვახსოვდეს – ეს მიზანიც რაც შეიძლება რეალისტური უნდა იყოს, ხოლო ამ საოცნებო მიზნის მიუღწევლობამ დეპრესიაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაგვაგდოს.
2. ხანგრძლივი მიზანი (შორეული); „შევისწავლოთ სასაუბრო ინგლისური, მაქსიმუმ 3 წლის განმავლობაში“, „ვისწავლოთ ავტომობილის მართვა 1 წლის განმავლობაში“ და ა.შ. ეს რა თქმა უნდა, გაცილებით კონკრეტული მიზნებია, მაგრამ წინააღმდეგობა აქაც იჩენს ხოლმე თავს – ჩვენ ვგეგმავთ ამოცანას რის შესახებაც ცოტა რამ ვიცით.
3. შუალედური მიზანი; ეს ის არ არის, რაც ჩვენ უშუალოდ გვჭირდება, მაგრამ დაგეგმვის სწორედ ეს დონე განსაზღვრავს წინსვლას გაცილებით მნიშვნელოვანი მიზნებისკენ. მაგალითად, „შევისწავლო მოძრაობის წესები ერთი თვის განმავლობაში“; ხუმრობით და რაჭულად, მათ „ქვემიზნებიც“ შეიძლება ვუწოდოთ უფრო დიდი მიზნის მისაღწევად; ან კიდევ ეპერესტზე ასვლის დიდი მიზნის მისაღწევად უნდა მივაღწიოთ

ისეთ „ქვემიზნებს“, როგორიცაა წონის დაკლება, ფიზიკური მომზადება, მყინვარწვერზე და იალბუზზე ასვლა, სპონსორების მოძიება და სხვა.

4. მოკლევადიანი მიზანი; მოკლევადიანი მიზანი დაუყონებლივ უნდა შესრულდეს ეს უფრო კონკრეტული ოპერატორული ამოცანებია და გვეხმარებიან დავგეგმოთ დღე, კვირა და ჩეგნი არც თუ საინტერესო საქმიანობა გადავაქციოთ ერთგვარ პაექტობად საკუთარ თავთან; მაგალითად: „დღის პირველ ნახევარში განვიხილავ კორესპონდენციებს, შევასრულებ მემორანდუმის პროექტის ტექსტს და საღამომდე საქმიან შეხვედრებსაც დავასრულებ“.

მოკლევადიან მიზნებს საბოლოოდ შორეულ და გაცილებით მნიშვნელოვან მიზნებთან მივყავართ.

იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ დროის მართვის მნიშვნელობისა და მისი რაციონალიზების საკითხებში სასურველია განვიხილოთ, ცნობილი მეცნიერის, სტეფან ქოვეის შემოთავაზებული დროის მართვის მატრიცა, რომელსაც ასეთი სახე აქვს(იხ. ნახ. 1.)

როგორც ვხედავთ, ჩვენ დროს ვმართავთ ოთხიდან ერთი გზით; ვასრულებთ ან სასწრაფო და მნიშვნელოვან, ან არასასწრაფო და მნიშვნელოვან, ან სასწრაფო და არამნიშვნელოვან ანდა არასასწრაფო და არამნიშვნელოვან სამუშაოებს.

პირველ კვადრატში ორივეა – სასწრაფო და მნიშვნელოვანი საქმეებიც; ამ კვადრატის მოქმედებებს ხშირად კრიზისულს და პრობლემურს ვუწოდებთ; ჩვენ მეტნაკლებად ყველანი ვართ ხოლმე პირველ კვადრატში – ერთ პრობლემას რომ გადაგწყვეტო, მეორე წარმოიშვება და ასე „ავარდნა-ჩავარდნაში“ ვართ; ზოგს ეს ყოველდღიური პრობლემები დაბლა სცემენ, მათ შვებაა მიმართონ მეოთხე კვადრატის არასასწრაფო აქტივობებს; დროის დიდ ნაწილს (დახლოებით 90%) ისინი პირველ კვადრატში ატარებენ, დანარჩენს – მეოთხეში და თითქმის არ უთმობენ ყურადღებას მესამე და მეორე კვადრატებს, ასეთი ხალხი კრიზისული ცხოვრებით ცხოვრობს – სტრესებით, იწვის, მუდმივად კრიზისულ და პრობლემურ ვითარებაშია.

არიან სხვა მომუშავეები, რომლებიც დიდ დროს ხარჯავენ მესამე კვადრატის სასწრაფო, მაგრამ არამნიშვნელოვან აქტივობაზე, და თან პგრნიათ, პირველ კვადრატში არიან და სასწრაფოსთან ერთად მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებენ; რეალობა კი ისაა რომ ამ საქმეების სასწრაფოობა სხვათა პრიორიტეტებითა და კარნახითაა განპირობებული; ამის შედეგებია: ყურადღების მოკლევადიანი ფოტუსირება, კრიზისული სიტუაციები, მიზნებისა და ამოცანებისთვის ნაკლები მნიშვნელობის მინიჭება საკუთარი თავის უკონტროლობა ზედაპირული და არამყარი ურთიერთობები.

ნახ. 1. დროის მართვის მატრიცა

სასწრაფო	არასასწრაფო
1. მოქმედებები	2. მოქმედებები
მნიშვნელოვანი	
* კრიზისული მოქმედებები	* რაღაცის თავიდან აცილება,

<ul style="list-style-type: none"> * პრობლემები რომლებიც გვწენებავენ * საქმეები, რომელთა შესრულებასაც ვადა გახდის 	<ul style="list-style-type: none"> გაფრთხილება წინასწარ ზომების მიღება * ადამიანებთან ურთიერთობების აგება *ახალი ამოცანების, უნარ-შესაძლებლობების ამოცნობა * დაგემვა, შემოქმედებითი მუშაობა
<p style="text-align: center;">3. მოქმედებები</p> <ul style="list-style-type: none"> * ვიღაცებებმა შეგვაწყვეტინებს, დარეკეს * ზოგიერთი წერილი, ზოგიერთი ანგარიში * ზოგიერთი შეხვედრა *ზოგიერთი პრობლემა რომელიც გვწენებავს, „გვახრჩობს” *ზოგიერთი პოპულარული ყოველდღიური მოქმედება (ანგარიშები) 	<p style="text-align: center;">4. მოქმედებები</p> <ul style="list-style-type: none"> * ყოველდღიური მონოტონური სამუშაო * ზოგიერთი წერილი * ზოგიერთი სატელეფონო ზარი * დროის გამულანგველი მოქმედებები * ზოგიერთი სასიამოვნო მოქმედება

ისინი რომლებიც ძირითად დროს მესამე და მეოთხე კვადრატების მოქმედებაზე ხარჯავენ, უპასუხისმგებლოდ ცხოვრობენ, არამნიშვნელოვან და არასასწრაფო საქმეებით არიან დაკავებულნი; ამის შედეგია სრული უპასუხისმგებლობა, სხვებზე დამოკიდებულება, დავალების შეუსრულებლობა და ა.შ.

ეფექტიანად სწორად მომუშავენი ცდილობენ მესამე და მეოთხე კვადრატებს გარეთ დარჩენენ, რადგან სასწრაფოა ოუ არა, ეს საქმეები არაა მნიშვნელოვანი; ისინი აგრეთვე ამცირებენ პირველ კვადრატში ყოფნის დროს, რათა მეტი დრო დახარჯონ მეორე კვადრატში.

სწორედ მეორე კვადრატია საკუთარი თავის ეფექტიანი მართვის გული; ეს ეხება საქმეებს, რომლებიც არაა სასწრაფო, მაგრამ მნიშვნელოვანია; ასეთებია: ურთიერთობის დამყარება, დავალების განსაზღვრა, პერსპექტიული დაგეგმვა, შემოწმება, მომზადება; ეს ის საქმეებია, რომლებიც ვიციო რომ აუცილებლად უნდა ვაკეთოო, მაგრამ იშვიათად ვაკეთებთ, რადგან არ არიან სასწრაფონი.

ხელმძღვანელთა მუშაობის ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია დასახულ ამოცანათა გადაწყვეტისას დროში წინსწრება. არანორმალურია, როცა გუშინდედ საქმეს დღეს ვაკეთებთ, ნორმალურია, როცა დღეს დღევანდელი საქმე კეთდება, განსაკუთრებით კარგია, როცა დღეს სახვალიო საქმეს ვაკეთებთ და წინ ვიყურებით. სამწუხაროდ, ძალზე

ბევრ ორგანიზაციაში მართვის მაღალ საფეხურზე მდგომი ხელმძღვანელი ბევრ დროს ხარჯავს ოპერატიული პრობლემების გადაწყვეტაზე. ის, რაც კარგა ხნით ადრე უნდა გაგვაკეთებინა, იმის გამო, რომ არ გავაკეთეთ, ოპერატიული გადასაწყვეტი გახდა; დღეს კი როცა დიდ დროს ვანდომებთ ამ ოპერატიულ ამოცანათა გადაწყვეტას და არ ვფიქრობთ პერსპექტიულ პრობლემებზე, დრო რომ მოვა, ისინი ოპერატიულად გადასაწყვეტი ხდება, ასე იკვრება შრომის ცუდი ორგანიზაციის გამო ნაკლოვანებათა წრე, თანდათან ჩვევად იქცევა მუშაობის მანკიერი სტილი.

ხელმძღვანელმა, რასაკვირველია, უნდა იცოდეს დაქვემდებარებულ საფეხურებზე ყველა უწესრიგობათა შესახებ, მაგრამ მისი ჩარევა აუცილებელია მხოლოდ მაშინ როცა დარღვევები და ნაკლოვანებები სისტემად იქცევა და ქვემდგომ რგოლებს არ ძალუბთ მათი აღმოფხვრა. ასეთ შემთხვევაშიც კი ზემდგომმა რგოლმა არ უნდა შეწყვიტოს პერსპექტიულ მიმართულებებზე მუშაობა.

თუ ოპტიმალურად განვეწყობით და იმედს ვიქონიებთ რომ ამიერიდან აქტიური ცხოვრებით დაახლოებით 50 წელი გვაქვს დარჩენილი ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი დროის კაპიტალი, მაქსიმუმ 440 ათას საათს შეადგენს. მათშორის დაახლოებით 150 ათასი საათი ანუ 17 წელიწადი ძილში გასატარებელი დროა. თუ დავუშვებთ რომ მარტო კვებასა და სააბაზნო პროცედურებში დღეში, საშუალოდ, ორი საათი მაინც გვეხარჯება, გამოდის, ამ საქმიანობას ჩვენი პირობითად დარჩენილი სიცოცხლის 50 წლიდან დაახლოებით 4 წელი მოხმარდება; აღარაფერს ვამბობთ საკვების მომზადებაზე, ბინის დალაგებაზე რეცხვაზე და სხვა ამდაგვარ არაინტელექტუალურ, მაგრამ აუცილებელ საქმიანობაზე. ვხედავთ, რა ცოტა დრო გვრჩება ჭეშმარიტი, შემოქმედებითი პროფესიული საქმიანობისთვის, სოციალურ-კულტურული სულიერ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად?!

მრავალი დაკვირვებითა და გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი თავიანთი სამუშაო დროს საგრძნობ ხაწილს ან არაეფექტუანად იყენებს, ან საერთოდ კარგავს; ეს, უპირველესად, შრომის ცუდი ორგანიზაციის, თვითმენეჯმენტის ელემენტარული პრინციპების უცოდინრობის, უპასუხისმგებლობის და უდისციპლინობის ბრალია. დროის მართვის ელემენტარული საფუძვლების ცოდნა-გათავისება, იმის კონტროლი თუ რას, როგორ და როდის ვაკეთებთ და როგორ უნდა გავაკეთოთ, დაგვეხმარება იმაში რომ გავზარდოთ ჩვენი საქმიანობის ეფექტუანობა. დროის რაციონალური გამოყენების ეფექტი მრავალმხრივია და ხშირად სწორედ ეს უკანასკნელი ხდება ორგანიზაციიული გარდაქმნის ოპტიმალური ინსტრუმენტი.

ნაირა ვირსალაძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტისა ასოც. პროფესორი.

ციცინო დავითულიანი

ქუთაისის უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოც. პროფესორი

ტურიზმის განვითარების ეროვნული და გლობალური საკითხისათვის

საზოგადოების განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტად გაიზარდა მომსახურების სფეროს როლი და მნიშვნელობა. მომსახურება შრომის ეკონომიკური ფორმა, ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს ურთიერთობას შრომის სარგებლიანობის საფუძველზე.

თანამედროვე პირობებში მომახურების სფერომ ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლით, მათ შორის დასაქმებულთა რაოდენობით, საგრძნობლად გაუსწრო მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს და ეკონომიკის უმსხვილეს სექტორად იქცა. ეკონომიკის „სერვიზაციამ“ მოიცვა ცივილიზებული სამყარო. აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს პროცესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში, ხოლო იაპონიაში 70-იანი წლებიდან დაიწყო. ამჟამად აშშ-ში ყოველი ათი მომუშავიდან შვიდი მომსახურების სფეროშია დასაქმებული. ამ სფეროს მნიშვნელოვან განვითარებაზე ისიც მეტყველებს, რომ აშშ-ის მთლიან შიდა პროდუქტში მომსახურებას უჭირავს 75%, ინგლისში 64% და ა. შ.

მომსახურების სფეროს დომინირებული ადგილი უჭირავს არა მარტო განვითარებული, არამედ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. მომსახურება როგორც წარმოებრივი, ისე პირადი მოხმარების სწრაფად მზარდ ინგრედიენტად იქცა. მომსახურების სფეროს არნახულმა პროგრესმა საწარმოო ძალების განვითარებაში თვისებრივად ახალი

ეტაპი შექმნა და მატერიალურ-ნივთობრივი წარმოება მასთან მიზეზშედეგობრივ კავშირში აღმოჩნდა. მომსახურების ძველი ტრადიციული დარგების (სატრანსპორტო, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და ა. შ.) გვერდით სწრაფად დაიწყო განვითარება მომსახურების ახალმა (საინფორმაციო, კომპიუტერული, საბირჟო და სხვა) დარგებმა.

თანამედროვე მსოფლიოში მომსახურების სფეროს ერთ-ერთ წამყვან და დინამიურად განვითარებად დარგს მიეკუთვნება ტურიზმი. იგი, როგორც მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი ჩამოყალიბდა XX საუკუნეში, თუმცა მისი ფესვები შორეული ეპოქიდან მოდის. მსოფლიო ეკონომიკაში ტურიზმის ადგილი და როლი დღითი-დღე იზრდება. იგი სწრაფად და ინტენსიურად ვითარდება. ტურიზმი მძლავრ კონკურენციას უწევს ნავთობმომპოვებელ და საავტომობილო მრეწველობის დარგებს და მსოფლიო მასშტაბით მიჩნეულია ერთ-ერთ რენტაბელურ დარგად. ტურიზმისადმი ინტერესს მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მისი განვითარების ეკონომიკური საფუძველია მოსახლეობის დასაქმება, შემოსავლებისა და თავისუფალი დროის გადიდება.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის უახლესი მონაცემების მიხედვით ამ სფეროში დასაქმებულია მსოფლიოში არსებული სამუშაო ძალის დაახლოებით 16 % და მეტი; ამ დარგში იქმნება მსოფლიო შიდა პროდუქტის 10%; კერძო მომსახურების 10,9%; მსოფლიო ინვესტიციების 11.8%; ტურიზმზე მოდის მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 11% და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის 37%, ტურისტების მიერ უცხო ქვეყანაში მოგზაურობისას იხარჯება 600 მლრდ. ამერიკულ დოლარზე მეტი და ა. შ.

ტურიზმი მრავალ ქვეყანაშია განვითარებული, მაგრამ ტურისტების რიცხოვნობით მხოლოდ ხუთი ქვეყანა ლიდერობს: საფრანგეთი, ესპანეთი, აშშ, ჩინეთი და იტალია. საფრანგეთს წელიწადში სტუმრობს დაახლოებით 75 მლნ. ტურისტი (ბაზრის წილი 9,8%), ესპანეთს 54 მლნ. ტურისტი (ბაზრის წილი 7%), აშშ-ს 46 მლნ. ტურისტი (ბაზრის წილი 6%), ჩინეთს 42 მლნ. ტურისტი (ბაზრის წილი 5,5%), იტალიას 37 მლნ. ტურისტი (ბაზრის წილი 4,9%).

ტურიზმიდან შემოსავლების მიხედვით პირველ ხუთეულშია: ამერიკის შეერთებული შტატები (74 მილიარდი დოლარი, ბაზრის წილი 12%), ესპანეთი (45 მილიარდი დოლარი, ბაზრის წილი 7,3%), საფრანგეთი (41 მილიარდი დოლარი, ბაზრის წილი 6,6%), იტალია (36

მილიარდი დოლარი, ბაზრის წილი 5,7%) და გერმანია (28 მილიარდი დოლარი, ბაზრის წილი 4,4 %). სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ მსოფლიოში ყველაზე მეტს გერმანელები მოგზაურობენ და შესაბამისად, ყველაზე მეტს ისინი ხარჯავენ, მათი ხვედრითი წილი ტურიზმის საერთო ხარჯებში ბაზარზე შეადგენს 11,4% . შემდეგ მოდის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები, მათი ხვედრითი წილი ბაზარზე შეადგენს 10,5%, რაც გამოწვეულია ცხოვრების მაღალი დონით. მნიშვნელოვანი საბაზრო წილი აქვს გაერთიანებულ სამეფოსა და იაპონიას (შესაბამისად 9.1 % და 6,2%).

საერთაშორიშო ტურიზმში დანახარჯების სიდიდის მიხედვით მსოფლიოს 10 მთავარ ქვეყნას ბოლო პერიოდში შეუერთდა რუსეთის ფედერაცია და ჩინეთი.

ტურისტული ინდუსტრია მსოფლიოს მრავალი, განსაკუთრებით მთანი ქვეყნების, მათი ცალკეული რეგიონების განვითარების ძირითადი და განმსაზღვრელი ფაქტორია. საქართველოსათვის, როგორც პირველი კატეგორიის მთანი ქვეყანისათვის, ტურიზმი წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეტად მიმზიდველ და მნიშვნელოვან დარგს. საქართველოს საკმაოდ დიდი და მიმზიდველი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. მისი განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია არსებული ტურისტული და და საკურორტო ინფრასტრუქტურის აღდგენა, მოდერნიზება და ახალი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი ობიექტების მშენებლობა, რადგან საკურორტო ობიექტების უმრავლესობა საბჭოთა პერიოდშია აგებული და არ შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა პერიოდში საქართველო რუსეთის და უკრაინის შემდეგ ტურიზმის ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანად ითვლებოდა. ჩვენი ქვეყნის საზღვრებს ყოველწლიურად 4 - 5 მლნ. ტურისტი და ვიზიტორი კვეთდა. საქართველოზე გადიოდა 120 -ზე მეტი საერთაშორისო და შიდა ტურისტული მარშრუტი. XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ტურიზმის ინფრასტრუქტურის სრული პარალიზება გამოიწვია, რამაც ტურისტული ნაკადები მკვეთრად შეამცირა. 1993 წლიდან საქართველო ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციაში გაერთიანდა და დარგმა აღმასვლა ნელ-ნელა დაიწყო. 1998-2003 წლებში ქვეყანაში ჩამოსული სტუმრების დანახარჯი საშუალოდ ერთ ტურისტზე შეადგენდა 1164 ამერიკულ დოლარს (1862 ლარი) ხოლო მთელი წლის განმავლობაში 1051 მლნ. აშშ დოლარს. აღნიშნულის შედეგად ქვეყანაში შემოდინებულ იქნა 1,2 მლრდი.

ამერიკული დოლარი (1.9 მილიარდი ლარი). 1995-2007 წლებში ტურისტთა რიცხვი 12-ჯერ და მეტად გაიზარდა, მხოლოდ 2007 წელში ტურისტების და ვიზიტორების რიცხვმა მიღიონს გადააჭარბა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. მაგრამ 2007 წლის ზაფხულში საქართველოში განვითარებული მოვლენებისა და მსოფლიო გლობალური კრიზისის ფონზე ტურისტებისა და ვიზიტორების რიცხვი უმნიშვნელოდ შემცირდა, მაგრამ უდაოა, რომ მომავალში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება, რასაც განაპირობებს ქვეყანაში შექმნილი სტაბილური სიტუაცია, ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია და ტრანსნაციონალური კომპანიების ჩვენს ქვეყანაში აქტიური შემოსვლა.

დღეს საქართველოს სტუმრობენ დედამიწის ყველა კონტინენტიდან. ტურიზმმა მოიცვა ჩვენი თანაცხოვრების თითქმის ყველა სფერო, რეალურად შეცვალა გარემომცველი სამყარო და ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. ამ სფეროს კიდევ უფრო წინ წამოწევა და სათანადოდ განვითარება მოითხოვს მის შესწავლას და ღრმა ეკონომიკურ-სტატისტიკურ ანალიზს.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 2005-2009 წლებში საქართველოში შემოსულ უცხოელ ვიზიტორთა დინამიკა ასეთია:

საქართველოში შემოსულ უცხოელ ვიზიტორთა რიცხოვნობა

2005-2009 წლები

ცხრილი №1

წლები						აგსოლუტ.	ზრდის ტემპი

რეგიონი	2005	2006	2007	2008	2009	მატება (2005-2009 წწ)	%-ში (2005-2009 წწ.)
ჩამოსულები სულ	560021	983114	1051769	1290107	1500049	940028	267,9
ევროპა	533129	935747	1009669	1243783	1447724	914596	271.6
ცენტრალურ- აღმოსავლეთ ევროპა	375068	658976	681304	811766	974871	599803	259.9
დ.ს. ო.	366054	634360	655742	784511	950751	584697	259.7
ჩრდილოეთ ევროპა	9788	17763	14533	13944	16512	6724	168.6
სამხრეთ ევროპა	11639	22599	19502	19922	23409	11770	201.1
დასავლეთ ევროპა	20418	32304	29630	29061	31491	11073	154.2
აღმოსავლეთ- ხმელთაშუა							
ზღვისპირა ევროპა							
ამერიკა	116216	204105	264700	369090	401441	285225	345.4
	14842	19417	16865	17489	19555	4713	131.7
აღმოსავლეთ აზია							
და ოკეანეთი							
ახლო აღმოსავლეთი	3244	13732	9415	9459	11016	7772	339.5
სამხრეთ აზია	973	2105	2497	3245	3298	2325	338.9
აფრიკა	6641	9977	10873	13457	14572	7931	219.4
	431	777	883	640	1030	599	238.9

წყარო: შსს/ საქართველოს სასაზღვრო პოლიცია.

როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, საანალიზო პერიოდში, უცხოელ ტურისტთა რიცხოვნობის აბსოლუტურმა მატებამ შეადგინა 940 028 ერთეული, ხოლო ზრდის ტემპმა

267,9 %. განსაკუთრებით გაიზარდა ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპიდან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან ჩამოსულ ტურისტთა რიცხვი. ევროპის ქვეყნებიდან საქართველოსადმი დიდ ყურადღებასა და ინტერესს იჩენდნენ გერმანელები, ფრანგები, უკრაინელები, ბერძები, ბულგარელები, ირლანდიელები და სხვები.

უახლოესი მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოს ტურისტული პოტენციალით ინტერესდებიან თურქები, სომხები, აზერბაჯანელები და ირანელები.

საინტერესო სურათს იძლევა საქართველოში ჩამოსულ სტუმართა რიცხოვნობის ცვლილება ცალკეული რეგიონების, მოგზაურობის მიზნისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით.

საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემების მიხედვით უცხოელი მოგზაურების რიცხოვნობა ბოლო ერთ წელიწადში ასეთი დინამიკით ხასიათდება:

საქართველოში ჩამოსულ უცხოელ მოგზაურთა რიცხოვნობა

რეგიონების მიხედვით

ცხრილი №2

რეგიონი	2009 6 თვე	2010 6 თვე	ზრდის ტემპი %
ევროპა (დსთ-ს გარეშე)	207635	278656	134.2 %
სამხრეთ აზია	4974	9710	195.2%
ამერიკა	7589	9677	128.1%
აღმოსავლეთ აზია/ ოკეანეთი	4744	6327	133.1%
ახლო აღმოსავლეთი	1048	1252	119,2%
აფრიკა	350	1079	308.2%

დსთ	346547	474450	137.0%
-----	--------	--------	--------

წყარო: საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

როგორც №2 ცხრილიდან ჩანს, ბოლო ერთი წლის მონაკვეთში, უცხოელ მოგზაურთა რიცხოვნობა ჩვენ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა: ევროპიდან (დსთ-ს გარეშე)

შემოსულთა რიცხოვნობა გაზრდილია 34, 2%-ით, ხოლო დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსულთა რიცხოვნობა 37%-ით. აღსანიშნავია ისიც, რომ ტურისტების რიცხოვნობის აბსოლუტური მატება ძირითადად ამ რეგიონებზე მოდის და შესაბამისად ის შეადგენს 71 021 და 127 903 ერთეულს. საერთო ჯამში უცხოელ მოგზაურთა რიცხოვნობამ 2010 წლის 6 თვეში შეადგინა 782932 კაცი, რაც 2009 წლის შესადარის პერიოდთან შედარებით აბსოლუტურად გაზრდილია 208 928 ერთეულით. ზრდის ტემპი შეადგენს 36%-ს (იხ. გრაფიკი 1)


რიცხოვნობასთან ერთად საინტერესო სურათს იძლევა საქართველოში სტუმართა რაოდენობის ცვლილება ჩამოსვლის ადგილისა და მიზნის მიხედვით.

მოგზაურობის მიზნიდან გამომდინარე უცხოელი ტურისტები ასეთი სტრურტურით ხასიათდებიან { იხ. დიაგრამა №1}:

უცხოელი ტურისტების ჩამოსვლების დინამიკა

2009-2010 წწ.

გრაფიკ №1




როგორც №1დიაგრამიდან ჩანს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულთა საერთო რიცხოვნობაში (781650) „საქმიანი ან პროფესიული აქტივობის მიზნით” შემოსულთა რიცხვი (263848 ტურისტი) ყველაზე დიდი აქტივობით ხასიათდება და შეადგენს 34%-ს, „მეგობრებისა და ნათესავების მონახულების მიზნით” მოგზაურობს 24% ანუ 185 555 ტურისტი და ა.შ.

მოგზაურობის მიზანთან ერთად ასევე საინტერესოა საქართველოში შემოსულ უცხოელ მოგზაურთა ასაკობრივი სტრუქტურა. ოფიციალური მონაცემებიდან გამომდინარე მოგზაურებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით ხასიათდება 35-44 (30%) , 25-34 (29%) და 45-54 (21%) წლის ასაკის მოსახლეობა. შემდეგ მოდის 16-24 წლის და 55-64 წლის ასაკი მოსახლეობა, მათი ხვედრითი წილი შეადგენს ცხრა-ცხრა პროცენტს, და ბოლოს მოდის 65 და მაღალი ასაკის მოსახლეობა, რომელთა აქტივობა ამ კუთხით შედარებით დაბალია და შეადგენს 2% -ს. რაც შეეხება სქესს, მოგზაურთა საერთო რიცხოვნობაში საგრძნობლად სჭარბობს მამაკაცები. ისინი შეადგენენ უცხოელი მოგზაურობის 81 %-ს, ქალბატონები კი - 19%-ს.

საქართველოში მოგზაურობის მიზნები

დიაგრამა №1



მსოფლიო ექსპერტთა მონაცემებით მომავალში ტურიზმი კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს. თუ ბოლო პერიოდის მონაცემებით მსოფლიოში დაფიქსირდა 715 მლნ. ტურისტი და ვიზიტორი, რომლებმაც იმ ქვეყნებს სადაც ისინი იმყოფებოდნენ 500 მლრდ. აშშ დოლარამდე შემოსავალი მოუტანეს, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზით, 2020 წლისათვის ტურისტების რიცხვი 1560 მილიონამდე გაიზრდება, ანუ უახლოესი 10 წლის განმავლობაში გაორმაგდება. ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი მოსალოდნელია აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში. მომსახურების ამ სეგმენტიდან

შემოსავლები გაიზრდება 5-ჯერ. 1995 წლის 399 მლრდ. დოლარიდან 2020 წლისათვის 2 ტრილიონ დოლარამდე, მნიშვნელოვნად გაიზრდება დანახარჯი ერთ მოგზაურზე (შესაბამისად 707 დოლარიდან 1248 დოლარამდე), საპროგნოზო პერიოდში ტურისტებისათვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა გახდება ჩინეთი.

უახლოეს ათწლეულში ტურიზმი განსაკუთრებით განვითარდება აზიის რეგიონში (კერძოდ, ჩინეთში, ჰონკონგში), და მექსიკაში. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ განვითარებად ქვეყნებში ტურიზმი უფრო მაღალი ტემპით განვითარდება, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. რაც ტურიზმს, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ტურიზმის ექსპორტი ანუ ტურისტული მომსახურების გაყიდვა უცხოელებზე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შიდა ბაზრის განვითარებას.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზით მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ტურისტული მიმართულებები იქნება:

2020 წლისათვის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული

ტურისტული მიმართულებები

ცხრილი № 1

ქვეყნები	ჩამოსული ტურისტების რაოდენობა(მლნ.)	წილი მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე (%)	მატების ტემპი 1995-2020 წწ. (%)
ჩინეთი	137.1	8.6	8.0
აშშ.	102,1	6.8	3.5

საფრანგეთი	93.3	5.8	1.8
ესპანეთი	71.0	4.4	2.4
ჰონკონგი	59.3	3.7	7.3
იტალია	52.9	3.3	2.2
დიდი ბრიტანეთი	52.8	3.3	3.0
მექსიკა.	48.9	3.1	3.6

წყარო: შუბლაძე გ. , დოლიკაშვილილ. და სხვა. ტურიზმის მარკეტინგი. თბ. 2007, გვ. 36.

ცივილიზებულ სამყაროში საზოგადოების წევრთა სულიერი ფასეულობები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. იცვლება ადამიანების დამოკიდებულება თავისუფალი დროის გამოყენების მიმართ. ისინი უფრო მეტად ცდილობენ თავისუფალი დრო გამოიყენონ მიზანმიმართულად. აღნიშნულ ვითარებას კი დიდად უწყობს ხელს მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, სატრანსპორტო საშუალებების და კომუნიკაციური ურთიერთობების სწრაფი ტემპით განვითარება. დღითი-დღე იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, ვინც უფრო მეტად არის დაინტერესებული შეიცნოს გარემომცველი სამყარო და სხვა ერის კულტურული მონაპოვარი, დაისვენოს საზღვარგარეთის კურორტებსა და თვალწარმტაც ბუნებაში, ეწვიოს მსოფლიოს სახელგანთქმულ მუზეუმებს და ა. შ. დღეს შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მსოფლიოს უმსხვილესი ქალაქები უცხოელი ტურისტების გარეშე. ტურისტები გვხვდებია ყველგან - პარიზში, ლონდონში, რომში, ნიუ-იორკში პეკინში, მოსკოვში, თბილისა და მსოფლიოს სხვა ქალაქებში. ტურისტულმა ინდუსტრიამ მოიცვა არა მარტო ევროპა, არაედ ამერიკა, აზია და ავსტრალია.

ტურიზმისა და კურორტების განვითარებაში წამყვანი როლი სახელმწიფოს ეკუთვნის. მისი განვითარება დამოკიდებულია, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინვესტიციებზე. ამ უკანასკნელის წასახალისებლად სახელმწიფომ ქმედითი ღონისძიებები უნდა გაატაროს და

ტურიზმი სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობის საფუძველზე განვითაროს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს არა მარტო ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის ზრდას, არამედ „ცხოვრების ხარისხის" გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- 1.ასათიანი რ. მომსახურება და საბაზრო სისტემა,თბ., 1993.
2. ადეიშვილი გ. ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია, სახელმძღვანელო, თსუ., 1998.
3. დავითულიანი ც. ტურიზმის გეოგრაფია, ქუთაისი, 2008.
- 4.შუბლაძე გ. , დოლიკაშვილი ლ. და სხვა. ტურიზმის მარკეტინგი. თბ. 2007, გვ. 36.
- 5.[www cnf.ca](http://www.cnf.ca)
- 6.[www world tourism.org](http://www.worldtourism.org)
7. [www tourism. ge](http://www.tourism.ge)

ნანა ლუხუტაშვილი

ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

საბანაცათლებლო კერების ორგანიზაციის გენეზისის შესახებ

როგორც ჩვენი ერის მოამაგე, დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იღია ჭავჭავაძე წერდა-, „განათლება იმისთანა თვისებაა ბუნებითად, რომ თავს მაღვევე ვერ იჩენს, იგი ნელ-ნელა შედის ცხოვრებაში თვალისათვის უჩინარად, ხელისათვის შეუხებლად. ამისთანა საქმისათვის რვა, ათი, ოცი და ორმოცი წელიწადი წვეთია ზღვაში: მოდგმამ მოდგმა უნდა სცვალოს, შთამომავლობამ შთამომავლობა, რომ განათლება დასახახი და საგრძნობი შეიქმნებო“.

განათლების აკვანი შუმერებში დაირწა.

დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში ცხოვრობდა ძველი სამყაროს ერთ-ერთი ცივილიზებული ხალხი, შუმერებები. ამ ფენომენალური ინტელექტის, ლამაზი პოეტური სულისა და გასაოცარი პრაქტიკული ნიჭის მქონე ხალხს, ლურსმნული დამწერლობის შექმნითა და მისი შემდგომი სრულყოფით უდიდესი წვლილი მიუძღვით პირველი სკოლების წარმოშობის საქმეში.

პირველი წერილობითი ძეგლები შუმერელთა ძველი ქალაქის ურუქის ნანგრევებში აღმოჩნდა. ათასობით თიხის პატარა ფირფიტა სამეურნეო და ადმინისტრაციული ხასიათის წარწერებით იყო დაფარული. აქვე მეცნიერებმა მიაკვლიეს საზეპირო სიტყვათა სიებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მაშინაც ყოფილან ადამიანები, რომლებიც ჩვენს წელთააღრიცხვამდე 3000 წლის წინ ფიქრობდნენ სწავლა-განათლების საკითხებზე. ძვ. წ. III ათასწლეულის შეა ხანგბისათვის უკვე საქმაო რაოდენობით ყოფილა სკოლები, რომლებშიც ოფიციალურად ისწავლებოდა წერა-კითხვა. გათხრების შედეგად აღმოჩნდილი „სახელმძღვანელოები“ დაახლოებით ძვ. წ. 2 500 წლიდან თარიღდება.

შუმერულ სასკოლო სისტემაზე, მის ორგანიზაციასა და სწავლების მეთოდებზე წარმოდგენას გვიქმნიან ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის ფირფიტები.

ჩვენდა საბედნიეროდ, ძველ შუმერელ მასწავლებლებსაც ჰყვარებიათ სასკოლო ცხოვრებაზე—მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე, სკოლის ამოცანებსა და მიზნებზე, სწავლების კურსება და მეთოდებზე წერა. კაცობრიობის ისტორიაში ეს ერთადერთი შემთხვევა, როცა ამდენი რამის გაგება შეგვიძლია ასეთი შორეული ეპოქის სკოლაზე.

თავდაპირველად შუმერული სკოლა წმინდა „პროფესიონალურ“ მიზანს

ისახავდა—მას უნდა მოემზადებინა მწერლები, რომელთაც სასახლისა და ტაძრისათვის საჭირო სამეურნეო თუ ადმინისტრაციული დოკუმენტების ჩაწერა-გადაწერა-შედგენა შეძლებოდათ. სასკოლო ქსელის ზრდა-განვითარებამ და, კერძოდ, სწავლების კურსის გაფართოებამ სკოლა თანდათან შემერული კულტურისა და სწავლა-განათლების კერადაც აქცია. აქ ჩამოყალიბდა ტიპი უნივერსალური სწავლულისა, რომელიც დაუფლებული იყო იმუამად არსებულ სიბრძნის ყველა დარგს-დვინისმეტყველებას, ბოტანიკას, ზოოლოგიას, მინერალოგიას, გეოგრაფიას, მათემატიკას, გრამატიკასა და ლინგვისტიკას. ამ სწავლულთაგან ბევრს თავისი წვლილიც შეჰქონდა ცოდნის სფეროში.

სკოლადამთავრებული მეტწილად ჩამწერად იწყებდნენ მუშაობას სასახლეებსა და ტაძრებში, ან კიდევ მდიდრებოთან და ძლიერებოთან ამა სოფლისა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელნიც თავიანთ სიცოცხლეს ცოდნის გაღრმავებას ან პედაგოგიურ საქმიანობას უძღვნიდნენ. დღევანდელი უნივერსიტეტის პროფესორთა მსგავსად, ბევრი ამ ძველ მეცნიერთაგან ფულს მასწავლებლობით შოულობდა, თავისუფალ დროს კი გამოკლევებსა და სამწერლო საქმიანობას უთმობდა. შემერული სკოლა, რომელიც თავდაპირველად ტაძრის დანამატის სახით წარმოიშვა, დროთა განმავლობაში გამოეყო მას და მისმა პროგრამამაც წმინდა საერო ხასიათი მიიღო. ამიტომ საფიქრებელია, რომ მასწავლებელს გასამრჯელოს მოსწავლეები უხდიდნენ.

ცხადია, შემერში არ არსებობდა არც საყოველთაო და არც სავალდებულო სწავლება. მოსწავლეები მეტწილად მდიდარი ოჯახიშვილები იყვნენ, რადგან დარიბებს არ ჰქონდათ არც დრო და არც ფული სწავლისათვის. გერმანელი ასირიოლოგის ნიკოლაუს შნაიდერის კვლევებით მწერლების (მათ კი, უეჭველია ყველას სკოლა ექნებოდა დამთავრებული) მამები მდიდარი მოქალაქეები-მმართველები, ელჩები, მთავარქერულები, მსედარომთავრები, უმაღლესი საგადასახადო მოხელეები, ზედამხედველები და ა.შ. იყვნენ. საინტერესოა, რომ არცერთ დოკუმენტში არ გვხვდება ქალი-მწერლის სახელი. როგორც ჩანს, შემერის სკოლებში მხოლოდ ვაჟები სწავლობდნენ.

სკოლას სათავეში ედგა „უმმია“ („ბრძენი“, მოძვარი), რომელსაც „სკოლის მამასაც“ უწოდებდნენ. მოწავეები „სკოლის შვილები“ იყვნენ, მასწავლებლის თანაშემწერ „დიდი ძმა“. მას, მაგალითად, ევალებოდა კალიგრაფიული ფირფიტანიმუშის კეთება, საიდანაც გადაწერდნენ ხოლმე მოწავეები, და აგრეთვე წერითი და საზეპირო დავალებების შემოწმება. სკოლაში იყვნენ აგრეთვე ხატვისა და შემერული ენის მასწავლებლები, დამრიგებელი, რომელიც ამოწმებდა მოსწავლეთა დასწრებას, და ე.წ. „გამწკეპლავი“, რომელიც ალბათ პასუხს აგებდა დისციპლინაზე. სასკოლო პერსონალის იერარქიასა და სკოლის საარსებო წყაროზე ცნობები არ არსებობს. სავარაუდო „სკოლის მამა“ იყო სკოლის თავკაცი და ის აძლევდა მის წილ გასამრჯელოს თანამშრომლებს იმ საერთო თანხიდან, რომელსაც მოსწავლეები უხდიდნენ სკოლაში სწავლისათვის.

სწავლა-განათლების ისტორიაში მოპოვებული პირველი უნიკალური დოკუმენტი მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთობის შესახებ უდიდესი სიცხადით წარმოაჩენს ადამიანის ბუნებას. მასში შემერელი მოსწავლის კოველდღიური

ცხოვრებაა აღწერილი, რომელიც ძალიან ჰგავს ჩვენს თანადროულს. ეშინია სკოლაში დაგვიანებისა, ვინაიდან ამისათვის „მასწავლებელი გაჯოხავს“. გაიღვიძებს თუ არა, დედას აჩქარებს საუზმე მომიმზადეო. საკმარისია, სკოლაში რაიმე დააშავოს, რომ ან მასწავლებელი ან მისი თანაშემწე გაჯოხავს (ლაპარაკისათვის, ფეხზე ადგომისათვის, სკოლის ჭიშკრიდან გასვლისათვის, ხელნაწერის დაწუნებისათვის და ა.შ.). მასწავლებლის შემოსავალი, ისევე როგორც დღეს, ძალიან მცირე ყოფილა, ამიტომ შუმერელ მასწავლებელს უხაროდა, როცა მოწაფის მშობლისაგან დამატებით ძღვენსა და საჩუქარს მიიღებდა. ამაზე მეტყველებს დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია თუ როგორ უმასპინძლა მოწაფის მამამ მასწავლებელს. მამამ მასწაბლებელი „ახალ სამოსში გამოაწყო, ძღვენი მიართვა და თითზეც ბეჭედი გაუკეთა.“

შუმერის სკოლაში არსებულ სწავლების მეთოდებსა და ტექნიკაზე მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია. დილით სკოლაში მივიღოდნენ თუ არა, მოსწავლეები განიხილავდნენ იმ ფირფიტას, რომელიც წინა დღით დაწერეს. შემდეგ „დიდი მმა“ ე.ი. მასწავლებლის თანაშემწე, ამზადებდა ახალ ფირფიტას, ხოლო მოსწავლეები მის გადაწერასა და შესწავლას იწყებდნენ. „დიდი მმა“ და „სკოლის მამა“ ეტყობა თვალყურს აღევნებდნენ მათ მუშაობას და ამოწმებდნენ, სწორად წერდნენ თუ არა ისინი. ცხადია, შუმერელი მოსწავლის მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მის მეხსიერებას. მოსწავლეთა მიერ გადასაწერ და შესასწავლ სიტყვათა მშრალ სიებს, ცხრილებსა და ლიტერატურულ ტექსტებს უკველია მასწავლებლისა და მისი თანაშემწის ზეპირი და ახსნა-განმარტებითი მასალა ერთვოდა.

შუმერულ სკოლებში სწავლება ორი ძირითადი კურსით მიმდინარეობდა: ერთი უფრო მეცნიერებისა და ტექნიკისაკენ იხრებოდა, მეორე კი-ლიტერატურულ-შემოქმედებით ხასიათს ატარებდა.

პირველ პროგრამასთან დაკავშირებით საჭიროა ავლნიშნოთ, რომ მისი შექმნა მეცნიერების დაუფლებისა თუ ჭეშმარიტების შეცნობის წყურვილით არ იყო განპირობებული. ეს პროგრამა თანხდათან ჩამოყალიბდა სწავლების პროცესში, რომლის ძირითადი მიზანი შუმერული დამწერლობის სწავლება იყო. შუმერელი პედაგოგები ადგენდნენ მრავალგარ მათემატიკურ ცხრილებსა და ამოცანათა კრებულებს, რომლებსაც შესაბამის ამოხსნებსა და პასუხებსაც ურთავდნენ.

მეორე სასწავლო პროგრამას წმინდა ლიტერატურულ-შემოქმედებითი მიმართულება პქონდა, რომლის მიხედვით სწავლების არსი ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესწავლა-გადაწერა და მათი მიბაძვა იყო.

სწავლების ხასიათს შუმერის სკოლებში სულაც არ პქონდა საერთო პროგრესული სწავლების სისტემასთან. რაც შეეხება დისციპლინას, უჯოხოდ არაფერი გამოდიოდა. შესაძლოა, დროდადრო მასწავლებელი წაახალისებდა და შეაქებდა ბეჭით მოწაფეს, მაგრამ მას ჯოხის ძალა უფრო ეიმედებოდა, რათა ძირშივე დაეთრგუნა ყოველგარი შეცდომა თუ დაუდევრობა. ასე, რომ მოსწავლეს სულაც არ პქონდა სანეგრარო ცხოვრება. იგი ყოველდღე დაიარებოდა სკოლაში და მთელ დღეს მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე იქ ატარებდა. სასწავლო წლის რომელიდაც მონაკვეთში მას, აღბათ, არდადეგები ექნებოდა, მაგრამ ამის შესახებ არაფერია ცნობილი. სწავლება

წლობით გრძელდებოდა და მაშინდა წყდებოდა, როცა მოწაფე ქმაწვილკაცობაში დგამდა ვეხს.

საინტარესო იქნებოდა გვცოდნოდა იმის შესახებ, შეეძლო თუ არა შემერელ მოსწავლეს სპეციალობის არჩევა და თუ შეეძლო, რამდენად იყო უფლებამოსილი ანდა რა ეტაპზე ხდებოდა ეს. მაგრამ ამის შესახებ წყაროები არ მოგვეპოვება.

მაშასადამე, შუმერული სკოლა საკმაოდ პირქუში და უდიმდამო დაწესებულება ყოფილა, სწავლების პროგრამა-მშრალი, სწავლება-მოსაწყენი და ერთფეროვანი, დისციპლინა-მკაცრი.

მსოფლიოში უძველეს, დღემდე მოქმედ უმაღლეს სასწავლებელს მიეკუთვნება ყარაუნის უნივერსიტეტი ჭ. ფეხეში (მაროკო). იგი 859 წელსაა დაარსებული.

ევროპაში პირველმა უნივერსიტეტებმა (უნივერსიტას-ლათინური სიტყვაა და კავშირს გაერთიანებას ნიშნავს) XII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყეს ჩამოყალიბება და ეს პროცესი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: იტალიაში ბოლონიის-1158 წ.; ინგლისში კემბრიჯის-1209 წ.; საფრანგეთში პარიზის-1215 წ.; ესანეტში სალამანკის-1218 წ.; პორტუგალიაში ლისაბონის-1290 წ.; ჩეხეთში პრაღის-1348 წ.; პოლონეთში კაკოვის-1364 წ.; ავსტრიაში ვენის-1365 წ.; გერმანიაში ჰაიდელბერგის-1386 წ.; შვეიცარიაში უფსალის-1467 წ.; დანიაში კოპენჰაგენის-1479 წ.

ლათინური ამერიკის კონტინენტზე პირველი უნივერსიტეტები დაარსეს ესპანელებმა: 1538 წელს სანტა-დომინგოში, 1551 წელს-მეხიკოში, იმავე წელს-ლიმაში.

აშშ-ში პრივილეგირებული სკოლა-კოლეჯები გახსნეს ინგლისელმა ახალმოსახლეებმა: ჰარვარდის- 1636 წ.; ულიამის-1693 წ.; მერის-1693 წ.; იელის-1701 წ.; რომლებიც მხოლოდ მე-19 საუკუნეში გადაკეთდნენ უნივერსიტეტებად.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისმა თავის კოლონიებშიც გახსნა უნივერსიტეტები: ინდოეთში- კალკუტის, მადრასის, ბომბეის (1857 წ.), პენჯაბის (1882 წ.), ალაპაბადის (1887 წ.). აგრეთვე ბეირუტში- ორი უნივერსიტეტი 1866 წელსა და 1881 წ.; ალჟირში-1879 წელს.

ჩინეთში პირველი უნივერსიტეტი გაიხსნა პეკინში-1898 წელს, ეგვიპტეში-1908 წელს კაიროში, სირიაში-1293 წელს დამასკოში, ირანში-1934 წელს თეირანში.

რუსეთში-1725 წელს მ. ლომონოსოვის ინიციატივით დაარსდა უნივერსიტეტი.

საქართველოში კი 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტი.

ასე ყალიბდებოდა ცივილიზებულ სამყაროში განათლების კერქი.

უნივერსიტეტებს დიდი ბრძოლები გადახდათ, სანაამ დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ. ამხრივ მნიშვნელიგანი იყო 1231 წლის „დიდი ქარტია“, რომელიც რომის პაპმა გრიგოლ მეცხრემ გამოსცა.

უნივერსიტეტის ცხოვრებიდან აღსანიშნავია პარიზის უნივერსიტეტი რომლის მნიშვნელობაზე მიუთითებდა ასეთი გამოთქმა: „ იტალიაში პაპობაა, გერმანიაში -იმპერია, საფრანგეთში უნივერსიტეტი“.

უნივერსიტეტი აერთიანებდა იმათ ვინც საწავლობდა და იმათ ვინც ასწავლიდა. მასწავლებლები გაერთიანებული იყვნენ ფაკულტეტებში. ფაკულტეტი (აცულტას) ლათინური სიტყვაა და „ნიჭს“, „ უნარს“ ნიშნავს. პრიზის უნივერსიტეტი იყოფოდა ოთხ ფაკულტეტად: დათისმეტყველების, იურიდიული, სამედიცინო და ფილოსოფიური (არტისტული). არტისტულად იწოდებოდა იმიტომ, რომ აქ გადიოდნენ შვიდ კ. წ. “თავისუფალ ხელოვნებას”-გულისხმობს სასწავლო დისციპლინებს, რომლებიც ანტიკური განათლების სისტემიდან მოდის. ის შუა საუკუნეებშიც არსებობდა. საგნები ორ ციკლად იყოფოდა: ტრივიუმი (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა) და კვადრივიუმი (არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა).

მაგისტრები (მაგისტრულათინური სიტყვაა და ნიშნავს უფროსს, მასწავლებელს, მოძღვარს. შუა საუკუნეებში მაგისტრი ბერმონაზვნური და რაინდული ორდენის ტიტული ან ამ ტიტულის მქონე პირი იყო. „შვიდი თავისუფალი ხელოვნების“ მასწავლებელსაც მაგისტრს უწოდებდნენ.) ირჩევდნენ თავიანთ ხელმძღვანელს- დეკანს. მოსწავლები იწოდებოდნენ სტუდენტებად (სტუდენტ- ის ვინც მეცადინეობს, საწავლობს).

სტუდენტები ერთიანდებოდნენ „ნაციებში“, ვინაიდან უნივერსიტეტებში საწავლობდნენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები. სწორედ „ნაციები“ ირჩევდნენ რექტორს, რომელიც, უფრო ხშირად სასულიერო პირი იყო, ქორწინება შეუთავსებლად ითვლებოდა მეცნიერების დაუფლებასთან.

ყველა სტუდენტი შეტანილი იყო სიაში- მატრიკულში. სტუდენტები იხდიდნენ სწავლის საფასურს- პონორარს. ხშირი იყო პონორარის გადახდის დაგვიანება.

სტუდენტთა ცხოვრების უკეთესად ორგანიზებისათვის შეიქმნა კოლეგიები. ასე იწოდებოდა საერთოსაცხოვრებლები. კოლეგიები შემოწირულობებს ფულის სახით იღებდნენ პაპებიდან, მეფებიდან, სასულიერო პირთაგან და მდიდარი მოქალაქეებიდან. ამგვარი მეცენატობის ნიმუშს წარმოადგენდა რობერტ სორბონის, ლუდოვიკო IX მოძღვრის მოღვაწეობა.

უნივერსიტეტში სტუდენტთა სწავლება იწყებოდა მეცნიერების საფუძლის შესწავლით. პარიზის უნივერსიტეტის დათისმეტყველების ფაკულტეტის დოქტორთა დადგენილებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ტრივიუმი და კვადრივიუმი მეცნიერების ფუნდამენტია და მის გარეშე წინ ვერავინ წავაო. არტისტული ფაკულტეტი უველაზე მრავალრიცხვოვანი იყო. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში უნივერსიტეტდამთავრებულს ენიჭებოდა ბაკალავრის წოდება. ამასთანავე ბაკალავრს მონაწილეობა უნდა მიეღო დისპუტში და უნივერსიტეტისათვის ერთგვარი ფიცი უნდა დაედო. ამის შედეგ ისინი ხდებოდნენ მასწავლებლები. ზოგჯერ ბაკალავრები აგძელებდნენ უმაღლეს ფაკულტეტებზე სწავლას და ამდენად ერთდროულად ისინი სტუდენტებიც იყვნენ და მასწავლებლებიც. „არტისტები“ უველაზე ხელმოკლენი იყვნენ.

არსებობდა ამგვარი გამოთქმაც: „გალენი (მედიცინა) იძლევა სიმდიდრეს, იუსტინიანე (სამართალი) იძლევა ღირსებას და თანამდებობას, ხოლო არტისტები დადიან ფეხით.“

უმაღლეს ფაკულტეტებად ითვლებოდა: იურიდიული, სამედიცინო და ლიტერატურული, ბოლონისა და კრაკოვის უნივერსიტეტისთვის ესა თუ ის ფაკულტეტი ხდებოდა წამყვანი. მაგალითად: ბოლონისა და კრაკოვის უნივერსიტეტები ცნობილი იყო იურიდიული ფაკულტეტით, პარიზის უნივერსიტეტი განთქმული იყო ლიტერატურულის ფაკულტეტით. მასზე მხოლოდ სასულიერო პირები საწავლობდნენ.

უმაღლესი ფაკულტეტების დამთავრების შემდეგ ენიჭებოდათ სამეცნიერო ხარისხი-დოქტორი ანა მაგისტრი. მისი მიღება ძნელი იყო. ვინაიდან დიდი ცოდნის გარდა საჭირო იყო ფულადი სახსრები. ასი სტუდენტიდან ბაკალავრის წოდებას იღებდა 30-35 და მათგან სამაგისტრო გამოცდაზე ცხადდებოდა 5-6. გამოცდის ჩაბარების შემდეგ მათ მასწავლებლობის უფლება ენიჭებოდათ და იწოდებოდნენ ლიცენციატებად. თუკი ამ უკანასკნელს სურდა მაგისტრად გახდომა, მას უნდა გაევლო დიდი საზეიმო წეს-ჩვეულება; მონაწილეობა უნდა მიეღო სამდლიან დისპუტში. საზეიმო ცერემონიის დროს ლიცენციატს თავს ადგამდნენ რექტორის ქუდს (ბერებს), როგორც თავისუფლებისა და ლიტერატურის ნიშანს, უკეთებდნენ თვლიან ბეჭედს, როგორც მეცნიერებასთან დანიშნულის სიმბოლოს და მოაცმევდნენ განსაკუთრებულ მანტიას. მაგისტრობის მსურველი დგამდა ოთხირვანქიან სანთელს და ლვინითა და კამფეტებით უმასპინძლებოდა თავის მომავალ კოლეგებსა და მეცნიერებს. ამასთანავე, დისპუტამდე თრი კვირით ადრე, მას ყველა მაგისტრისა და ბაკალავრისათვის საჩუქრები უნდა დაერიგებია.

სწავლება მიმდინარეობდა 19-20 ოქტომბრიდან 7 სექტემბრამდე. სექტემბერ-ოქტომბერში იყო დიდი ვაკაციები. მეცადინეობა ორი კვირით წყდებოდა სააღდგომო დღეებში და ზაფხულში. იგი ემთხვეოდა ცაზე „პატარა ძაღლის“ თანავარსკვლავედის გამოჩენას, ამიტომაც ამ ვაკაციებმა მიიღეს სახელწოდება—„კანიკული“ (ლათ.ჩანიცულა-პატარა ძაღლი, ლეკვი).

ყველა მეცადინეობა ტარდებოდა ლათინურ ენაზე. იყო ეკროპული მეცნიერული აზროვნების ენა, რაც ხელს უწყობდა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა კონტაქტებსა და ნებისმიერ უნივერსიტეტში სწავლას.

მთავარი სახეობა მეცადინეობისა იყო ლექცია, ე.ი.წიგნების კითხვა და გაუგებარი ადგილების ახსნა. არსებობდა ორი სახის ლექცია-ორდინარული და ექსტრაორდინალური. პირველზე იკითხებოდა აუცილებელი წიგნები სასწავლ დღეებში, ხოლო მეორეზე წიგნები, რომლებიც აუცილებელი არ იყო გამოცდებისათვის, ამიტომაც ეს ლექციები ტარდებოდა არასასწავლო საათებში, სადილობის შემდეგ. ამგვარ ლექციებს კითხულობდნენ ბაკალავრები, ხოლო ორდინალურს-მაგისტრები.

ლექციის გაცდენის ან დაგვიანებისათვის დაწესებული იყო ჯარიმა, რომელიც უნდა გადაეხადა როგორც სტუდენტს ასევე ლექტორს.

ლექციის კითხვისას ლექტორი წიგნის გაუგებარ ადგილს ორჯერ უსწინდა

სტუდენტებს, რომლებიც თვალ-ყურს ადევნებდნენ წიგნში მასწავლებლის ახსნილ ადგილს. ზოგჯერ ლექტორი სტუდენტებს კარნახობდა ლექციას, მაგრამ მათი ჩანაწერები ბევრ შეცდომას შეიცავდა და ამიტომაც ეს მეთოდი უარყვეს. სასწავლო სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა მაგისტრების მიერ შედგენილი კონსაექტები. ამა თუ იმ სპეციალობის სტუდენტებისათვის დადგენილი იყო აუცილებლად შესასწავლი წიგნები, მაგალითად: „არტისტები“ კითხულობდნენ არისტოტელებს, უქიმები—ჰიპოკრატებს, გალენს, ავიცენას; იურისტები—კანონიკურ კრებულებს, დაეკრებებს; ამიტომაც სტუდენტ-იურისტებს დეკრეტალისტებს ან კანონისტებს უწოდებდნენ.

სწავლების აუცილებელი ნაწილის, ლექციების დამატებას, შეადგენდა დისპუტები, კამათი განსაზღვრულ თემაზე. დისპუტებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქცნობილი ხდებოდა ახალი მტკიცებანი, იდეები, აზრები. იგი ხელს უწყობდა აზროვნების, ლოგიკის განვითარებას. მოკამათენი კამათის დროს ხშირად იყენებდნენ ციტატებს. ამგვარი დისპუტები ხშირად იმართებოდა. მას ასობით მსმენელი ესწრებოდა. არც თუ იშვიათად კამათი დაძაბულ და მშფოთვარე ხასიათს იძენდა და გადაიზრდებოდა ხელჩართულ ბრძოლაში, ამიტომაც მოწინააღმდეგებთა შორის ბარიერს დგამდნენ. მიღებული იქნა სპეციალური დადგენილებაც, რომელიც კრძალავდა მოწინააღმდეგისათვის გვეწოდებია „ერეტიკოსი“, „ვირი“ და ა.შ.

ზოგჯერ, როგორც გარკვეულ ზეიმს, უნივერსიტეტი აწყობდა დისპუტს: „რაზედაც გნებავთ“. ეს იყო სიტყვიერი გაჯიბრება, ტურნირი, რომელშიც დისპუტანტი უარყოფდა ყოველნაირ თემისს, დებულებას. ამგვარი დისპუტი ეწყობოდა იშვიათად, 4 წელიწადში ერთხელ და გრძელდებოდა ორი კვირის მანძილზე. სტუდენტები, მაგისტრები, რექტორი და დეკანები ყველანი დისპუტს ესწრებოდნენ. ამგვარ კამათზე სერიოზულ შეკითხვებს მოჰყვებოდა სახუმარო კითხვებიც.

უნივერსიტეტში მსმენელები მუდმივი არ იყო. სტუდენტთა ერთი ნაწილი სხვადასხვა უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებსა და მონაწილეობას იღებდა დისპუტებში. თანდათანობით ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ტიპი მოგზაური სტუდენტისა-ვაგანტი, რომელიც მეცნიერების დაუფლებისათვის კი არ იღწვოდა, არამედ თავისუფალი მოხეტიალე ცხოვრებისა და მოგზაურობებისაქნ მიიღწვოდა.

სტუდენტთა და ლექტორთა წრიდან გამოდიოდა და ყალიბდებოდა ქალაქის ინტელიგენცია, რომელიც ოპოზიციაში იყო ხელისუფლებასა და კათოლიკურ ეკლესიასთან.

პარიზისა და ბოლონიის უნივერსიტეტები ევროპის პირველი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებია. მათ ყაიდაზე შეიქმნა ევროპის უნივერსიტეტები. უკვე მე-15 საუკუნის ბოლოსთვის ევროპაში 65 უნივერსიტეტი აღირიცხებოდა. მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს განათლების, მეცნიერებისა და საერთოდ ევროპული კულტურის განვითარების საჭმეში.

ECONOMICS PROFILE

SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

№8 December
2010

ISSN 1512-3901

ЭКОНОМИЧЕСКИЙ ПРОФИЛЬ

НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

№8 Декабрь
2010


KUTAISI UNIVERSITY

ECONOMICS PROFILE

UDC 33 SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

e-491

REVIEW: SCIENCE INFORMATION INSTITUTE (SOCIAL SCIENCES),
RUSSIAN SCIECES ACADEMY (www.rim.inion.ru)



ქუთაისის უნივერსიტეტი

№ 8, 2010

DECEMBER

ABSTRACTS:

**GLOBALIZATION AND THE
ECONOMICAL CRISIS**

FINANCES AND TAXES

ECONOMIC POLICY

MANAGEMENT AND TOURISM

ECONOMICS PROFILE

SCIENTIFIC EDITORIAL BOARD :

EDITOR: Doctor of Economic Sciences (D.E.S.), Member of Georgian Economic Sciences Academy (GEZA)
Professor REVAZ KAKULIA
RESPONSIBLE EDITOR:
D.E.S., Prof. NIKO CHIKHLADZE

MEMBER OF EDITORIAL BOARD:

D.E.S., The vice-president of the GESA

Prof. JAKOB MESKHA

D.E.S., The Georgian Academiy of Sciences prof.

AVTANDIL SILAGADZE

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Prof. EVGENIY BARATASHVILI

Prof. REVAZ BASARIA

Prof. GIVI GAMSAKHURDIA

Prof. GEORGE GHAVTADZE

Prof. GEDEVAN KHELAIA

Prof. REVAZ MANVELIDZE

Prof. ELGUJA MEKVABISHVILI

ACADEMIC DOCTORS OF ECONOMICS,

ASSOCIATE PROFESSORS:

LELA BAKHTADZE

AKAKI BAKURADZE

KAKHA GABELASHVILI

NAIRA VIRSALADZE

KHATUNA SHALAMBERIDZE

GURAM UPLISASHVILI

MEMBER OF THE DAYSIDE:

Prof. SERGEI LUKIN (Belarus)

Prof. TIMO LINKOLA (Finland)

Prof. PIOTR MASHEGOV (Russia)

Prof. MILAN MIKULASTIK (Czech Republic)

FOUNDER: KUTAISI UNIVERSITY

Rector: Prof. LELA KELBAKIANI

13, Tsereteli, str., Kutaisi

Georgia . 4601

Tel: (+995 331) 42373; 45297; 51273.

www.unic.edu.ge;

info@unic.edu.ge, chixi@mail.ru

GLOBALIZATION AND THE ECONOMICAL CRISIS

1. Kakulia Revaz
GLOBALIZATION AND FINANCIAL-ECONOMICAL PROBLEMS IN DEVELOPING COUNTRIES. (3)
2. Shalamberidze Khatuna
GLOBAL CRISIS AND FORMULATION OF MODERN FINANCIAL INSTITUTES (8)

FINANCES AND TAXES

3. Gavtadze George, Ipshiradze Aza
CHANGES OF FINANCIAL INFRASTRUCTURE DUE TO COMPETITION FOR THE INVESTMENT CAPITAL ON CURRENT PERIOD (13)
4. Basaria Revaz
MEANING AND MAIN POINTS OF TAXING FOR PRECISE COMPREHENSION (19)
5. Konjaria Elguja
THE LOCAL FINANCES AND ITS ROLE IN IMPLEMENTING THE REGIONAL ECONOMIC POLICY (23)
6. Chichinadze Boris
TO IMPROVE TAX ENVIRONMENT IN GEORGIA (27)
7. Kldiashvili Panteleimon, Maglakelidze Dezdemona
ABOUT SEVERAL AMENDMENTS TO THE TAX CODE (32)

ECONOMIC POLICY

8. Ceckhladze Cira, Gechbaia Badri
SOME QUESTIONS ABOUT SOCIALIZATION OF AGRO-BUSINESS POLICY (36)
9. Margvelashvili Irakli
ON SOME QUESTIONS OF REGULATING THE FOREIGN DIRECT INVESTMENTS IN GEORGIA (41)
10. Kincurashvili Irakli
SOME QUESTIONS ABOUT NATIONAL AGRICULTURE DEVELOPMENT (48)
11. Shanidze Goderdzi
COLLABORATION ADVANTAGES OF STATE AND BUSINESS (52)

MANAGEMENT AND TOURISM

12. Gurabanidze Vazha
SELF MANAGEMENT AND ITS MEANING IN THE PROCESS OF WORKING WITH STAFF (54)
13. Virsaladze Naira, Davituliani Tsitsino
FOR STUDYING GLOBAL AND ETHNIC QUESTIONS TOURISM (59)
14. Lukhutashvili Nana
EDUCATION CENTERS ON THE GENESIS OF THE ORGANIZATION (67)

Kakulia Revaz

Doctor of Economic Science, Full professor
of Kutaisi University

GLOBALIZATION AND FINANCIAL ECONOMIC PROBLEMS IN DEVELOPING COUNTRIES

Of the 20th century 80ies, characteristic of the scientific, technical and social-economic transformations laid the foundation for the development of economic globalization.

We should remember that globalization strengthens the economy because of instability that leads to a place more rapid movement of capital, technical progress in speeding up the bad decisions of the negative consequences of strengthening.

Irregularity of economic development is due to weak participation of developing countries in International economic union. In particular sometimes doesn't exist for the necessary instruments of globalization. Thus economic globalization and financial relations radically change further fuelled competition, and capital to fight privatization open market. The moments of this World undermine millions of the poorest people and the economic prospects.

Shalamberidze Khatuna

Doctor of Economics, Associated professor of Akaki Tsereteli State University,
Associated professor of Kutaisi University

GLOBAL CRISIS AND FORMULATION OF MODERN FINANCIAL INSTITUTES

Modern financial system of a world stands ahead of the necessity of radical transformation that is shown in current crisis. International currency fund has, in fact, flown itself out. International Financial Fund and other international institutions, which have been guarantors for the stability of financial system of the world, were not able to predict expected global crisis beforehand and couldn't offer the countries advantage recommendations for overcoming it.

World Bank must support economical growth of developed countries and realization of structural reforms according to its functions, though practice shows, that most part of its projects had no success. European Counsel and large countries of the world come out together with the idea of essential correcting of financial architecture. To their mind, it is necessary to restructure international financial institutions globally. They want to reorganize their representatives in the International Financial Fund for receiving government analogue to that of the USA.

We may that changing of financial system of the world may be leaded in two directions. First – the existed system may be kept, i. e. dollar remains to be reserve currency and modern financial institutions may be radically transformed foreseeing existed reality. Second – a vote of no-confidence is expected to be increased, which will give rise to the destruction of modern international fiscal-economical institutions and replacement of dollar with new currency.

Gavtadze George

Doctor of Economics, Full professor of Kutaisi University

Ipshiradze Aza

Assistant professor of Kutaisi University

CHANGES OF FINANCIAL INFRASTRUCTURE DUE TO COMPETITION FOR THE INVESTMENT CAPITAL ON CURRENT PERIOD

Stock market is one of the most important mechanism of accumulation and redistribution of investment capital in world economy. On current period we can talk about the deepening of globalization, which causes the unification of world capital markets and vice versa – the quick development of international stock market forces the integration of national markets.

The level and growth rates of development of different countries aren't the same. Thus, many of states (mostly developing countries) feel the lack of the investment capital and becoming competitors in this matter. The tendency of deepening of competition for the investment capital, results in changing of financial infrastructure of these countries. The new participants of stock markets emerge, which are ready to keep and fulfill new functions, essential for the investors, issuers and etc.

The main goal of the topic may be concreted as: to research the examples of changing and to discloser the main directions of development of financial infrastructure with the focused on the deepening of demand and competition for the investment resources in the world on current period.

We've researched the reasons and the geography of the world crisis since the end of XX century; we analyzed the factors of advantage in the competition for the investment resource; we studied the different processes on the financial markets and etc.

- Studied the main reasons of attraction of investment in the economies of developing countries;
 - Defined the goals to be reached by the different countries, during the creation of strategy for enlarging of investment potential;
 - Determined the most important members and structural elements of financial markets;
- Defined the main functions of professional participants of financial markets as the elements of financial infrastructure and etc.

Basaria Revaz

Doctor of Economic Science,

Associated professor of Kutaisi University

MEANING AND MAIN POINTS OF TAXING FOR PRECISE COMPREHENSION

Existence of tax has long and many thousands year history. Comprehension main points of tax clearly give us sign how big meaning has precise execution of taxation policy for countries economical development, find out ways to load economy at most with taxes. Urgent question is high professionalism of people which are resolving affairs.

To resolve conceptually point of view taxation policy, it is important don't withdraw from economic superfluous duty. Fundamental problem to work out precise taxation policy is to inculcate shortening (minimization) of taxing in economic as it is possible. For develop stable economic it's important to get limpid budget expenditures which must be public.

Konjaria Elguja

Doctor of Economics, Associated professor of Kutaisi University

THE LOCAL FINANCES AND ITS ROLE IN IMPLEMENTING THE REGIONAL ECONOMIC POLICY

Radical changes in the current economic interrelations, which take place in present Georgia because of economic reforms, raise the inevitability of economic changes at all level in governing, among them separate parts of the country, regions, towns and other territories (regional).

Methodological base of the research is Georgian and foreign scientist-economists theoretical and applied researches on local budget and in general budget-tax politics, economic reform programs worked out be Georgian government, conceptions, state budget, also International Finance Institute's memorandums and

recommendations connected with budget interrelation with politics in Georgia, regional development programs and etc.

To fulfill the work it was used comparisons, analogy, logical generalization, extra pollution and inter pollution, statistic analyzes, expert estimations and scientific research's other methods.

After research, the scientific novelties could be formed in the following ways: It is researched the role and significance of regional economic development in the local budget stable tax income's guaranteeing business and on the contrary local finance's influence on regional economic and social infrastructure's development; It is analyzed the modern mechanism of functioning local budget system in Georgia. It is substantiated the inevitability of incomplete eradication: to form the leaders of improved territories' budget-tax system. It is well-founded inevitability of regional budget-tax system to local self-governments institutions and improvement of the existed model; It is studied and generalized the foreign experience among different level budgets and possibilities of its use in Georgia.

Chichinadze Boris

The lecturer of the Sukhumi A.Chkhartishvili

Humanitarian-Economic University

TO IMPROVE TAXATION ENVIRONMENT IN GEORGIA

The regional economic development has the important meaning in the economic development of all developed countries. It is not possible to imagine the regional economic development without the independence of local self-government.

The local self-government functions within the limits of the rights regulated by the law. Often the development of the regional economics does not go into the local self-government competence, because of deficit of the legislation.

It is necessary to adopt the new laws in this sphere by the central authority to take the new laws that the self-government can take the decisions about the local economic development by itself. But today the local self-government fully depends on the central authority.

Though the territorial problem is not decided in our country yet, it is necessary to grow the functions of local self-government that will help the development of local economics. The well-developed local economics is the pre-condition of well-developed economy of the country.

Kldiashvili Panteleimon

Assistant professor of Kutaisi University

Maglakelidze Dezdemona

Doctor of Economics, Associated professor of Kutaisi University

ABOUT SEVERAL AMENDMENTS TO THE TAX CODE

In any country fixing of optimal tax for a taxpayer and generally existence of improved tax legislation is an inevitable starting condition for development of business.

